2023

# ახალგაზრდობის კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

**ინფორმაცია ავტორების შესახებ**

**გამომცემლები:**
ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES)
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის 1-ლი ჩიხი, სახლი #1, 0179
https://southcaucasus.fes.de/

**ინფორმაცია გამომცემელთათვის:**
მარსელ როტიგ (FES), სალომე ალანია (FES)

**ავტორები:**
რატი შუბლაძე
დავით სიჭინავა
თამარ ხოშტარია

**თარგმნა და კორექტურა:**
მარიამ ზუბაშვილი
რუსუდან კობახიძე

**ტირაჟი:** 455

**დიზაინი:** GOLDLAND MEDIA GmbH

**ISBN:** 978-9941-8-5088-2

პუბლიკაცია ინიციირებული და დაფინანსებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) მიერ. პუბლიკაციაში კაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.

©ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2023

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი მიგნებები | 4 |
| 2 | შესავალი | 12 |
| 3 | მეთოდოლოგია | 14 |
| 4 | ნაწილი I: შინამეურნეობა და საცხოვრებელი გარემო | 16 |
| 5 | ნაწილი II: განათლება და დასაქმება | 22 |
| 6 | ნაწილი III: დემოკრატია და მმართველობა | 30 |
| 7 | ნაწილი IV: ახალგაზრდები და  საგარეო პოლიტიკა | 44 |
| 8 | ნაწილი V: უახლესი წარსულის გააზრება | 56 |
| 9 | ნაწილი VI: იდენტობა, ღირებულებები და რელიგია | 66 |
| 10 | ნაწილი VII: კლიმატის ცვლილება | 94 |
| 11 | ნაწილი VIII: პრობლემები და მისწრაფებები | 102 |
| 12 | დასკვნა | 118 |
| 13 | სქოლიო | 122 |
| 14 | გამოყენებული ლიტერატურა | 128 |
| 15 | დიაგრამების ჩამონათვალი | 138 |
| 16 | ფრიდრიხ ებერტის ფონდის ახალგაზრდობის კვლევის შესახებ | 146 |

1

# ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა, მეტწილად, მათი გარშემომყოფებისა და, ზოგადად, ქვეყნის მატერიალური მდგომარეობის მსგავსია. ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი (65%) ამბობს, რომ მათ ოჯახს საკმარისი ფული აქვს საკვების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად. ახალგაზრდები თავის ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო არასტაბილურად მიიჩნევენ, ვიდრე მამაკაცები და 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.
- რაც შეეხება შემოსავლის წყაროებს, ახალგაზრდების ორი მესამედი (65%) ამბობს, რომ ისინი ფინანსურად, მეტწილად, სხვა ადამიანებზე (მაგალითად, მშობლებზე, პარტნიორებზე, ნათესავებზე) არიან დამოკიდებულნი, ხოლო გამოკითხულთა 38% აღნიშნავს, რომ მათ საკუთარი შემოსავალი აქვთ, მაგალითად, ხელფასი, სესხი ან გრანტი, ან უძრავი ქონების გაქირავებისგან მიღებული შემოსავალი.„ახალგაზრდა მამაკაცებს, ასევე, მათ, ვინც 25-29 ასაკობრივ ჯგუფშია, თბილისში ცხოვრობს და უმაღლესი განათლება აქვს, უფრო ხშირად გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი, ვიდრე ახალგაზრდა ქალებს, მათ, ვინც 24 წლამდე ასაკშია, თბილისის გარეთ ცხოვრობს და საშუალო განათლება აქვს.
- ახალგაზრდების თითქმის სამი მეოთხედი (72%) აღნიშნავს, რომ საქართველოში მიღებული განათლების ხარისხით მეტწილად კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია. სწავლის პროცესში მყოფ გამოკითხულთა ორი მესამედი (69%) მიიჩნევს, რომ მიღებული განათლება მათ შრომის ბაზრისთვის სათანადოდ ამზადებს. ამის მიუხედავად, ახალგაზრდების 58% აცხადებს, რომ ამჟამად არაა დასაქმებული. მამაკაცები (43%), თბილისში მცხოვრებები (45%), შედარებით უფროსი (49%) და უმაღლესი განათლების მქონე (59%) ახალგაზრდები უფრო ხშირად არიან დასაქმებულები, ვიდრე ქალები (26%), თბილისს გარეთ მცხოვრებები (30%), 18-24 წლის (38%) და საშუალო განათლების მქონე (41%) ახალგაზრდები.
- 14-29 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 31% აღნიშნავს, რომ ამჟამად არც განათლებას იღებენ, არც რაიმე სასწავლო კურსს გადიან და არც მუშაობენ. ეს მახასიათებელი უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, 25-29 წლისა და თბილისს გარეთ მცხოვრებ ახალგაზრდებში.
- ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედს (24%) მოხალისეობრივად გაუკეთებია არაანაზღაურებადი სამუშაო ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში. ოდნავ მეტი ალბათობაა, რომ ახალგაზრდა მამაკაცები, დასაქმებული და დაუოჯახებელი ახალგაზრდები შეიძლება ჩართულიყვნენ მოხალისეობრივ საქმიანობაში.
- როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ დემოკრატიას ახალგაზრდა ადამიანები სახელმწიფოს მართვის საუკეთესო სისტემად მიიჩნევენ. გამოკითხულთა დიდი რაოდენობა (44%) საქართველოში დემოკრატიის ამჟამინდელ დონეს დადებითად აფასებს. თბილისთან შედარებით (33%), სადაც საქართველოში დემოკრატიის დონეს შედარებით ნაკლებ დადებითად აფასებენ, დადებითი შეფასებები უფრო მეტად იკვეთება სხვა ქალაქებსა (47%) და სოფლებში (50%).

- ფოკუს-ჯგუფების შედეგები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები დემოკრატიას უფრო მეტად უკავშირებენ პიროვნულ და სიტყვის თავისუფლებას და ხალხის მმართველობას. თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ღირებულებებად ითვლება. გარდა ამისა, ახალგაზრდები დემოკრატიას აიგივებენ პოლიტიკაში ჩართულობასა და აქტიურ მოქალაქეობასთან, ასევე ხალხის მმართველობასთან და სხვისი აზრის პატივისცემასთან. დემოკრატიის მაგალითებად ახალგაზრდები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებს ხედავენ.
- საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა აცხადებს, რომ პოლიტიკით არ ინტერესდება. მათგან დაახლოებით 38% აღნიშნავს, რომ გარკვეულწილად დაინტერესებულია პოლიტიკით. რესპონდენტები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და მუშაობენ, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით, ვიდრე საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი ახალგაზრდები.
- პოლიტიკის მიმართ დაფიქსირებული აპათიის მიუხედავად, საქართველოში ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ინფორმირებულია პოლიტიკური მოვლენების შესახებ. გამოკითხულთა ერთი მესამედი (34%) პოლიტიკურ მოვლენებს ყოველდღიურად ეცნობა. ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ერთი (22%) კვირაში ერთხელ მაინც ეცნობა პოლიტიკურ მოვლენებს. ეთნიკური ქართველები, თბილისს გარეთ მცხოვრები, დასაქმებული და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები პოლიტიკურ ახალ ამბებს უფრო ხშირად ეცნობიან.
- გამოკითხულთა 63 პროცენტს სჯერა, რომ ახალგაზრდების ინტერესები მწირად, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, უმრავლესობა (80%) ამბობს, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში სავარაუდოდ არ (62%) ან საერთოდ არ (18%) ჩაერთვებოდა.
- დაბალია ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებელიც. ახალგაზრდების მინიმუმ 75% ამბობს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა რომელიმე პოლიტიკურ აქტივობაში (მაგ. მოხალისეობა, შემოწირულობა, პეტიციების ხელმოწერა, დემონსტრაციებში მონაწილეობა, და ა.შ.). ყველაზე ხშირად დასახელდა დასახლების ან მეზობლების წინაშე არსებული პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობა (17%).
- კვლევის მონაწილეები ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად უმუშევრობას, მზარდ ფასებსა და განათლების საკითხებს ასახელებენ. ამას ნაწილობრივ ადასტურებს ფოკუს-ჯგუფის შედეგებიც, ეკონომიკურ პრობლემებსა და განათლების დაბალ დონესთან ერთად, ახალგაზრდები ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებენ კოვიდ 19-ის პანდემიას, ჯანდაცვის სისტემის პრობლემებსა და მიგრაციას.
- როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ახალგაზრდებს ბოლომდე არ ესმით მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკური ცნებების არსი. ბევრი ახალგაზრდა ვერ ასახელებს მემარჯვენე და მემარცხენე პოზიციებს სწორედ გამოკითხვის დროსგამოკითხულთა 34% თავს ცენტრისტად მიიჩნევს, ხოლო 28 პროცენტს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მსგავსი შედეგები გამოიკვეთა

ფოკუს-ჯგუფების ანალიზისას, სადაც მონაწილეებს ასევე უჭირდათ საკუთარი თავის იდენტიფიცირება მემარჯვენეობა-მემარცხენეობის სკალაზე.

- საქართველოში ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი (62%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა. ამ მოსაზრებას შედარებით ნაკლებად ეთანხმებიან 25 წლის და უფრო უფროსი და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები. ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიისას მონაწილეები, რომლებიც არ გრძნობენ თავს ევროპის ნაწილად, აცხადებდნენ, რომ ქართული კულტურა სრულიად განსხვავდება ევროპული კულტურისგან. ზოგიერთი ახალგაზრდისთვის საქართველო ჯერ კიდევ არ არის ევროპის ნაწილი, რადგან მას ჯერ კიდევ აკლია თვითშეგნება და მრავალ სფეროში განვითარება.

- ქართველი ახალგაზრდები ევროპას უმეტესად დადებითად აფასებენ. ახალგაზრდების 45% ევროპას დემოკრატიასა და კანონის უზენაესობასთან აიგივებს, 38% კი - კულტურულ და სამეცნიერო მიღწევებთან. გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მესამედისთვის (35%) ევროპა ეკონომიკური კეთილდღეობისა და სიმდიდრის სივრცეა. მხოლოდ უმნიშვნელო წილი აკავშირებს ევროპას ისეთ უარყოფით სენტიმენტებთან, როგორიცაა არაკეთილგანწყობილება (3%), დემორალიზაცია და ტრადიციული ღირებულებების დაკარგვა (5%) ან საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება (3%).

- ყოველი მეხუთე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს უახლოესი მეგობარი ქვეყანა არ ჰყავს. ახალგაზრდები, რომლებიც ასეთ ქვეყანას იხსენებდნენ, ყველაზე ხშირად ასახელებდნენ უკრაინას (28%), ამერიკის შეერთებულ შტატებს (18%) და თურქეთს (11%), ხოლო რუსეთი აღიქმება ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის (84%), ეროვნული უსაფრთხოებისთვის (78%), ეკონომიკური სისტემისთვის (74%) და ეროვნული ღირებულებებისთვის (72%). აღსანიშნავია, რომ ამგვარად უფრო ხშირად ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ფიქრობენ, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთთან თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკურ სისტემას (40%), სახელმწიფოებრიობას (41%), ეროვნულ უსაფრთხოებას (34%), და ღირებულებებს (36%).

- ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ საქართველოში დადებით როლს თამაშობს ევროკავშირი (79%), საერთაშორისო ორგანიზაციები (75%), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (73%) და ნატო (73%). ფოკუსჯგუფის მონაწილე-ებისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ფინანსურ და სხვა უპირატესობებთან ასოცირდება.

- ახალგაზრდების 63% პროცენტი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის დადებითი მოვლენა იყო. ამ აზრს უფრო მეტად ეთანხმებიან თბილისში მცხოვრები და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები, ვიდრე სხვა ქალაქებში მცხოვრები, ან საშუალო განათლების მქონე მათი თანატოლები. ეთნიკური ქართველებისგან განსხვავებით (64%), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (44%) საბჭოთა კავშირის დაშლას ნაკლებ დადებითად აფასებენ.

- ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის დადებითი აღქმა უკავშირდება დამოუკიდებლობის აღდგენას და სიტყვის თავისუფლების მოპოვებას. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს საბჭოთა კავშირის დაშლის უარყოფით შედეგებზეც, მაგალითად, გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე, იმ განსაკუთრებული ადგილისა და როლის დაკარგვაზე, რაც ქართველებს საბჭოთა კავშირში ჰქონდათ.

- რაც შეეხება იდენტობას, ახალგაზრდების უმრავლესობა თავს აღიქვამს საქართველოს მოქალაქედ (94%), საკუთარი ქალაქის, სოფლის ან რეგიონის მკვიდრად (77%), საკუთარი ეთნიკური ჯგუფის (62%) და კავკასიის მკვიდრად (59%). უფრო ნაკლებად აღიქვამენ ახალგაზრდები თავს გლობალურ მოქალაქეებად (50%) ან ევროპელებად (41%).

- ახალგაზრდები ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებად ასახელებენ პარტნიორების ერთგულებას (95%), პასუხისმგებლობის აღებას (95%), დამოუკიდებლობას (95%) და წარმატებულ კარიერას (93%). კეთილდღეობასთან დაკავშირებული ისეთი ღირებულებები, როგორიცაა არის ჯანსაღი კვება (91%), გარეგნობაზე ზრუნვა (88%), სპორტი (82%) და გამდიდრება (67%) ასევე მნიშვნელოვანია რესპონდენტთა უმრავლესობისთვის.

- ოჯახური ღირებულებები, როგორიცაა შვილების ყოლა (88%) და დაქორწინება (77%) საკმაოდ ან ძალიან მნიშვნელოვნად ითვლება. ეს ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია მამაკაცებისთვის და 25-29 წლის ახალგაზრდებისთვის. ამასთან, ქორწინება უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა დედაქალაქის გარეთ მცხოვრებთათვის, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. დედაქალაქის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებიც უფრო მეტად აფასებენ ქორწინებას, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით.

- პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პოლიტიკაში აქტიური ჩართულობა (22%) და სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა (43%) ნაკლებად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. ეს ღირებულებები შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისთვის (14-17), სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. როდესაც ახალგაზრდებს უწევდათ ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების არჩევა, ისინი ყველაზე ხშირად ირჩევდნენ „პიროვნულ ღირსებას“ და „კეთილსინდისიერებას“, ასევე „ერთგულებას“ და „პატიოსნებას“. ახალგაზრდები იშვიათად ასახელებენ ტოლერანტობასთან, სოლიდარობასთან/თანაგრძნობასთან, და ალტრუიზმთან დაკავშირებულ ღირებულებებს (7 პროცენტამდე), როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს.

- მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა არასოდეს ამართლებს ფიზიკურ (76%) ან სიტყვიერ (69%) აგრესიას ან ძალადობას ქვიარ ადამიანების მიმართ, მათი დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ უარყოფითია. უფრო მეტიც, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ სექსუალურ უმცირესობებს თავიანთი ორიენტაციის გამო მკურნალობა სჭირდებათ. ახალგაზრდა ქალები და თბილისში მცხოვრები

ახალგაზრდები უფრო მეტად ტოლერანტულები არიან: ქვიარ ადამიანების მიმართ ფიზიკურ აგრესიას არასოდეს ამართლებს ქალების 82%, მამაკაცების 71 პროცენტთან შედარებით.

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე სანდო ინსტიტუტებია ჯარი (74%) და ეკლესია/რელიგიური ინსტიტუტები (67%), ამას მოსდევს პოლიცია (48%) და სასამართლო (39%), ხოლო ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუტებია პოლიტიკური პარტიები (79% უნდობლობა), მედია (74% უნდობლობა), პრეზიდენტი (71% უნდობლობა), პროფკავშირები (67% უნდობლობა) და ეროვნული მთავრობა (66% უნდობლობა). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ახალგაზრდების მხოლოდ 30% ენდობა, ხოლო დაახლოებით 60% უნდობლობას უცხადებს. ზოგადად, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად ენდობიან ინსტიტუციებს, ხოლო ახალგაზრდა ქალები ოდნავ უფრო მეტად ენდობიან ინსტიტუციებს, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცები.
- კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდები ყველაზე მეტად ადამიანების სამ კატეგორიას უარყოფენ. ეს კატეგორიებია ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანები (61%), ქვიარ ადამიანები (46%), და ადამიანები რუსეთიდან (44%), რომელთაც ახალგაზრდები საქართველოში შესვლას აუკრძალავდნენ. მეორე მხრივ, ახალგაზრდები ყველაზე ტოლერანტულები არიან ადამიანთა ისეთი ჯგუფების მიმართ, როგორებიცაა მრავალშვილიანი დედები, ძალიან რელიგიური ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და ლტოლვილები.
- ახალგაზრდებისთვის კლიმატის ცვლილება ყველაზე აქტუალურ საკითხად არ ითვლება. კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილება ბუნებრივი პროცესია (48%), ზოგს კი სჯერა კლიმატის ცვლილებაში ადამიანის წვლილის (49%).
- ახალგაზრდების უმეტესობა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლო ღონისძიებების გატარებას ემხრობა (77%). მსგავს მოსაზრებას მეტად ეთანხმებიან ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ქალაქებში, მათ შორის, თბილისში ცხოვრობენ. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ქუჩისა და ბუნების დაბინძურებისთვის ჯარიმების დაწესების აუცილებლობასაც.
- ახალგაზრდების თითქმის 40% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც უმოგზაურია საზღვარგარეთ. თანატოლებთან შედარებით, ამგვარი გამოცდილება უფრო მეტად მამაკაცებს, 25-29 წლის, ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს აქვთ. საზღვარგარეთ ნამყოფი ახალგაზრდების მხოლოდ ერთი მეხუთედი ამბობს, რომ ქვეყანა ექვს თვეზე მეტი ხნით დატოვეს. მოგზაურობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების 46% იმყოფებოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად და/ან სამუშაოდ. მსგავსი გამოცდილება უფრო მეტად მამაკაცებს, სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებს, 25-29 წლის და ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს აქვთ.
- ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ მოგზაურობდა უმეტესად მუშაობის მიზნით (62%). ამასთან, საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება

უფრო მეტად აქვთ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს (82%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ხშირად მიდიან საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, სეზონურ სამუშაოებზე. განათლების მიღების მიზნით საზღვარგარეთ წასვლის გამოცდილება ახალგაზრდების მხოლოდ მეხუთედს აქვს.

- ახალგაზრდები სხვა ქვეყანაში გადასვლის ორ მთავარ მიზეზად ასახელებენ უფრო მაღალი ხელფასის (57%) და უკეთესი განათლების მიღების (45%) შესაძლებლობებს. მაღალი ხელფასის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მამაკაცებისთვის და ყველაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის (25-29 წლის ახალგაზრდები), ხოლო განათლება უფრო მნიშვნელოვანია ქალებისათვის და შედარებით უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის. ემიგრაციისთვის ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებებია ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და ევროპის სხვა ქვეყნები.
- ფოკუსჯგუფების მონაწილეები ემიგრაციას საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებენ და განმარტავენ, რომ ახალგაზრდებს ქვეყნის დატოვება არსებული მატერიალური სიდუხჭირის გამო უწევთ. ემიგრაციის მიზეზად ასევე სახელდება განათლების დაბალი დონე და საქართველოში პიროვნული ზრდისა და სასურველი მიზნების მიღწევის პერსპექტივის ნაკლებობა.
- რესპონდენტები მომავალს მეტწილად დადებითად უყურებენ. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (77%) ფიქრობს, რომ მათი ოჯახების ცხოვრების დონე მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გაუმჯობესდება. ახალგაზრდები შედარებით ნაკლებ ოპტიმისტურად აფასებენ ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებს. ამის მიუხედავად, უმრავლესობა (59%) მიიჩნევს, რომ საქართველოში ცხოვრების დონე უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გაუმჯობესდება.

2

# შესავალი

ახალგაზრდები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. თინეიჯერობის პერიოდიდან მოყოლებული, ახალგაზრდები სხვადასხვა ფორმით ნელ-ნელა ერთვებიან სოციალურ ცხოვრებაში, ხოლო სრულწლოვანების მიღწევისას სრულად ჩართულებიც ხდებიან. მათი ინდივიდუალობა მრავალი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. თუმცა, მანამდე მათი გემოვნება, ცხოვრების სტილი, შეხედულებები და დამოკიდებულებები უფროსი თაობისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ჩანს. ახალგაზრდებს საზოგადოებაში ცვლილებები და ინოვაციები მოაქვთ. შესაბამისად, მათი საარსებო გარემოს და, რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მათი შეხედულებების შესწავლა აუცილებელია იმისათვის, რომ შევძლოთ შეფასება, თუ რას შეიძლება ველოდოთ მათგან მას შემდეგ, რაც ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის დოკუმენტებში ხაზგასმულია ახალგაზრდების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობა[1] და ის, რომ ინსტიტუტებმა ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას ხელი უნდა შეუწყოს[2], ხალგაზრდების ცხოვრების ბევრი ასპექტი სათანადოდ არაა განვითარებული. ახალგაზრდებში საგრძნობლად მაღალია უმუშევრობის დონე, ამასთან, მაღალია გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე.[3] წინა კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები იმედგაცრუებულნი არიან პოლიტიკური ცხოვრებით,[4] რაც მათ დაბალ პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობას განაპირობებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების ცხოვრების ყოვლისმომცველი სურათის წარმოდგენა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის, „თაობა გარდამავალ პერიოდში" შედეგებზე დაყრდნობით,[5] წინამდებარე ანგარიში[6] აჯამებს საქართველოში ახალგაზრდების მოსაზრებების რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების წარმომადგენლობითი რაოდენობრივი გამოკითხვისა და ახალგაზრდებთან ოთხი ფოკუსჯგუფის დისკუსიის საფუძველზე, ნაშრომი იკვლევს ახალგაზრდების:

- სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას,
- პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობას,
- დემოკრატიულ ჩართულობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას,
- დამოკიდებულებებს საგარეო პოლიტიკის მიმართ,
- იდენტობის, ღირებულებებისა, და უახლესი ისტორიის აღქმის საკითხებს,
- დამოკიდებულებებს კლიმატის ცვლილების მიმართ,
- სამომავლო გეგმებსა და მისწრაფებებს.

კვლევის ფარგლებში ტერმინი „ახალგაზრდა" მიემართება საქართველოში მცხოვრებ (აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების გამოკლებით) 14-29 წლის ახალგაზრდებს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: პირველ რიგში განმარტებულია კვლევის მეთოდოლოგია. ამას მოსდევს კვლევის ძირითადი თავები, რომლებშიც განხილულია ახალგაზრდების საცხოვრებელი პირობები, განათლება და დასაქმება, დემოკრატიისა და სახელმწიფოს მმართველობის მიმართ მათი დამოკიდებულებები, შეხედულებები საგარეოპოლიტიკისმიმართდაუახლესიწარსულის გააზრების საკითხები. შემდეგ წარმოდგენილია ახალგაზრდების იდენტობის, მონაწილეობისა და ღირებულებების, კლიმატის ცვლილების მიმართ დამოკიდებულებების, პრობლემებსა თუ სამომავლო გეგმების გარშემო მოგროვებული მონაცემების ანალიზი. ანგარიში სრულდება კვლევის ძირითადი მიგნებების შეჯამებით.

3

# მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია შეიმუშავა გაერთიანებული სამეფოს კვლევითმა კომპანიამ R-Research Limited-მა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დასკვეთით და მასთანკონსულტაციის საფუძველზე; საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდების დამოკიდებულებების, აღქმებისა და მოსაზრებების შესწავლის მიზნით, კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

კვლევის შერჩევისა და მონაცემთა შეგროვების პროტოკოლი შეიმუშავა R-Research-მა ბერლინის „აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის" (ZOiS), წარმომადგენელ დოქტორ ფელიქს კრავაცეკთან კონსულტაციის საფუძველზე. პროტოკოლი დაამტკიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდმა.

კითხვარი შემუშავდა ინგლისურ ენაზე ფრიდრიხ ებერტის ფონდის თბილისისა და ბერლინის ოფისებთან კონსულტაციის საფუძველზე. რაოდენობრივი მონაცემები მოგროვდა 2022 წლის 30 მაისიდან 2022 წლის 16 ივნისამდე პერიოდში. თბილისში დაფუძნებულმა კომპანიამ IPM Research-მა 14-29 წლის ახალგაზრდების წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 1206 რესპონდენტი გამოკითხა. რესპონდენტები შეირჩა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის საფუძველზე. რესპონდენტები შეირჩა ასაკობრივი და გენდერული კვოტის გათვალისწინებით. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 45 წუთს შეადგენდა, სტანდარტული გადახრა კი 14,38 წუთი იყო.

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი იყენებს როგორც აღწერითი, ისე - ახსნითი სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს. ჯგუფებს შორის განსხვავებების დადგენის მიზნით გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი, რომელშიც საკონტროლო ცვლადებად დემოგრაფიული ფაქტორები შედის. ანგარიშში წარმოდგენილია ამ უკანასკნელის შედეგად გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები. აღქმის გამარტივების მიზნით, ჯგუფებს შორის განსხვავებები ანგარიშში კროსტაბულაციების სახით არის წარმოდგენილი. ზოგიერთ შემთხვევაშიპროცენტული მაჩვენებლები შეიძლება არ დაჯამდეს 100 პროცენტად და დამრგვალების გამო გადახრილი იყოს 1 პროცენტით.

რაც შეეხება კვლევის თვისებრივ ნაწილს, თბილისში ჩატარდა ოთხი ფოკუს-ჯგუფი 14-29 წლის ახალგაზრდების მონაწილეობით. ფოკუს-ჯგუფები ჩაატარა ორგანიზაცია IPM Research-მა R-Research-ის უშუალო ზედამხედველობით. კვლევის ინსტრუმენტები, მათ შორის, სადისკუსიო გეგმა, მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის, დოქტორი ფელიქს კრავაცეკის და R-Research-ის თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული დისკუსიები მოიცავდა არაერთ საკითხს, მათ შორის პირად ცხოვრებასა და პანდემიურ ვითარებას, პოლიტიკისა და დემოკრატიის აღქმას, მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებულ ამჟამინდელ გამოწვევებს, შეხედულებებს საბჭოთა კავშირის დაშლის, ევროპასთან მიკუთვნებულობისა და ემიგრაციის შესახებ. ონლაინ ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობას აკვირდებოდნენ R-Research-ისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლები. მომზადდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების ვიდეო და აუდიო ჩანაწერი და დეტალური ტრანსკრიპტები. დისკუსიების დროს მონაწილეებმა შეავსეს მოკლე ონლაინ გამოკითხვა, თვისებრივი მონაცემების გასაანალიზებლად დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. წინამდებარე ანგარიშში თვისებრივი კვლევის შედეგები თემატურად არის წარმოდგენილი რაოდენობრივი კვლევის შედეგებთან ერთად.

**შენიშვნა:** მონაცემები წარმოდგენილია რელევანტური დამრგვალების წესის შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება არ დაჯამდეს 100 პროცენტად თვითნებური განსაზღვრის გარეშე, შესაბამისად საწყისი მაჩვენებელი შენარჩუნდა. ამით აიხსნება შესაძლო გადახრა გრაფიკებში.

4

# ნაწილი I: შინამეურნეობა და საცხოვრებელი გარემო

# შესავალი

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია ახალგაზრდა ადამიანების საცხოვრებელი გარემოს ანალიზი. ძირითადი ფოკუსი იმ ასპექტებზეა მიმართული, რომლებიც ეკონომიკურ კვლევებში დიდწილად უგულებელყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტების კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ ყოფასა და დამოკიდებულებებთან არაერთგზის დადასტურებულია[7]. უფრო კონკრეტულად, წინამდებარე თავი აანალიზებს სუბიექტური კეთილდღეობის სხვადასხვა საზომსა და ფულადი შემოსავლის წყაროებს.

# ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი (65%) აღნიშნავს, რომ საკმარისი ფული აქვს საკვების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი გაცილებით რთულ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. ახალგაზრდა მამაკაცებთან და უფრო ახალგაზრდა ასაკობრივი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, 25 წლისა და უფრო უფროსი ახალგაზრდები და ქალები, როგორც წესი, თავიანთ მდგომარეობას გაცილებით უარესად ხედავენ.
- ზოგადად, ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი შინამეურნეობების მატერიალური მდგომარეობა გარშემომყოფებისა (70%) და ზოგადად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის (61%) მსგავსია.
- რაც შეეხება შემოსავლის წყაროებს, ახალგაზრდების დაახლოებით ორი მესამედი მაინც აღნიშნავს, რომ ფინანსურად სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული. პირადი შემოსავალი მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილს (38%) აქვს, ხოლო ყოველი მეათე ახალგაზრდა დამოკიდებულია სახელმწიფო დახმარებაზე.
- ახალგაზრდა მამაკაცებს, თბილისში მცხოვრებ, და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს უფრო ხშირად აქვთ პირადი შემოსავალი, ხოლო შედარებით უმცროსი და უმუშევარი ახალგაზრდები, ძირითადად, სხვა ადამიანებზე, მაგალითად, მშობლებზე არიან ფინანსურად დამოკიდებულნი.

# ფინანსური მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები

როგორ აფასებენ საქართველოში ახალგაზრდები თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას? სუბიექტური კეთილდღეობა თეორიული ცნებაა, რომელიც სცდება კეთილდღეობის საზომებს და აფასებს ინდივიდის სუბიექტურ აღქმას მატერიალური კეთილდღეობის მიმართ. სუბიექტური კეთილდღეობის შესაფასებლად კვლევის მონაწილეებს ჰკითხეს, თუ როგორ დაახასიათებდნენ თავიანთ საცხოვრებელ პირობებს პირველადი რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. გამოკითხული რესპონდენტების დაახლოებით ერთი მეოთხედი (26%) ამბობს, რომ მათ შეუძლიათ საოჯახო ტექნიკის შეძენა, თუმცა არ შეუძლიათ ახალი მანქანის ყიდვა. დაახლოებით იმავე რაოდენობის ახალგაზრდა (23%) ამბობს, რომ საკმარისი ფული აქვს მხოლოდ ძირითადი საჭიროებისთვის, ხოლო გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეხუთედი (22%) აღნიშნავს, რომ შეუძლიათ ტანსაცმლის შეძენა, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ფული მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკისთვის. გამოკითხულთა დაახლოებით 17% არის შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენელი და ამბობს, რომ, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მანქანის (10%), ან ბინის (7%) შეძენა. მხოლოდ 2% ამბობს, რომ მის ოჯახს ფული საკვებისთვისაც კი არ ჰყოფნის, 7% პროცენტს კი შეუძლია საკვების შეძენა, მაგრამ არ აქვს საკმარისი ფული ტანსაცმლისთვის.

რესპონდენტთა სქესი, ასაკი და განათლება დიდწილად დაკავშირებულია ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებასთან (დიაგრამა 1). დასკვნების უფრო მარტივი ინტერპრეტაციისთვის ცვლადი წარმოდგენილია შვიდბალიან სკალაზე, სადაც ერთი შეესაბამება ყველაზე დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას - პასუხის ვარიანტს „არ გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვისაც კი", ხოლო შვიდი შეესაბამება უმაღლეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და პასუხის ვარიანტს: „არ განვიცდით მატერიალურ სირთულეებს".

მთლიანობაში, სკალის საშუალო ქულა არის 4.08. ეს მაჩვენებელი ახალგაზრდა მამაკაცებისთვის უფრო მაღალია (4.22), ქალებთან შედარებით (2.94). ყველაზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (25-29) წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (3.64), 14-17 წლის (4.35), და 18-24 წლის (4.31) ახალგაზრდებთან შედარებით. მიღებული შედეგი შეიძლება იმით აიხსნას, რომ შედარებით უფროსი რესპონდენტები უფრო ხშირად ცალკე ცხოვრობენ, მშობლების გარეშე.

რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, შეედარებინათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა გარშემომყოფების (დედაქალაქი, ქალაქი ან სოფელი) მდგომარეობასთან, და ზოგადად, საქართველოს მოსახლეობასთან. საერთო ჯამში, საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი შინამეურნეობების მატერიალური პირობები დიდად არ განსხვავდება გარშემომყოფთა (70%) და საქართველოს სხვა მცხოვრებთა (61%) მდგომარეობისგან. გამოკითხულთა მხოლოდ 14% თვლის, რომ ისინი, გარშემომყოფებთან შედარებით, უარეს პირობებში ცხოვრობენ, ხოლო გამოკითხულთა მეოთხედი თვლის, რომ საქართველოს ზოგად ფონთან შედარებით, მისი შინამეურნეობის მდგომარეობა უარესია. ათი ახალგაზრდიდან მხოლოდ ერთი ფიქრობს, რომ გარშემომყოფებთან (13%), და საქართველოში (10%) მცხოვრებ სხვა ადამიანებთან შედარებით მეტი, ან გაცილებით მეტი ფინანსები აქვს (დიაგრამა 2).

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში მცხოვრები და 24 წლისა და უფრო უფროსი ახალგაზრდები უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ თემთან შედარებით უფრო ნაკლები ფინანსები აქვთ. მსგავსი შეხედულება აქვთ სრული თუ არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებსაც. ახალგაზრდები, რომლებიც თბილისს გარეთ ცხოვრობენ და წარმოადგენენ შედარებით უფროს ასაკობრივ ჯგუფს, თავიანთი მდგომარეობის საქართველოს მდგომარეობასთან შედარებისას, გაცილებით უარესად ხედავენ თავიანთ მდგომარეობას. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ნაკლებ მიიჩნევენ, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყნის მდგომარეობაზე უკეთესია.

დიაგრამა 1: **აღქმული ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო მნიშვნელობა (სრული შერჩევა, იმათ გარდა, ვინც უარი თქვა პასუხის გაცემაზე, ან უპასუხა „არ ვიცი“, 98%)**



დიაგრამა 2: **თქვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობაზე რომ იფიქროთ, როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა მათ მდგომარეობასთან შედარებით?**




## შემოსავლის წყაროები

რა არის ახალგაზრდობის ძირითადი საარსებო წყარო (დიაგრამა 3)? აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (46%) ფინანსურად მშობლები უზრუნველყოფენ, ხოლო გამოკითხულთა 37 პროცენტს საკუთარი შემოსავალი აქვს. ყოველი ათიდან დაახლოებით ერთი ახალგაზრდა (12%) ფინანსურად პარტნიორზეა დამოკიდებული, ხოლო იგივე რაოდენობა ფინანსურ დახმარებას მშობლებისა და/ან ნათესავებისგან იღებს. გამოკითხულთა მცირე ნაწილი იღებს სახელმწიფო დახმარებას (7%) და საოჯახო პენსიას (5%), ხოლო გამოკითხულთა ერთ პროცენტზე ნაკლებისთვის შემოსავლის წყარო უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, გრანტი ან სტუდენტური სესხია.

დიაგრამა 3: **რა არის თქვენი პირადი შემოსავლის წყაროები? (%, რამდენიმე პასუხი, სრული შერჩევა)**



საქართველოში ახალგაზრდების საარსებო წყაროების უკეთ გასაზომად შეიქმნა სამი ცალკეული ცვლადი, რომელიც ზომავს, თავად ირჩენენ თუ არა ახალგაზრდები თავს, არიან თუ არა სხვა ადამიანზე დამოკიდებულნი და იღებენ თუ არა სახელმწიფო დახმარებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვინაიდან ახალგაზრდებს შესაძლოა ერთზე მეტი შემოსავლის წყარო ჰქონდეთ, პროცენტული წილების გადანაწილება ასამდე არ ჯამდება. მთლიანობაში, საქართველოში ახალგაზრდების 38 პროცენტს აქვს გარკვეული სახის საკუთარი შემოსავალი (ხელფასი, ქირა, გრანტი ან სესხი), 65% კი დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე, მათ შორის მშობლებზე ან პარტნიორებზე, ხოლო 10% იღებს სახელმწიფო დახმარებას (პენსია, სახელმწიფო მხარდაჭერა (დიაგრამა 4)

რესპონდენტის სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, განათლება და დასაქმების სტატუსი პროგნოზირებს, აქვს თუ არა მას საკუთარი შემოსავალი. გარკვეული სახის პირადი შემოსავალი, მეტი ალბათობით, ახალგაზრდა მამაკაცებს უფრო აქვთ (49%), ვიდრე ქალებს (28%), ასევე უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს. პირადი შემოსავალი აქვს 25 წლის და უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ნახევარზე მეტს (52%), 18-24 წლის ახალგაზრდების 43 პროცენტთან და 14-17 წლის ახალგაზრდების 6 პროცენტთან შედარებით. რესპონდენტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (65%) და დასაქმებულ ახალგაზრდებს (96%) უფრო მეტად აქვთ საკუთარი შემოსავალი. თბილისს გარეთ, მათ შორის, სხვა ქალაქებში (33%) და სოფლად (32%) მცხოვრებ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ საკუთარი შემოსავალი.

დიაგრამა 4: **შემოსავლის წყაროები მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების მიხედვით (%, ნაჩვენებია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, სრული შერჩევა)**



რაც შეეხება შემოსავლის სხვა წყაროებზე დამოკიდებულ ახალგაზრდებს, სხვა ადამიანზე ფინანსურად არის დამოკიდებული 18 წლამდე ასაკის რესპონდენტთა სრული უმრავლესობა, 18-24 წლის ახალგაზრდების ორი მესამედი და 25 წლისა და უფრო უფროსი ახალგაზრდების თითქმის ნახევარი. ანალოგიურად, დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები სხვა ადამიანებზე ფინანსურად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი, ვიდრე სრული საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები. დასაქმებული რესპონდენტები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი სხვა ადამიანებზე.

რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებას, ასაკობრივი თვალსაზრისით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება: 25-29 წლის ასაკის ადამიანები უფრო მეტად არიან სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულნი. უმუშევარ ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო ნაკლები დასაქმებული რესპონდენტი ასახელებს სახელმწიფო დახმარებას შემოსავლის წყაროდ.

## დისკუსია

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მათ ოჯახებს შეუძლიათ დაფარონ ისეთი ძირითადი ხარჯები, როგორიცაა საკვები და ტანსაცმელი, ასევე, დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეუძლიათ მსხვილი საოჯახო ტექნიკის შეძენაც. გამოკითხულთა დაახლოებით ერთ მეხუთედს სჯერა, რომ მათ ოჯახებს შეუძლიათ ისეთი მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა, როგორიცაა ბინის ან მანქანის შეძენა. თუკი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შვიდბალიან სკალაზე საშუალო ქულა ოთხია, ქალები, და 25 წლის და უფრო უფროსი ახალგაზრდები შედარებით უარესად აფასებენ თავიანთ მატერიალურ მდგომარეობას, ახალგაზრდა მამაკაცებსა, და შედარებით უმცროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით.

მატერიალური მდგომარეობის სუბიექტური შეფასებისას, საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა ფიქრობს, რომ მათი სიტუაცია გარშემომყოფებისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მსგავსია. რაც შეეხება საარსებო შემოსავლის წყაროებს, საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა (დაახლოებით ორი მესამედი) ფინანსურად სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული. საკუთარი შემოსავალი მხოლოდ ახალგაზრდების 38 პროცენტს აქვს, ხოლო ყოველი ათი გამოკითხულიდან სახელმწიფო მხარდაჭერაზე ერთი მაინცაა დამოკიდებული. ახალგაზრდა მამაკაცებს, თბილისში მცხოვრებ და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს უფრო მეტად აქვთ საკუთარი შემოსავალი ახალგაზრდა ქალებთან, თბილისს გარეთ მცხოვრებ და საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით. ანალოგიურად, დაბალი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები და უმუშევარი ახალგაზრდები ფინანსურად სხვა ადამიანებზე მეტად არიან დამოკიდებულნი.

5

# ნაწილი II: განათლება და დასაქმება

# შესავალი

საქართველოს მთავრობის 2020-2030 წლებისთვის განსაზღვრული ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის მიხედვით, ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება ხუთი ძირითადი ეროვნული პრიორიტეტიდან ერთ-ერთია.[8] უფრო კონკრეტულად, დოკუმენტში აღწერილ პოლიტიკის სხვა მიზნებთან ერთად, მთავრობა მიზნად ისახავს შეამციროს უმუშევრობა, ამასთან - იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არც მუშაობენ, არც განათლებას იღებენ და არც რაიმე სასწავლო პროგრამაში არიან ჩართულნი, დაძლიოს გენდერული უთანასწორობა და სხვა მანკიერი პრაქტიკები, რასაც ვხვდებით დამსაქმებლის მიერ ახალგაზრდა მუშაკების დაქირავების დროს. მთავრობა მიზნად ისახავს ახალგაზრდების მეწარმეობის წახალისებასაც. გარდა ამისა, სამთავრობო პროგრამის დოკუმენტში, „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას.[9]

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები დღემდე უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან განათლების სფეროსა თუ შრომის ბაზარზე. გამოკითხული 15-29 წლის ახალგაზრდების თითქმის მესამედი არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული, და არც დასაქმებულია, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს თითქმის ხუთჯერ აღემატება[10]. მნიშვნელოვნად დიდია გენდერული სხვაობა 15-29 წლის დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის - დასაქმებული ქალების 35 პროცენტთან შედარებით, მამაკაცების თითქმის ორჯერ მეტი პროცენტია დასაქმებული[11]. ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილს უცდია საკუთარი ბიზნესის წამოწყება[12].

უთანასწორობა შეიმჩნევა განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის კუთხით. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ნაკლებად აგრძელებენ სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ჭარბად არიან წარმოდგენილნი სწავლაშეწყვეტილ ახალგაზრდებს შორის, ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. 2014 წელს, უმუშევარი ახალგაზრდების უმეტესობა (უმუშევარი 30 პროცენტიდან 42%) ეძებდა პირველ სამსახურს, ხოლო 31% უმუშევარი იყო ერთი ან მეტი წლის განმავლობაში.[13]

ანგარიშის წინამდებარე ნაწილი ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ მონაცემებს უფრო სიღრმისეულ კონტექსტში განიხილავს და განსაზღვრავს იმ ძირითად ფაქტორებს, რაც დაკავშირებულია განათლების ხარისხთან, განათლებისა თუ დასაქმების სტატუსთან და კარიერული განვითარებისადმი დამოკიდებულებებთან. გარდა ამისა, მოცემული ნაწილი ეხება მოხალისეობის საკითხსაც - სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს.[14]

# ძირითადი მიგნებები

- საქართველოში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) განათლებას არ იღებს, გამოკითხულთა მხოლოდ 43% სწავლობს ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- განსხვავებები იკვეთება ასაკისა და სქესის მიხედვით, შედარებით მეტი ახალგაზრდა ქალი იღებს განათლებას (45%), ვიდრე მამაკაცი (41%). ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ დედაქალაქში (47%) ან სხვა დიდ ქალაქებში (42%), უფრო ხშირად იღებენ განათლებას, ვიდრე სოფლად მცხოვრები მათი თანატოლები (40%).
- ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ქვეყანაში მიღებული განათლებით - გამოკითხულთა თითქმის სამი მეოთხედი (72%) კმაყოფილია განათლებით, რომელსაც იღებს ან მიუღია სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიღებული განათლება კარგად ამზადებს მათ შრომის ბაზრისთვის. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი, რომელიც იღებს განათლებას, დარწმუნებულია, რომ სასწავლო პროგრამა სათანადოდ ამზადებს მათ შრომის ბაზრისთვის.
- ისინი, ვინც ამჟამად სწავლობენ და არიან დასაქმებულები, შედარებით ნაკლებ კმაყოფილები არიან მიღებული განათლების

შრომის ბაზართან შესაბამისობით, ვიდრე ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები.

- ახალგაზრდების უმრავლესობა (58%) ამბობს, რომ არ აქვს სამსახური. ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ერთი (21%) აქტიურად ეძებს სამსახურს, ხოლო რესპონდენტთა 38% აღნიშნავს, რომ არ ეძებს სამსახურს.
- ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში და შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, უფრო მეტად არიან დასაქმებულები.
- 14-29 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 31% არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული და არც დასაქმებულია.
- ეს ვითარება უფრო ხშირია ახალგაზრდა ქალებში, ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით. თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებიდან ყოველი მეხუთე არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული და არც დასაქმებულია, ხოლო თბილისს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების თითქმის ერთი მესამედი არ არის დასაქმებული.
- 25-29 წლის ახალგაზრდების თითქმის ნახევარი არც დასაქმებულია და არც სწავლობს.
- ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (24%) აღნიშნავს, რომ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში მოხალისეობრივად შეუსრულებია რაიმე არაანაზღაურებადი საქმე.
- ახალგაზრდა მამაკაცებს, დასაქმებულ და დასაოჯახებელ ახალგაზრდებს მეტად აქვთ არაანაზღაურებადი მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

## ზოგადი საგანმანათლებლო გარემო

საბოლოო ჯამში, 14-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა საქართველოში (57%) არ იღებს განათლებას - გამოკითხულთა მხოლოდ 43% სწავლობს ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დიაგრამა 5). მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის შედარებისას: იმ ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა ასაკიც ემთხვევა საშუალო განათლების მისაღებად დადგენილ ასაკს, აღნიშნავს, რომ ამჟამად ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს. პროპორცია საგრძნობლად მცირდება 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მხოლოდ 5% აღნიშნავს, რომ სწავლობს. ახალგაზრდა ქალები შედარებით უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით. ასევე, თბილისს გარეთ მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, თბილისში მცხოვრები რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი იღებს განათლებას ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უმუშევარი ახალგაზრდების თითქმის ნახევარი იღებს განათლებას, როდესაც დასაქმებულებიდან განათლებას მხოლოდ ყოველი მეოთხე იღებს. საგულისხმოა, რომ დაოჯახებულ ახალგაზრდებთან შედარებით, დასაოჯახებელი ახალგაზრდების წილი საგანმანათლებლო დაწესებულებებში რვაჯერ მეტია.

როგორ აფასებენ ახალგაზრდები მიღებული განათლების ხარისხს? საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების 72% მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილი (47%) ან ძალიან კმაყოფილია (25%). რესპონდენტები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ, აფასებენ მათი მიმდინარე განათლების ხარისხს, ხოლო ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად არ სწავლობენ, აფასებენ წარსულში მიღებულ განათლებას. ორივე ჯგუფის თითქმის მეოთხედი (ყოფილი სტუდენტების 27%, და სტუდენტების 25%) აღნიშნავს, რომ მიღებული განათლების ხარისხით სრულიად ან დიდწილად უკმაყოფილოა. ყოფილი სტუდენტების 70% და სტუდენტების თითქმის სამი მეოთხედი კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით.

რესპონდენტთა ასაკი, დასახლების ტიპის და განათლების დონე განსაზღვრავს, არიან თუ არა ისინი კმაყოფილი იმ განათლებით, რომელიც მიიღეს ან იღებენ (დიაგრამა 6). ძირითადად, ყველა დემოგრაფიულ ჯგუფში ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ კმაყოფილია მიღებული განათლებით. მიუხედავად ამისა, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შედა-რებით ნაკლებად აკმაყოფილებთ განათლების

დიაგრამა 5: **საგანმანათლებლო დაწესებულებებში მყოფი ახალგაზრდების წილი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)**




დიაგრამა 6: **რამდენად კმაყოფილი ხართ განათლების იმ ხარისხით, რასაც იღებთ/რაც ახლახან მიიღეთ? (%, ძალიან კმაყოფილი და ნაწილობრივ კმაყოფილი ახალგაზრდების წილი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, სრული შერჩევა)**



ხარისხი, თბილისის გარეთ მცხოვრებ რესპონდენტებთან შედარებით. მიღებული განათლებით კმაყოფილების ხარისხი არ იცვლება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იმ რესპონდენტების განწყობებში, რომლებიც ამჟამად არ სწავლობენ. რაც შეეხება ამჟამად სწავლის პროცესში მონაწილე ახალგაზრდებს, 18 წლამდე ახალგაზრდების 80% კმაყოფილია განათლების ხარისხით, უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით - განათლების ხარისხით კმაყოფილებას 18-24 წლის ახალგაზრდების მხოლოდ ორი მესამედი გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხით გაცილებით ნაკლებად არიან კმაყოფილები ახალგაზრდები, რომლებსაც მიღებული აქვთ დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება და ამჟამად არ სწავლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც მიღებული აქვს როგორც საშუალო, ასევე სრული ან არასრული უმაღლესი განათლება. ისინი, ვინც ამჟამად იღებენ განათლებას და აქვთ უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვნად ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავენ განათლების ხარისხის მიმართ, ვიდრე რესპონდენტები, რომლებსაც მიღებული აქვთ დაწყებითი ან სრული საშუალო განათლება.

საქართველოში ახალგაზრდების დიდი ნაწილი არა მარტო კმაყოფილია განათლების ხარისხით, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ განათლების სისტემა მათ სათანადოდ ამზადებს შრომის ბაზრისთვის. იმ რესპონდენტების ორ მესამედზე მეტი (69%), ვინც ამჟამად განათლებას იღებს, მიიჩნევს, რომ მიღებული განათლება სათანადოდ მოამზადებს შრომის ბაზრისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის მსგავსია იმ ახალგაზრდების პროპორცია (66%), რომლებიც ამჟამად განათლებას არ იღებენ, მაგრამ მიიჩნევენ, რომ სკოლის განათლებამ სათანადოდ ან ძალიან კარგად მოამზადა ისინი შრომის ბაზრისთვის.

ისევე, როგორც საგანმანათლებლო სისტემებით კმაყოფილების მხრივ, თბილისს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სკოლა სათანადოდ ამზადებს მათ შრომის ბაზრისთვის. ანალოგიურად, თბილისს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად არ იღებენ განათლებას, ასევე თვლიან, რომ სკოლებმა კარგად მოამზადეს ისინი შრომის ბაზრისთვის. აღსანიშნავია, რომ ისინი, ვინც ამჟამად სწავლობენ და არიან დასაქმებულები, ნაკლებად არიან დარწმუნებულნი, რომ განათლების სისტემა მათ შრომის ბაზრისთვის ამზადებს, ვიდრე უმუშევარი რესპონდენტები.

## დასაქმების სტატუსი და კარიერული განვითარება

14-29 წლის ახალგაზრდების თითქმის ერთი მესამედი (35%) დასაქმებულია. აქედან 20% დასაქმებულია სრული განაკვეთით, 4% - ნახევარი განაკვეთით, 2% - დასაქმებულია პერიოდულად, 9% კი ამბობს, რომ თვითდასაქმებულია. დასაქმებულთა უმეტესობა მუშაობს კერძო სექტორში (72%), მხოლოდ 16 პროცენტია დასაქმებული საჯარო სამსახურებში, ხოლო გამოკითხულთადარჩენილინაწილიდასაქმებულია სხვა სექტორებში.

გამოკითხულთა დაახლოებით 58% ამჟამად არ მუშაობს. აქედან 38% ამჟამად არც დასაქმებულია და არც სამსახურს ეძებს; დაახლოებით ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ერთი (21%) აქტიურად ეძებს სამსახურს, ხოლო დანარჩენები ასახელებენ სხვა გარემოებას ან პასუხზე უარს ამბობენ.

რესპონდენტის სქესი, ადგილმდებარეობა, ასაკი, განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა პროგნოზირებს მათი დასაქმების სტატუსს (დიაგრამა 7). თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანები უფრო მეტად არიან დასაქმებულები (45%), სხვა ქალაქებსა, და სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (30% თითოეულ ჯგუფში). უფრო მეტი ახალგაზრდა მამაკაცი არის დასაქმებული (43%), ქალებთან შედარებით, რომელთაგან ყოველი ოთხიდან მხოლოდ ერთია (26%) დასაქმებული. შედარებით უმცროსი ასაკის რესპონდენტები ნაკლებად არიან დასაქმებულები, იმათ მსგავსად, ვისაც მიღებული აქვს დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება. დაქორწინებული რესპონდენტები ოდნავ უფრო მეტად საქმდებიან, ვიდრე დაუოჯახებელი ახალგაზრდები.

რაც შეეხება სამსახურისთვის საჭირო უნარებს, დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი უნარები შეესაბამება

დიაგრამა 7: **დასაქმებული ახალგაზრდების წილი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)**




მათ მიერ მიღებული ფორმალური განათლების საფეხურს (59%). დასაქმებულ რესპონდენტთა დაახლოებით ერთი მეოთხედი (27%) მიიჩნევს, რომ მათი სამსახური განათლების იმაზე ნაკლებ დონეს საჭიროებს, ვიდრე მათ აქვთ მიღებული, ხოლო მხოლოდ 12% თვლის, რომ მათი ამჟამინდელი სამსახური განათლების უფრო მაღალ დონეს საჭიროებს, ვიდრე მათ აქვთ მიღებული.

საქართველოში ახალგაზრდების დაახლოებით 31% ამჟამად არც განათლებას იღებს, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული, არც მუშაობს (დიაგრამა 8). რესპონდენტების სქესი, დასახლების ტიპი , ასაკი და ოჯახური მდგომარეობა მეტწილად განსაზღვრავს მათი განათლებისა და დასაქმების სტატუსს. ახალგაზრდა ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ნაკლებად იღებენ განათლებას ან საქმდებიან. თუკი თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებიდან მხოლოდ ყოველი მეხუთე (22%) არ იღებს არც განათლებას, არც რაიმე სასწავლო პროგრამაშია ჩართული და არც მუშაობს, თბილისს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების თითქმის ერთი მესამედი არ მუშაობს. საგულისხმოა, რომ 25-29 წლის ახალგაზრდების თითქმის ნახევარი არც დასაქმებულია და არც განათლებას იღებს. ეს უფრო მეტად ახასიათებთ დაქორწინებულ ახალგაზრდებს, ვიდრე დაუოჯახებელ ახალგაზრდებს.

დიაგრამა 8: **იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არც განათლებას იღებენ, არც რაიმე სასწავლო პროგრამაში არიან ჩართულები და არც მუშაობენ (NEET), ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)**



რა არის ის ფაქტორები, რაც, ახალგაზრდების აზრით, მათ სამსახურის პოვნაში დაეხმარებოდათ? რესპონდენტებს წარუდგინეს დებულებები და სთხოვეს შეეფასებინათ ისინი ოთხბალიან სკალაზე პრიორიტეტულობის მიხედვით. საბოლოო ჯამში, ისეთი მერიტოკრატიული საშუალებები, როგორიცაა უმაღლესი განათლება (94%) მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნადაა მიჩნეული; არსებული სამუშაო გამოცდილება (89%) და საზღვარგარეთ მიღებული განათლება ან სამუშაო გამოცდილება (77%) ახალგაზრდებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს. თუმცა, რესპონდენტების თითქმის ნახევარზე მეტი მნიშვნელობას ანიჭებს სამსახურის პოვნის ისეთ არამერიტოკრატიულ საშუალებებსაც, როგორებიცაა შეძლებული ოჯახის შვილობა (73%), მეგობრები და ნათესავები (68%) და გავლენიან ინდივიდებთან კავშირები (66%). ახალგაზრდების მხოლოდ ყოველი მეხუთე გამოკითხული (22%) მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიის წევრობა სამსახურის პოვნისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## მოხალისეობის გამოცდილება

გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით მხოლოდ მეოთხედი (24%) აღნიშნავს, რომ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში შეუსრულებია არაანაზღაურებადი მოხალისეობრივი სამუშაო (დიაგრამა 9). მამაკაცები, დასაქმებული და დაუოჯახებელი ახალგაზრდები შესაძლოა, უფრო ხშირად ასრულებდნენ არაანაზღაურებად მოხალისეობრივ სამუშაოს.

რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონიათ მოხალისეობრივი მუშაობის გამოცდილება, დამატებითი კითხვები დაუსვეს ამგვარი მუშაობის ნაირსახეობის შესახებ. დაახლოებით ყოველი მეხუთე (21%) აღნიშნავს, რომ აქვს მოხალისეობრივი გამოცდილება სკოლაში ან უნივერსიტეტში, 17% მონაწილეობდა საზოგადოებრივ ინიციატივებში, 13% იყო მოხალისე ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, 11% ჩართული იყო თვითორგანიზებულ პროექტებში, 7% კი მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტებში. 6 პროცენტზე ნაკლებს შეუსრულებია მოხალისეობრივი სამუშაო გადაუდებელი დახმარების მიმართულებით, როგორიცაა სასწრაფო დახმარება და სახანძრო განყოფილება, პოლიტიკურ პარტიებთან, თუ ასოციაციასთან. რესპონდენტთა 32 პროცენტს მოხალისეობის სხვა სახის გამოცდილება აქვს.

დიაგრამა 9: **შეგისრულებიათ თუ არა რაიმე სახის არაანაზღაურებადი სამუშაო მოხალისეობრივად ბოლო 12 თვის განმავლობაში? (%, ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით)**



# დისკუსია

საქართველოს მთავრობამ მომავალი ათწლეულის პოლიტიკის პრიორიტეტად ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება დაასახელა. მიუხედავად ამისა, განათლებისა და დასაქმების სფეროში ახალგაზრდების ჩართულობის ამჟამინდელი დონე საგანგაშოდ დაბალია. მთლიანობაში, 14-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) არ იღებს განათლებას, მხოლოდ გამოკითხულთა 43% სწავლობს ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. განსხვავებები შეინიშნება ასაკისა და სქესის მიხედვით - სკოლებში ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი სწავლობს. გარდა ამისა, დედაქალაქში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მეტად იღებენ განათლებას, ვიდრე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტესტების რეიტინგი ირიბად მიანიშნებს საქართველოს სასკოლო განათლების ხარისხის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე,[15] და საქართველოს არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის გლობალური 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის სიაში,[16] გასაკვირია, რომ საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა, როგორც ჩანს, ქვეყანაში მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ კმაყოფილია იმ განათლებით, რომელსაც ახლა იღებს, ან მიიღო სკოლაში. რესპონდენტების მხოლოდ მეოთხედი იყო უკმაყოფილო მიღებული განათლების ხარისხით.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონის მიუხედავად, ბევრი ახალგაზრდა თვლის, რომ მიღებული განათლება კარგად ამზადებს მას შრომის ბაზრისთვის. მიღებული შედეგი ასევე წინააღმდეგობაში მოდის კვლევებთან, რომლებიც ამტკიცებს, რომ საქართველოში ძალიან დიდია სხვაობა ერთი მხრივ სამუშაო ძალის ცოდნასა და უნარებს, მეორე მხრივ კი დამსაქმებლის მოთხოვნებს შორის[17]. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც ახალგაზრდები რეალურად აღმოჩნდებიან დასაქმების მოთხოვნების წინაშე, მათი აზრი იცვლება: ისინი, ვინც ამჟამად იღებენ განათლებას და არიან დასაქმებულები, უფრო ნაკლებად კმაყოფილები არიან იმით, თუ როგორ ამზადებს მათ განათლების სისტემა შრომის ბაზრისთვის, ვიდრე უმუშევარი ახალგაზრდები.

ახალგაზრდების უმეტესობა (58%) არ არის დასაქმებული. თითქმის ყოველი მეხუთე ახალგაზრდა (21%) აქტიურად ეძებს სამსახურს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ან სწავლობს, ან რაიმე სხვა მიზეზით არ არის დასაქმებული. როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები და შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ხშირად არიან დასაქმებულები. წინამდებარე კვლევის შედეგები ამყარებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ მონაცემსაც - უმუშევარია უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი, ვიდრე მამაკაცი. ქორწინება ასევე განსაზღვრავს დასაქმების აუცილებლობას, ოჯახების შენახვის მიზეზიდან გამომდინარე.

ახალგაზრდების წინაშე არსებული კიდევ ერთი გამოწვევაა განათლებისა და დასაქმების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების ძალიან დიდი წილი (31%). ახალგაზრდა ქალები უფრო მეტად არიან ამ მდგომარეობაში, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცები. იგივე მაჩვენებელი თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის მხოლოდ 22 პროცენტია, მაშინ, როდესაც თბილისს გარეთ ეს მაჩვენებელი ახალგაზრდების ერთ მესამედამდე იზრდება. საგულისხმოა, რომ საქართველოში 25-29 წლის ახალგაზრდების თითქმის ნახევარი არც სწავლობს და არც დასაქმებულია.

დასაქმებისა და განათლების სტატუსთან ერთად, კვლევა შეისწავლიდა მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობასაც. მთლიანობაში, ახალგაზრდების მხოლოდ მეოთხედს (24%) აქვს ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში მოხალისეობის გამოცდილება. ახალგაზრდა მამაკაცები, დასაქმებული და დაუოჯახებელი ახალგაზრდები მეტი ალბათობით მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობაში.

6

# ნაწილი III: დემოკრატია და მართველობა

## შესავალი

საქართველოს მოსახლეობას დემოკრატია ძალიან მოსწონს. 2021 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი, მათ შორის, 35 წლის და უფრო უმცროსი ადამიანები, დემოკრატიას მმართველობის სხვა ფორმებზე უპირატეს სისტემად მიიჩნევენ[18]. მართალია, საქართველოს, მეზობელი სომხეთის მსგავსად, ხშირად ახასიათებენ, როგორც ჰიბრიდული რეჟიმის სახელმწიფოს[19], მაგრამ სომხეთის მოსახლეობა უფრო ნაკლებ მიიჩნევს დემოკრატიას მმართველობის სასურველ მოდელად[20].

დემოკრატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია პოლიტიკური ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევების მიხედვით, პოლიტიკური ჩართულობა დემოკრატიის პოზიტიურ შეფასებაზე აისახება, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანებს შორის[21], საქართველოში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, პოლიტიკაში ჩართულობის მზაობა და მოქალაქეებისადმი ხელისუფლების ღიაობა, შიდა და გარე პოლიტიკური ქმედითობის საზომების მიხედვით, დაბალია,[22] მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებში მცხოვრები პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდები, როგორც წესი, საქართველოში პოლიტიკური პროტესტის წინა ხაზზე არიან.[23]

პარტიული კუთვნილების მაჩვენებელი ახალგაზრდებში ყველაზე დაბალია, რაც შეიძლება პოლიტიკისადმი ზოგადი იმედგაცრუებით და პოლიტიკური მონაწილეობის ნაკლებობით აიხსნას[24]. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური დისკურსი საქართველოში მზარდად პოლარიზებულია[25] და უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ საქართველო აღარ წარმოადგენს დემოკრატიას[26], გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობა და, მათ შორის, ახალგაზრდებიც, პოლიტიკით იმედგაცრუებულები არიან.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე თავი მიმოიხილავს, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები საქართველოში პოლიტიკის საკითხს. უფრო ზუსტად, ანგარიში მიმოიხილავს დემოკრატიის აღქმას, პოლიტიკური ჩართულობისადმი ინტერესს და ჩართულობის გამოცდილებას, ასევე იმისაც, თუ რამდენად კარგად ესმით ახალგაზრდებს ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიები.

## ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების უმრავლესობა დემოკრატიის მომხრეა. გამოკითხულთა სამი მეოთხედი ნაწილობრივ ან მთლიანად მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ დემოკრატია საქართველოს მართვის საუკეთესო სისტემაა.
- გამოკითხულთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს დემოკრატიის ამჟამინდელ მდგომარეობას ქვეყანაში (44%).
- ახალგაზრდების უმრავლესობა დემოკრატიას თავისუფლებასთან, სიტყვის თავისუფლებასა და ხალხის მმართველობასთან აკავშირებს. თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება დემოკრატიისთვის დამახასიათებელ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებად არის მიჩნეული. ზოგი შეხედულებით, დემოკრატია ასევე ასოცირდება პოლიტიკურ ჩართულობასა და აქტიურ მოქალაქეობასთან.
- რაც შეეხება პოლიტიკისადმი ინტერესს, გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ძირითადად აპათიურად არიან განწყობილნი. ახალგაზრდების უმეტესობა ამბობს, რომ არ აინტერესებს პოლიტიკა. ისინიც კი, ვინც აღნიშნავენ, რომ გარკვეულწილად დაინტერესებული არიან პოლიტიკით, იშვიათად განიხილავენ პოლიტიკას თანატოლებთან და ოჯახის წევრებთან, იშვიათად ეცნობიან პოლიტიკურ ახალ ამბებს.
- ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი თანატოლების ინტერესები არ არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში. გამოკითხულთა 63% ამბობს, რომ ახალგაზრდა ადამიანების ინტერესები სუსტად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში.
- ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი გეგმავს პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას. ახალგაზრდების მხოლოდ 17% ამბობს, რომ სიამოვნებით ან სავარაუდოდ შეითავსებდა პოლიტიკურ ფუნქციას.

- ახალგაზრდების პოლიტიკური და სოციალური ჩართულობა ძალიან დაბალია. პოლიტიკური, სამოქალაქო ან მოხალისეობრივი აქტივობის შესახებ გამოკითხვიდან ჩანს, რომ ყოველი 4 რესპონდენტიდან 3 არცერთში არ ყოფილა ჩართული. გამოკითხულთა 63% არ ჩართულა არანაირ აქტივობაში. იმ ახალგაზრდების ჩართულობა, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, ოდნავ უფრო მაღალია საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით.
- ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა ჯერ კიდევ დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 17 პროცენტს მიუღია მონაწილეობა საკუთარი თემის ან სამეზობლოს პრობლემის გადაჭრაში, 14 პროცენტს გამოუხატავს აზრი ონლაინ საჯარო სივრცეში ან დებატებში მიუღია მონაწილეობა, იმავე რაოდენობის ახალგაზრდას აქვს არასამთავრობო ორგანიზაციაში მოხალისეობის გამოცდილება, ახალგაზრდების 9 პროცენტმა შეწყვიტა რაიმეს ყიდვა პოლიტიკური ან გარემოსდაცვითი მიზეზების გამო ან გააკეთა შემოწირულება რომელიმე ორგანიზაციისთვის. გამოკითხულთა 8 პროცენტს მოუწერია ხელი პეტიციისთვის და მონაწილეობა მიუღია დემონსტრაციაში. მხოლოდ 7 პროცენტს აქვს პოლიტიკურ პარტიასთან ან ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება. პოლიტიკით დაინტერესება და პოლიტიკურ საკითხებზე ინფორმაციის მიღება ასოცირდება სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის უფრო მაღალ მაჩვენებელთან.
- ახალგაზრდები სირთულეებს უმთავრესად ეკონომიკურ პრობლემებში ხედავენ. გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (42%) ყველაზე მთავარ პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს, 30% - მზარდ ფასებს, 9% - განათლებას და 7% - შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას.
- მემარცხენე-მემარჯვენეობისთვის თავის მიკუთვნებულობა საქართველოს შემთხვევაში უკიდურესად პრობლემურია კვლევის იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომ ბევრი ახალგაზრდა ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკას. ახალგაზრდებს ასევე გაუჭირდათ საკუთარი თავის მონიშვნა მემარცხენე-მემარჯვენეობის სკალაზე, ვინაიდან ეს ცნებები მათ მხოლოდ ბუნდოვნად ესმით.
- ბევრი რესპონდენტი მიიჩნევდა უფრო მემარჯვენედ მემარცხენე პოლიტიკის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საარსებო მინიმუმის კონტროლი, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის ფლობა, გარემოს დაცვის მიზნით კონკრეტული ნივთების მოხმარების აკრძალვა და უფასო ჯანდაცვა. ის ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით, აქვთ სამოქალაქო ან პოლიტიკური ჩართულობის გამოცდილება, და უმაღლესი განათლება, დებულებებს უფრო სწორად ათავსებდნენ მემარცხენე-მემარჯვენეობის სკალაზე, ვიდრე სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების წარმომადგენლები.
- მთლიანობაში, გამოკითხულთა 12% ათავსებს თავს პოლიტიკური სპექტრის მარცხენა პოლუსზე, ყველაზე დიდი ნაწილი (34%) თავს ცენტრისტად მიიჩნევს, ხოლო 24% მემარჯვენედ. ახალგაზრდების 28% გაუჭირდა პასუხის გაცემა. საგულისხმოა, რომ 17% თავს იდეოლოგიური სპექტრის უკიდურეს პოლუსებზე ათავსებს.

## დემოკრატიის აღქმა

საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა დემოკრატიის მომხრეა. გამოკითხულთა ერთი-მესამედი ნაწილობრივ (35%) ან სრულად (40%) ეთანხმება დებულებას, რომ დემოკრატია საქართველოს მართვის საუკეთესო სისტემაა (დიაგრამა 10). დებულებას მხოლოდ რეს-პონდენტთა 8% არ ეთანხმება, ხოლო 17% არ არის დარწმუნებული, მათ შორის ისინი, ვინც თქვა „არ ვიცი". მიუხედავად იმისა, რომ კონსენსუსი არსებობს ძირითადად ყველა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში, რესპონ-დენტები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, უფრო ხშირად უჭერენ მხარს დემოკრატიას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ეთნიკურ ქართველ რესპონდენტებზე უფრო ხშირად ამბობდნენ, რომ არ იციან, ან არც დემოკრატიის მომხრე არიან და არც წინააღმდეგნი.

როდესაც რესპონდენტები აფასებენ დემოკრატიის რეალურ პრაქტიკას საქართველოში, ყველაზე დიდი ნაწილის (44%) ხედვა დადებითია. დაახლოებით 29% აფასებს დემოკრატიის რეალურ პრაქტიკას უარყოფითად, ხოლო 22% არც დადებითად და არც უარყოფითად. საგულისხმოა, რომ სოფლებსა (50%), და დიდ ქალაქებში (47%) მცხოვრები ახალგაზრდები უფრო დადებითად აფასებენ დემოკრატიის რეალურ პრაქტიკას, ვიდრე თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (33%).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ახალგაზრდები დემოკრატიისადმი დადებითად არიან განწყობილნი, ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიები უფრო მდიდარ მონაცემებს გვთავაზობს მიღებული დასკვნების გასაანალიზებლად. დისკუსიის მიმდინარეობისას რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ რას ნიშნავს მათთვის დემოკრატია. ახალგაზრდების უმეტესობა დემოკრატიას თავისუფლებასთან, სიტყვის თავისუფლებასა და ხალხის მმართველობასთან აკავშირებს. თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება განიხილება დემოკრატიის დამახასიათებელ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებად:

„ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ, ყველა ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, ყველას უნდა შეეძლოს თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვა. როცა თავისუფლება იქნება, მაშინ მშვიდობაც იქნება... თავისუფლებაა, რომ ადამიანს საკუთარი აზრის გამოხატვა შეუძლია, გამოვიდეს, გამოხატოს, წარმოთქვას, თუ რამე არ მოსწონს. არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ საკუთარი აზრი ვერ გამოხატოს ადამიანმა... დემოკრატია ხალხის თავისუფლებას ნიშნავს..." (მამაკაცი, 29 წლის).

დიაგრამა 10: **რას ფიქრობთ იმ მოსაზრებაზე, რომ დემოკრატია საქართველოს მართვის საუკეთესო სისტემაა? (%, სრული შერჩევა)**



დემოკრატიის შესახებ მოსაზრებებში იკვეთება პოლიტიკაში ჩართულობისა და აქტიური მოქალაქეობის საკითხებიც. დემოკრატია ნიშნავს ხალხის მმართველობას, ამიტომ მოქალაქეები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მათ ასევე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ თავად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. არჩევნებში ხმის მიცემა არის პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა; ამიტომ, ხალხი ვალდებულია ასე მოიქცეს, მაშინაც კი, თუ ჩვენ უნდა ავირჩიოთ „ცუდსა და უარეს" პოლიტიკურ პარტიებს შორის. ზოგიერთი მონაწილე დემოკრატიას ადამიანის უფლებებთან და თანასწორუფლებიანობასთან აიგივებს:

„აი, პირველი, მართლა რაც მახსენდება დემოკრატიაზე, არის თანასწორი უფლებები და იმიტომ, რომ ამ დემოკრატიულ ქვეყანაში ვიღაცა ვიღაცაზე მეტი არ უნდა იყოს. ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლება. იქნება ღარიბი, მილიონერი, ვის რამდენი ექნება, მაგას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ყოველთვის სიმართლე უნდა იყოს პრიორიტეტი, ჩემი აზრით, დემოკრატიულ ქვეყანაში. ამიტომ -თანასწორუფლებიანობა" (მამაკაცი, 21 წლის).

ზოგისთვის კი დემოკრატია ნიშნავს „სხვა ადამიანების მოსმენას და მათი აზრის პატივისცემას" (მამაკაცი, 16 წლის). ზოგიერთისთვის დემოკრატია ნიშნავს ცხოვრების მაღალ ხარისხს. ამ დებულების დასაბუთებისას რესპონდენტები ისეთ ქვეყნებს ასახელებენ, რომლებიც, მათი აზრით, დემოკრატიულია. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპული სახელმწიფოები უფრო ხშირად სახელდება დემოკრატიის მაგალითებად, ხოლო ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ყველაზე ხშირად გერმანიას ასახელებს:

„მე რას ვთვლი, ჩემი აზრით, გერმანია დგას ყველაზე ახლოს მაგასთან [სტაბილურ დემოკრატიასთან]. ხალხის იდეოლოგიიდან გამომდინარე, თვითშეგნებით და ადამიანობიდან გამომდინარე რა, ხშირად მაქვს გერმანელებთან შეხება და ზოგადად ხალხია ეგეთი... ერთად დგომა და ერთიანობა აქვთ, დემოკრატიის დანიშნულება რაც არის" (მამაკაცი, 19 წლის).

# პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკური ჩართულობა

გამოკითხვის შედეგები ახალგაზრდა ადამიანების ზოგად აპათიას მოწმობს, რაც თანხვედრაშია საქართველოში ჩატარებულ სხვა კვლევებთან[27]. ახალგაზრდების უმეტესობა (62%) ამბობს, რომ საერთოდ არ არის პოლიტიკით დაინტერესებული. ისინიც კი, ვინც მეტ-ნაკლებად დაინტერესებული არიან პოლიტიკით, იშვიათად განიხილავენ პოლიტიკურ საკითხებს თანატოლებთან თუ ოჯახის წევრებთან, ნაკლებად ეცნობიან პოლიტიკურ ახალ ამბებს. ახალგაზრდების 62% აღნიშნავს, რომ არ არის დაინტერესებული პოლიტიკით, 10% არ არის ძალიან დაინტერესებული, დაახლოებით მეოთხედი გარკვეულწილად დაინტერესებულია, და მხოლოდ 4% არის ძალიან დაინტერესებული.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსაზღვრავს პოლიტიკის მიმართ მათი ინტერესის დონეს (დიაგრამა 11). ახალგაზრდების დაახლოებით ერთი-მესამედი (38%) აღნიშნავს, რომ ან ნაკლებად დაინტერესებულია, ან გარკვეულწილად ან ძალიან დაინტერესებულია პოლიტიკით. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ დაინტერესებულია პოლიტიკით. უმუშევარ რესპონდენტებთან შედარებით (34%), ათი პროცენტით მეტი დასაქმებული ახალგაზრდა (44%) ინტერესდება პოლიტიკით. ამასთან, თბილისს გარეთ მცხოვრებ რესპონდენტებთან შედარებით, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (43%) უფრო მეტად არიან დაინტერესებული პოლიტიკით.

ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც დაინტერესებულია პოლიტიკით, ასევე ჰკითხეს პოლიტიკური საკითხების განხილვის სიხშირის შესახებ. ახალგაზრდების თითქმის სამი-მეოთხედი (მათ შორის, ვინც მეტ-ნაკლებად დაინტერესებულია პოლიტიკით) არასდროს (25%), ან იშვიათად (51%) განიხილავს პოლიტიკას მეგობრებთან ერთად. მხოლოდ ყოველი მეხუთე რესპონდენტი ამბობს, რომ ხშირად, ხოლო 4% - ძალიან ხშირად განიხილავს პოლიტიკას.

დიაგრამა 11: **იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ პოლიტიკით არიან დაინტერესებულნი („დიდად არ მაინტერესებს“, „გარკვეულწილად მაინტერესებს“ ან „ძალიან მაინტერესებს“ პოლიტიკა, %, ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით)**




პოლიტიკის მიმართ აპათიის მიუხედავად, საქართველოში ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ეცნობა პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას (დიაგრამა 12). გამოკითხულთა ერთი-მესამედი (34%) მოვლენებს ყოველდღიურად ეცნობა, ხოლო ყოველი მეხუთე ახალგაზრდა (22%) - კვირაში ერთხელ მაინც. გამოკითხულთა 28% თითქმის არ ეცნობა პოლიტიკურ ახალ ამბებს, ხოლო 15% ეცნობა პერიოდულად, თვეში ერთხელ მაინც. ეთნიკურად ქართველი, თბილისს გარეთ მცხოვრები, დასაქმებული და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები უფრო ხშირად ეცნობიან პოლიტიკურ ახალ ამბებს.

დიაგრამა 12: **რამდენად ხშირად ეცნობით პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ ინფორმაციას? (%, სრული შერჩევა)**



ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი თანატოლებისინტერესებიარარისწარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში. გამოკითხულთა 63% მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები საერთოდ არ არის, ან ცუდად არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში, ხოლო თითქმის მეოთხედი (24%) მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები სათანადოდ არის წარმოჩენილი პოლიტიკაში. საგულისხმოა, რომ თითქმის ყოველ მეათე რესპონდენტს (11%) ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება უჭირს.

მიუხედავად ამისა, არც თუ ისე ბევრი ახალგაზრდა გეგმავს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას. კითხვაზე, ისურვებდნენ თუ არა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, მხოლოდ 17% პასუხობს, რომ სიამოვნებით ან სავარაუდოდ ჩაერთვებოდა პოლიტიკურ საქმიანობაში (დიაგრამა 13). გამოკითხულთა უმრავლესობა (80%) საერთოდ არა, ან ალბათ არ (18%) ჩაერთვებოდა პოლიტიკურ საქმიანობაში. საგულისხმოა, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ისურვებენ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, ვიდრე უფრო დაბალი საფეხურის განათლების მქონე ახალგაზრდები. მსგავსად, ამის სურვილს მეტად გამოხატავენ ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შედარებით.

ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა (დიაგრამა 14). გამოკითხულთა მხოლოდ 17 პროცენტსმიუღიამონაწილეობასაკუთარითემისან სამეზობლოს პრობლემის გადაჭრაში, 14 პროცენტს გამოუხატავს აზრი ონლაინ საჯარო სივრცეში,

დიაგრამა 13: **ისურვებდით თუ არა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას? (%, სრული შერჩევა)**




დიაგრამა 14: **პოლიტიკური ჩართულობის სხვადასხვა გზა არსებობს. ჩაერთვებოდით ან ჩართულხართ ჩამოთვლილთაგან რომელიმეში? (%)**



ან მონაწილეობა მიუღია დებატებში, იმავე რაოდენობის ახალგაზრდას აქვს არასამთავრობო ორგანიზაციაში მოხალისეობის გამოცდილება, ახალგაზრდების 9 პროცენტმა შეწყვიტა რაიმეს შეძენა პოლიტიკური ან გარემოსდაცვითი მიზეზების გამო, ან გააკეთა შემოწირულება რომელიმე ორგანიზაციისთვის. გამოკითხულთა 8 პროცენტს მოუწერია ხელი პეტიციისთვის და მონაწილეობა მიუღია დემონსტრაციაში, ხოლო პოლიტიკურ პარტიასთან ან ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება ახალგაზრდების მხოლოდ 7 პროცენტს აქვს. კიდევ უფრო ნაკლებია მათი რიცხვი, ვინც სერიოზულად განიხილავს ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში მონაწილეობას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში.

ზოგადად, ვისგან არის პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა მეტად ან ნაკლებად მოსალოდნელი? უფრო სრულყოფილი სურათის დასანახად, შემუშავდა კრებითი ინდექსი, რომელიც ითვლის, თუ რამდენ სამოქალაქო ან პოლიტიკურ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა ახალგაზრდას. თუკი რესპონდენტს არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა, ინდექსის შესაბამისი ქულა იქნება ნული, ხოლო ვისაც სამოქალაქო და პოლიტიკურ რვავე აქტივობაში მიუღია მონაწილეობა, მისთვის ინდექსის შესაბამისი უმაღლესი ქულა იქნება რვა. საერთო ჯამში, საქართველოში ახალგაზრდების დაახლოებით ორ მესამედს (63%) მონაწილეობის ინდექსით გათვალისწინებულ არცერთ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა. ინდექსის საშუალო მაჩვენებელია 0.82, ხოლო მედიანა[28] - 0. ახალგაზრდების მხოლოდ 15 პროცენტს მიუღია მონაწილეობა ჩამოთვლილთაგან რომელიმე აქტივობაში.

არცერთი დემოგრაფიული ცვლადი, გარდა განათლებისა, არ პროგნოზირებს სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას (დიაგრამა 15). უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები შედარებით უფრო აქტიურები არიან. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებისთვის ინდექსის პროგნოზირებული ქულაა 1.41, დაწყებითი განათლების მქონე რესპონდენტებისთვის დაახლოებით - 0.69, ხოლო საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებისთვის - 0.62.

დიაგრამა 15: **მონაწილეობის ინდექსის საშუალო ქულები ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. (ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკურ საკითხებზე ინფორმაციის მიღება ასოცირდება სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივობებში უფრო მაღალ ჩართულობასთან. ჩართულობის ინდექსის ქულა დაახლოებით 0.7 ქულით უფრო მაღალია იმ ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებიც ამბობენ, რომ გარკვეულწილად დაინტერესებულები არიან პოლიტიკით, ისევე, როგორც მათთვის, ვინც პოლიტიკურ ინფორმაციას დღეში ერთხელ მაინც იღებს.

პოლიტიკური და სოციალური ჩართულობა განიხილეს ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმაც. როგორც უკვე ვახსენეთ, პოლიტიკური ჩართულობა დემოკრატიის მნიშვნელოვან ნაწილად აღიქმება. გარდა არჩევნებზე ხმის მიცემისა, ახალგაზრდებმა პროტესტის სხვადასხვა ფორმაზეც ისაუბრეს, რაც, მათივე თქმით, შეიძლება იყოს ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის ეფექტური გზა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, ახალგაზრდების უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა დემონსტრაციებში, ფოკუს-ჯგუფის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ისინი მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, როდესაც საქმე ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დარღვევას (მაგალითად, დავით სარალიძის მკვლელობის შემდგომი გამოსვლები[29]) და რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, ე.წ. გავრილოვის ღამე[30]) ეხებოდა. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ მსგავსი საპროტესტო აქციები უნდა იყოს მშვიდობიანი და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს გარკვეული თემა, მაგრამ არ უნდა იქცეს ცალკეული პოლიტიკური პარტიის ინტერესად:

„ნებისმიერ პროტესტს აქვს აზრი და, პირველ რიგში, სახელმწიფოს აწყობს ნებისმიერი პროტესტი, რადგან იგებს, რა არის სახელმწიფოში პრობლემა. და ეს პროტესტი როდესაც უკვე კანონზომიერებას სცდება, მაგას უკვე ვეღარ ვეთანხმები. სახელმწიფო გვერდში უდგას ნებისმიერ პროტესტს, ხო? თუ მე მაქვს პროტესტი, გამოსვლას გავაკეთებ ჩვეულებრივ და სახელმწიფო ამის ნებას მაძლევს და პოლიციით და ყველაფრით უზრუნველყოფს, რომ იყოს უსაფრთხო. სხვადასხვა პარტიები რომლებსაც დიქტატურა ენატრებათ, მანიპულირებენ ცუდად ამ ყველაფერზე. [მაგალითად] ახალგაზრდები გამოვიდნენ იმ გავრილოვის ღამეს გავრილოვის მიზეზით, მაგრამ ეს აქცია შეიცვალა მალე მთავრობის გადაყენების მიზეზით, მოწოდებები შეიცვალა და აქციაზე, ხალხის ნახევარმა აქცია დატოვა იმის გამო, რომ ეს აქცია უკვე შეიცვალა, ანუ აზრი შეეცვალა აქციას, როგორც იყო სხვადასხვა აქციები და იგივე მიზეზით ხალხმა დატოვა აქცია“ (მამაკაცი, 26 წლის).

მეორეს მხრივ, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ნაწილი მიიჩნევს, რომ აქციებში მონაწილეობის მიღებას აზრი არ აქვს და არაფერს ცვლის, რაც განსაკუთრებით ეხება კონკრეტული ტიპის აქციებს. მაგალითად, ახალგაზრდების ნაწილი თვლის, რომ ლგბტ თემის უფლებების დასაცავად ინიცირებული საპროტესტო აქციები არის „ძალიან უაზრო". ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით: „დიახ ისინი [ჰომოსექსუალები] ინდივიდები არიან, მაგრამ მათ არავინ არაფერს უშავებს, მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ... მათ არავინ აწუხებს და ისინი თავად იწვევენ ჩემში აგრესიას" (ქალი, 16 წლის).

## საქართველოს წინაშე არსებული ყველაზე დიდი გამოწვევები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ როდესაც საქმე საქართველოს წინაშე არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებსა და გამოწვევებს ეხება, ახალგაზრდების მოსაზრებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ფართო საზოგადოების მოსაზრებებისგან.[31] ქართველი ახალგაზრდებისთვის ყველაზე საყურადღებო საკითხი ეკონომიკური პრობლემებია (დიაგრამა 16). გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ უმუშევრობა (42%) ყველაზე დიდი გამოწვევაა, რასაც მოსდევს მზარდი ფასების პრობლემა (30%), განათლება (9%) და შიდა პოლიტიკური დაძაბულობა (7%). საყურადღებოა, რომ გარემოს პრობლემები (2%) და კლიმატის ცვლილება (1 პროცენტზე ნაკლები) სრულიად უგულებელყოფილია. საერთო სურათი მეტ-ნაკლებად უცვლელია საქართველოს წინაშე არსებულ, მნიშვნელობით მეორე პრობლემასთან დაკავშირებით, შეინიშნება მხოლოდ მცირე შეუსაბამობა.

ახალგაზრდების სხვადასხვა ქვეჯგუფის

დიაგრამა 16: **რა არის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი/რიგით მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ამჟამად? (%, სრული შერჩევა)**




შედარებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის დასახელების თვალსაზრისით, დიდი განსხვავება არ შეინიშნება (დიაგრამა 17). თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (25-29 ასაკობრივი ჯგუფი) შედარებით უფრო მეტად არიან შეშფოთებულები უმუშევრობისა და მზარდი ფასების პრობლემებით, ვიდრე შედარებით დაბალი ასაკობრივი ჯგუფები. ასევე, მთავარ პრობლემად უმუშევრობას უფრო მეტად სოფლად მცხოვრები რესპონდენტები (49%) ასახელებენ, ვიდრე დედაქალაქის მაცხოვრებლები (32%). თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (15%) უფრო მეტად არიან შეშფოთებულები განათლების საკითხებით, ვიდრე სხვა დიდ ქალაქებში (8%) ან სოფლად მცხოვრები (5%) ახალგაზრდები. განათლება უფრო მეტად იყო დასახელებული 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მიერაც, რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფიდან ბევრი ამჟამად ჩარიცხულია როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების

დიაგრამა 17: **რა არის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამჟამად? სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპის მიხედვით (%, სრული შერჩევა, ერთი პასუხი)**



შესახებ ჰკითხეს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებსაც. ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა ახსენა ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემები. მონაწილეებმა ახსენეს ქვეყანაში არსებული ფინანსური კრიზისი და ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორებიცაა უმუშევრობა, უსახლკარო ადამიანები, დაბალი ხელფასები, სახელმწიფოს ბიუჯეტის არასწორი განკარგვა, მზარდი ფასები და შიმშილი. მონაწილეები ასევე ამბობენ, რომ ეკონომიკური პრობლემები ნაწილობრივ პანდემიამაც გამოიწვია, თუმცა „ეკონომიკა დიდად ძლიერი არც პანდემიამდე ყოფილა“ (ქალი, 29 წლის).

ეკონომიკური პრობლემების გარდა, ახალგაზრდები ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემად ასახელებენ განათლების დაბალ დონესაც. ისინი უმეტესწილად უკმაყოფილოები არიან განათლების სისტემით, იმით, თუ რას აძლევს მათ ზოგადად საგანმანათლებლო სისტემა და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო უფრო მეტად უნდა გასცემდეს სწავლის გადასახადის დაფინანსებას:

„მომავალს ყველაზე მეტად ეგ ორი სფერო [ეკონომიკა და განათლების დონე] მოიცავს და ანუ განათლებით დღეს რა განათლებასაც იღებენ ბავშვები, ჩვენ, სტუდენტები, განსაკუთრებით ძალიან აისახება შემდეგ წლებზე. როგორ დაიწყებენ სწავლას, როგორ გააგრძელებენ, როგორი მონდომებით იქნებიან, რა განათლებას მიიღებენ და შემდეგ უკვე მათ პროფესიონალიზმში რამდენად გამოიხატება ეს ყველაფერი. და ნუ ეკონომიკა შესაბამისად ყველაფერზეა დამოკიდებული, კი არადა ეკონომიკაზეა დამოკიდებული ყველაფერი“
(ქალი, 22 წლის).

ყველა დისკუსიის დროს ახალგაზრდები ასევე აღნიშნავდნენ, რომ COVID-19 და ზოგადად, ჯანდაცვის სისტემა ასევე უდიდესი პრობლემაა საქართველოში. როდესაც პანდემიის შეზღუდვების გამო ნორმალური ცხოვრების წესი შეჩერდა, ბევრი პროგრამა და პროექტი, რომელიც ახალგაზრდებისთვის საინტერესო იყო, შეჩერდა და ეკონომიკა ძლიერ დაზარალდა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„[…] ამ პანდემიამ აბსოლუტურად ყველაფერი გაანადგურა, თუნდაც ერთი ნებისმიერი პროდუქტის ფასი რომ ავიღოთ, იქიდან დავინახავთ, როგორ იმოქმედა ეკონომიკაზე“ (ქალი, 27 წლის).

გარდა ამისა, პანდემიის მართვა და კონტროლი საქართველოს მთავრობისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რაც ასევე უზარმაზარ პრობლემა იყო მთელ მსოფლიოში. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის სისტემას პანდემიამდეც ბევრი პრობლემა ჰქონდა, რაც, ცხადია ახლა უფრო გაუარესდა. მონაწილეების ნაწილი ასევე აღნიშნავს საავადმყოფოებში პროფესიონალური კადრების ნაკლებობას:

„საქართველოს არ ჰყავს საკმარისი [სამედიცინო] პერსონალი. დედაჩემი ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს და დილით რომ სთხოვა წამალი, საღამოს მიუტანეს. თუ პაციენტს წყალი სჭირდება, განა არ უნდათ დახმარება, ან ყურადღების მიქცევა, მაგრამ ფიზიკურად არ შეუძლიათ ყველას მიაქციონ ყურადღება“ (ქალი, 27 წლის).

და ბოლოს, ქვეყნის წინაშე არსებულ უდიდეს გამოწვევებზე საუბრისას, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ასევე საუბრობენ ემიგრანტების დიდ რაოდენობაზე და ემიგრაციაზე (რაც ასევე განხილულია წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თემატურ თავში), ახალგაზრდებისთვის პერსპექტივების არარსებობაზე, ხალხის თვითშეგნების ნაკლებობაზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, ასევე, ხელისუფლების არაკომპეტენტურობასა, და პატრიოტიზმის ნაკლებობაზე.

## ახალგაზრდები და პოლიტიკური იდეოლოგიები

რესპონდენტებს სთხოვეს მოეთავსებინათ

თავი პოლიტიკური იდეოლოგიის მემარცხენე-მემარჯვენე სპექტრზე (დიაგრამა 18). თუმცა, ანალიზი ცხადყოფს, რომ მემარცხენე-მემარჯვენე იდეოლოგიისთვის თავის მიკუთვნება უკიდურესად პრობლემურია ახალგაზრდებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი ახალგაზრდა ვერ ასხვავებს მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკას. მნიშვნელოვანია, რომ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიები კიდევ უფრო ამყარებს ამ დაკვირვებას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს ასევე უჭირდათ საკუთარი თავის სპექტრზე მოთავსება, ძირითადად იმიტომ, რომ ცნებები მათთვის გაუგებარი იყო. ბევრი მონაწილისთვის ძალიან ბუნდოვანია მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკას შორის განსხვავებები. ფოკუს-ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე „მემარცხენეებს" ოპოზიციასთან აიგივებს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, მთლიანობაში, მხოლოდ 12% ათავსებს თავს სპექტრის მემარცხენე პოლუსზე,[32] ყველაზე დიდი ნაწილი (34%) თავს ცენტრისტად მიიჩნევს[33], ხოლო 26% სპექტრის მარჯვენა მხარეს ნიშნავს თავს[34]. ახალგაზრდების 28% არ იყო არჩევანში დარწმუნებული. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 17% განიხილავს საკუთარ თავს იდეოლოგიური სპექტრის უკიდურეს პოლუსებზე. სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის შესამჩნევი განსხვავებები არ შეინიშნება, გამონაკლისია ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც უფრო ხშირად ამბობდნენ, რომ ისინი მიდრეკილნი არიან პოლიტიკური მემარჯვენეობისკენ.

იმის გასაგებად, თუ როგორ ესმით საქართველოში ახალგაზრდებს განსხვავება მემარცხენე-მემარჯვენე იდეოლოგიებს შორის, რესპონდენტებს წარუდგინეს დებულებები, რომლებიც აღწერდნენ მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკას. მათ სთხოვეს შეეფასებინათ, როგორ განათავსებდნენ ამ განცხადებებს იდეოლოგიურ

დიაგრამა 18: **როგორ განათავსებდით საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს ამ სკალაზე მემარცხენეობიდან მემარჯვენეობამდე? (%, სრული შერჩევა)**




სპექტრზე. მთლიანობაში, მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ახალგაზრდების კარგად არ ესმით, თუ რა პოლიტიკა შეიძლება ჩაითვალოს იდეოლოგიურად მემარცხენედ ან მემარჯვენედ. მაგალითად, მემარცხენე პოლიტიკის ისეთი ასპექტები, როგორებიცაა საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის ფლობა, გარემოს დაცვის მიზნით მოხმარების შეზღუდვა და უფასო საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა, უფრო მეტმა რესპონდენტმა მემარჯვენე პოლიტიკას მიაკუთვნა (დიაგრამა 19).

იმის უფრო სიღრმისეულად გასაგებად, თუ ახალგაზრდების რომელ ჯგუფებს შეუძლიათ მეტ-ნაკლებად სწორად განათავსონ დებულებები იდეოლოგიურ სპექტრზე, შეიქმნა ცალკე ცვლადი. მოცემული ინდექსი ითვლის წარდგენილი შვიდი დებულებიდან რამდენის კლასიფიკაცია შეძლეს

დიაგრამა 19: **როდესაც ადამიანები საუბრობენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებზე, ისინი ხშირად საუბრობენ მემარცხენეობაზე და მემარჯვენეობაზე. თქვენი აზრით, მოცემული სიიდან რომელი პოზიციაა ყველაზე ახლოს მემარცხენე ან მემარჯვენე პოზიციასთან? (%, სრული შერჩევა)**




რესპონდენტებმა სწორად. მთლიანობაში, რესპონდენტთა 40 პროცენტმა ვერც ერთი დებულება ვერ მოათავსა შესაბამის იდეოლოგიურ პოლუსზე, მაშინ, როცა მხოლოდ 0.6 პროცენტმა (მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა) შეძლო ყველა დებულების სწორად განლაგება. საშუალოდ, თითოეულმა რესპონდენტმა სწორად ამოიცნო მხოლოდ 1,5 დებულება (მედიანა 1), რაც კიდევ უფრო ამყარებს კვლევის თვისებრივი კომპონენტის შედეგებს.

რესპონდენტის ასაკი და განათლება განსაზღვრავს, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ დებულებების შესაბამის პოლუსზე განთავსება. გასაკვირია, რომ რაც უფრო უფროსია რესპონდენტი, მით ნაკლებია სწორი პასუხების რაოდენობა. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებმა, საშუალოდ, სწორად განათავსეს მხოლოდ ორი დებულება, ხოლო დაწყებითი განათლების მქონე რესპონდენტებმა მხოლოდ 1,3 დებულება.

საგულისხმოა, რომ პოლიტიკით დაინტერესებული, ან პოლიტიკური თუ სამოქალაქო ჩართულობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები შედარებით უკეთ ახერხებდნენ დებულებების სწორად განაწილებას. ისინი, ვისაც მეტ-ნაკლებად მაინც აინტერესებს პოლიტიკა, ოდნავ უფრო კარგადართმევდნენ თავს დავალებას (1,7 სწორი დებულება) იმათთან შედარებით, ვისაც პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს (1,4 სწორი დებულება). რესპონდენტებმა, რომლებსაც არ ჰქონიათ სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გამოცდილება, მხოლოდ 1,4 დებულება მოათავსეს სკალაზე სწორად, ხოლო ასეთი გამოცდილების მქონე ახალგაზრდებმა სწორად განალაგეს 2,44 დებულება.

# დისკუსია

საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა დემოკრატიის მომხრეა, გამოკითხულთა სამი-მეოთხედი მიიჩნევს, რომ დემოკრატია საქართველოს მართვის საუკეთესო ფორმაა და დემოკრატიას უფრო დადებით ჭრილში განიხილავს. ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, ხალხის მმართველობა, მიჩნეულია დემოკრატიის მთავარ საზომებად.

მიღებული შედეგები ემთხვევა სხვა გამოკითხვების შედეგებს, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის მსგავს დამოკიდებულებებს შეისწავლის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს

დემოკრატიის პრაქტიკაში ხარვეზებისა და მზარდი ავტორიტარული ტენდენციების მიუხედავად[35], ქვეყნის მოსახლეობა დემოკრატიის მიმართ ენთუზიაზმით არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ფორმაა.

თუმცა, დემოკრატიისადმი პოზიტიური განწყობის მიუხედავად, ახალგაზრდების უმეტესობა პოლიტიკაში მონაწილეობისადმი აპათიურია. უმეტესობა არ არის პოლიტიკით დაინტერესებული და არ განიხილავს მას სხვა ადამიანებთან, ასევე არ ეცნობა პოლიტიკურ სიახლეებს. უმრავლესობა არც კი განიხილავს მომავალში პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის პერსპექტივას. რაც შეეხება მონაწილეობას, ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი არის ჩართული სამოქალაქო ან პოლიტიკურ აქტივობებში, რაც კიდევ უფრო ამყარებს დაკვირვებას პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისადმი აპათიის შესახებ.

საყურადღებოა, რომ ქცევის მსგავსი თავისებურებები ზოგადი იმედგაცრუების ნაწილია. „კავკასიის ბარომეტრის" უახლესმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საშინაო პოლიტიკით დაინტერესებულთა წილი 2008-2021 წლებში 25 პროცენტული პუნქტით, ხოლო ხოლო საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებულთა წილი 18 პუნქტით შემცირდა[36]. ამავდროულად, როგორც მოზარდებში, ასევე ახალგაზრდებში[37] დაბალი პოლიტიკური ქმედითობა მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ან იმედგაცრუებულია პოლიტიკით ან არ ხედავს მას, როგორც ცვლილებების ინსტრუმენტს.

საქართველოში ახალგაზრდების პრობლემებს შორის დომინირებს ეკონომიკური საკითხები, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ქვეყნის მთავარ პრობლემად ეკონომიკურ საკითხებს ასახელებს. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ახალგაზრდები, ისე ფართო საზოგადოება თანხმდება საქართველოს-თვის ეკონომიკური პრობლემების მნიშვნელობაზე. ისეთი კროს-სექციური გამოკითხვების დროითი მწკრივები, როგორებიც არის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის[38] და „კავკასიის ბარომეტრის" გამოკითხვები, ეკონომიკურ პრობლემებს მუდმივად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების ნუსხას აკუთვნებს, რაც ასევე ემთხვევა ახალგაზრდების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებს.[39]

ახალგაზრდებს ასევე აქვთ ღრმა პოლიტიკური ცოდნის ნაკლებობა. გამოკითხულთა უმრავლესობამ ვერ შეძლო მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიების სწორად კლასიფიცირება, გამოკითხულთა დიდი ნაწილი საკუთარ თავს იდეოლოგიური სპექტრის უსაფრთხო „ცენტრში" ათავსებს.

მთლიანობაში, მოცემული თავი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის უფრო ღრმა პრობლემებზე მიუთითებს. პოლიტიკის მეცნიერების თეორიის თანახმად, მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური პოლარიზაციის ზრდა პოლიტიკური ჩართულობის ზრდასთან ასოცირდება.[40] თუმცა, საქართველოში მონაცემები საპირისპიროს მოწმობს. მართალია, საქართველოს პოლიტიკური სისტემა პოლარიზაციით ხასიათდება[41], თუმცა როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ კლასს მიემართება და არა ფართო საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებისთვის დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ბევრს არ სურს პოლიტიკაში მონაწილეობა. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი პოლიტიკური ცოდნა, რაც პოლიტიკური ჩართულობისა და დემოკრატიული ღირებულებების მიღების წინაპირობად მიიჩნევა[42]. არსებული მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ ახალგაზრდების პოლიტიკურ ცოდნას განაპირობებს მათი გარემო, როგორიც არის სკოლა, ოჯახი, თუ თემი[43]. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლების სისტემაში უკვე დამკვიდრებულია ისეთი საგანი, როგორიც არის სამოქალაქო განათლება, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა.[44] ამრიგად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში პოლიტიკური თეორიის სწავლებამ შესაძლოა, საფუძველი ჩაუყაროს ახალგაზრდების გაზრდილ სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობას.

7

# ნაწილი IV: ახალგაზრდები და საგარეო პოლიტიკა

## შესავალი

საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში და ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში ცენტრალურ როლსაც კი თამაშობს[45]. მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ეროვნული იდეა დასავლური ეროვნული პროექტების იდეალებით საზრდოობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (1918-1921) „ევროპა, ან ზოგადად დასავლეთი [...] უფრო ფართო (ჩარჩო) იდენტობის ჩამოყალიბების წყაროდ, როლურ მოდელად და სავარაუდო მოკავშირედ მიიჩნეოდა"[46].

როდესაც საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული სუვერენიტეტი აღიდგინა, პოლიტიკური და კულტურული ელიტების ხელმძღვანელობით ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პოსტულატები ოთხ მთავარ საყრდენზე იდგა. პროდასავლური ორიენტაცია, საქართველოს უძველეს ქრისტიანულ ერად წარმოდგენა, კავკასიასთან შორეული და განუსაზღვრელი იდენტიფიკაცია, რუსეთის მიმართ ძირითადად ნეგატიური განწყობა, ღია დაპირისპირებებისა და ფრთხილი მიდგომის ცვალებადი ინტენსივობით, იყო ის, რაზეც დაშენდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ნარატივები[47]. მას შემდეგ დასავლეთისა და ევროპის, როგორც დემოკრატიის, ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების გარანტორის აღქმა დომინირებს როგორც ოფიციალურ, ელიტისტურ დისკურსში, ისე საზოგადოებრივ აზრში.[48]

უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ ქართველების საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები უმეტესად დასავლეთისკენ არის მიმართული[49], ვინაიდან ქართველების უმრავლესობა თანხმდება, რომ დასავლეთს საქართველოს მხარდაჭერა ყველაზე კარგად შეუძლია[50]. საქართველოს დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის საკითხი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვისაც მნიშვნელოვანია.[51]

მართალია, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე ხშირად (44%) მიიჩნევენ, რომ ამჟამად ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დასავლეთისკენ არის მიმართული, რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა ახალგაზრდების უმრავლესობისთვის დამთმობი (52%) და მიუღებელია (68%).[52] გარდა ამისა, თუკი ბევრისთვის საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზანი ევროკავშირში ინტეგრაციაა, ზოგიერთის მოსაზრებით, დასავლეთის მიმართ სიფრთხილე გვმართებს სუვერენიტეტის დაკარგვის ან ეროვნული ღირებულებების შესუსტების საფრთხიდან გამომდინარე[53].

ხსენებული მიგნებები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს თანამედროვე საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებები არ არის ერთგანზომილებიანი და სწორხაზოვანი. თუკი 18-34 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს პროდასავლური, მეოთხედი (25%) მიიჩნევს, პროდასავლურობის პარალელურად, საქართველო კარგ ურთიერთობას უნდა ინარჩუნებდეს რუსეთთან[54]. ამასთან, აზრთა სხვადასხვაობა იკვეთება იმ საკითხთან დაკავშირებითაც, რუსეთთან ქვეყნის ეკონომიკური კავშირები უნდა გაღრმავდეს (24%), იგივე დარჩეს (30%) თუ შემცირდეს (34%)[55]. საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებების მნიშვნელობისა და ქართული საგარეო პოლიტიკის ბოლო დროს აღებული გეზისა და მასზე საზოგადოების რეაქციის გათვალისწინებით[56], კვლევა საფუძვლიანად მიმოიხილავს ახალგაზრდების დამოკიდებულებებს საგარეო პოლიტიკისადმი.

## ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების თითქმის ორი მესამედი (62%) თანხმდება, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, როდესაც დაახლოებით ერთი მესამედი (36%) ამას უარყოფს. თუკი უმრავლესობა ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფში თანხმდება, რომ საქართველო ევროპაა, 25 წლის და უფრო უფროსი ახალგაზრდები, ან ისინი, ვისაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული, ამ მოსაზრებას ნაკლებად იზიარებენ.
- ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თავს ევროპელებად გრძნობენ თავიანთი ღირებულებების, შეხედულებების, მენტალიტეტის, აზროვნებისა და ყოველდღიური რუტინიდან გამომდინარე. ისინი, ვინც საქართველოს ევროპის ნაწილად ვერ

აღიქვამს, მიიჩნევს, რომ ქართული კულტურა ევროპულისგან ძირეულად განსხვავდება. ახალგაზრდების ნაწილისთვის საქართველო ჯერ კიდევ არ არის ევროპის ნაწილი, რადგან საზოგადოებას აკლია თვითშეგნება და განვითარება მრავალ დარგში.

- საქართველოში ახალგაზრდებს ევროპისადმი, ძირითადად, დადებითი დამოკიდებულება აქვთ. გამოკითხულთა 45% მიიჩნევს, რომ ევროპა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სივრცეა, ხოლო 38 პროცენტისთვის ევროპა დაკავშირებულია კულტურულ და მეცნიერულ მიღწევებთან. გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მესამედი ახასიათებს ევროპას, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობისა და სიმდიდრის სივრცეს.
- გამოკითხულთა მხოლოდ უმნიშვნელო წილისთვის ასოცირდება ევროპა ისეთ უარყოფით სენტიმენტებთან, როგორებიცაა არაკეთილგანწყობილება (3%), დემორალიზაცია და ტრადიციული ღირებულებების დაკარგვა (5%) ან საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება(3%).
- ყოველ მეხუთე ახალგაზრდას სჯერა, რომ არცერთი ქვეყანა არ არის საქართველოს ახლო მეგობარი. ახალგაზრდები, რომლებიც ასეთ ქვეყანას იხსენებდნენ, ყველაზე ხშირად ასახელებდნენ უკრაინას (28%), ამერიკის შეერთებულ შტატებს (18%) და თურქეთს (11%). არცერთ ევროპულ ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ მიუღია პასუხების 2% პროცენტზე მეტი. მთლიანობაში, მხოლოდ გამოკითხულთა 8% პროცენტმა დაასახელა რომელიმე ევროპული ქვეყანა, როგორც საქართველოს ახლო მოკავშირე.
- ახალგაზრდების აზრით, საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, ადამიანის უფლებების დაცვასა და საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ყველაზე მეტად ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა. ამ მოსაზრებას, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, ნაკლებ ემხრობიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.
- ახალგაზრდების უმეტესობა რუსეთს საქართველოს სახელმწიფოებრიობის (84%), ეროვნული უსაფრთხოების (78%), ეკონომიკური სისტემისა (74%) და ეროვნული ღირებულებების (72%) უმთავრეს საფრთხედ მიიჩნევს. საგულისხმოა, რომ ასე უმეტესად ეთნიკური ქართველები ფიქრობენ.
- ახალგაზრდების აზრით, ევროკავშირი (79%), საერთაშორისო ორგანიზაციები (75%), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (73%) და ნატო (73%) „უფრო დადებით“ ან „აშკარად დადებით“ როლს თამაშობენ საქართველოში. შედარებით უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (14-17 წლის) და უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები ამ მოსაზრებას, სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად ეთანხმებიან.
- ევროპისა და ევროკავშირის მიმართ დადებითი განწყობა გამოიკვეთა ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობისასაც, ვინაიდან ახალგაზრდების აზრით, საქართველო ევროკავშირის წევრობის შედეგად არაერთ ფინანსურ თუ სხვა სარგებელს მიიღებს. თუკი ზოგიერთი ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ საქართველოს გამო ევროკავშირი რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს, სხვები თვლიან, რომ წაყენებული აუცილებელი მოთხოვნების შესრულების შემდეგ ევროკავშირი საქართველოს აუცილებლად მიიღებს.

## რას წარმოადგენს ევროპა?

ახალგაზრდები საქართველოს უმეტესწილად ევროპასთან აკავშირებენ. გამოკითხულთა დაახლოებით ორი მესამედი (62%) ეთანხმება დებულებას, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, ხოლო თითქმის ერთი მესამედი (36%) არ ეთანხმება (დიაგრამა 20). რესპონდენტთა ასაკი და განათლების დონე განაპირობებს, აღიქვამენ თუ არა ახალგაზრდები საქართველოს ევროპულ ქვეყნად. 14-17 წლის (68%) და 18-24 წლის ახალგაზრდები (65%) უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, ვიდრე 25-29 წლის (54%) რესპონდენტები. მიღებული განათლების დონე ასევე ასოცირდება საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ აღქმასთან. საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები (57%) უფრო ნაკლებად ეთანხმებიან აღნიშნულ დებულებას, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებთან (69%)

შედარებით. რაც შეეხება დასახლების ტიპებს, დედაქალაქს, სხვა ქალაქებსა და სოფლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იკვეთება (დიაგრამა 20).

ჯგუფური დისკუსიების მიგნებები გვეხმარება უკეთ ავხსნათ, თუ რატომ მიიჩნევენ ან არ მიიჩნევენ ახალგაზრდები საქართველოს ევროპულ სახელ-მწიფოდ. ისინი, ვინც საქართველოს ევროპის ნაწილად აღიქვამენ, ამას უკავშირებენ საერთო ღირებულებებს, შეხედულებებს, მენტალიტეტს, აზროვნებასა და ყოველდღიურ რუტინას. ისინი, ვინც თავს ევროპის ნაწილად არ გრძნობენ, როგორც წესი, ამბობენ, რომ ევროპული და ქართული კულტურები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. სხვა არგუმენტების მოყვანა კი უჭირთ. ამ არგუმენტის თანახმად, საქართველოს ჯერ კიდევ აკლია თვითშეგნება და, მიუხედავად დიდი სურვილისა, წარმოადგენდეს ევროპულ ოჯახს, ჩვენს ქვეყანას ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე მრავალი წელი აშორებს.

ზოგიერთი ახალგაზრდა (რომელსაც არავითარი სურვილი არ აქვს, იყოს ევროპის ნაწილი) მიიჩნევს, რომ ევროპული კულტურა ქართულისგან ძალზე განსხვავებულია. ამ არგუმენტის საილუსტრაციოდ 17 წლის ბიჭის მოსაზრება შეგვიძლია დავიმოწმოთ: „ევროპის ნაწილი გეოგრაფიულად ვართ. ჰოდა, ისე, რა ვიცი, არა [თავს ევროპის ნაწილად არ ვგრძნობ], ქართველად ვგრძნობ თავს... ანუ ევროპის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ევროპელი რომ დამიძახონ ნამდვილად არ მინდა... იმიტომ, რომ ქართველი ვარ " (მამაკაცი, 17 წლის). მიუხედავად ამისა, მთლიანობაში დომინანტურია მოსაზრება, რომ საქართველო უნდა იყოს ევროპის ნაწილი, რომელიც საქართველოსთან შედარებით ბევრად „განვითარებულად" აღიქმება მრავალი თვალსაზრისით.

დიაგრამა 20: **რა ხარისხით ეთანხმებით, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა? დასახლების ტიპის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა, და განათლების დონის მიხედვით (%, სრული შერჩევა.)**



რას წარმოადგენს ევროპა ახალგაზრდებისთვის? გამოკითხვის მსვლელობისას რესპონდენტებს წარუდგინეს დებულებები და სთხოვეს, შეერჩიათ რამდენიმე ისეთი დებულება, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა მათ შეხედულებას ევროპის შესახებ. საგულისხმოა, რომ რესპონდენტები უფრო ხშირად ირჩევდნენ ისეთ დადებით დებულებებს, როგორებიცაა „დემოკრატია და კანონის უზენაესობა“ (45%), „კულტურული და მეცნიერული მიღწევები“ (38%) და „ყველაზე მდიდარი და აყვავებული რეგიონი" (35%). უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო ხშირად ასახელებდნენ „დემოკრატიას და კანონის უზენაესობას“ (60%) და „კულტურულ და მეცნიერულ მიღწევებს“ (49%), მთლიან შერჩევასთან და დაწყებითი ან საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებთან შედარებით. საგულისხმოა, რომ ძალიან ცოტა ირჩევდა უარყოფითი კონოტაციის დებულებებს (დიაგრამა 21). მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა შეარჩია აბსტრაქტული ან ნეიტრალური დებულებები.

## ქვეყნის მეგობრები და მტრები

ახალგაზრდებს საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება და უცხო ქვეყნების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. როდესაც ახალგაზრდებს სთხოვეს, დაესახელებინათ ერთი კონკრეტული სახელმწიფო, რომელიც, მათი აზრით, კვლევა, საქართველო უახლოესი მოკავშირეა, ახალგაზრდები ყველაზე ხშირად რეგიონის ან მეზობელ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებდნენ (დიაგრამა 22). გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი ასახელებს უკრაინას (28%), ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს (18%) და თურქეთს (11%). ცალკე აღებული არც ერთი ევროპული ქვეყანა არ დაუსახელებია გამოკითხულთა 2%-ზე მეტს. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს (საფრანგეთი,

დიაგრამა 21: **ქვემოთ ჩამოთვლილი შეხედულებებიდან ყველაზე მეტად რომელი ემთხვევა თქვენს პირად შეხედულებას ევროპის შესახებ? (%, სრული შერჩევა)**



გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, შვეიცარია და ესპანეთი), მთლიანობაში მათ გამოკითხულთა 8% ასახელებს. ქვეყნების მრავალფეროვანი სიის მიუხედავად, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს არ შეუძლია კონკრეტული მეგობარი ქვეყნის დასახელება (10 პროცენტმა არ იცის) ან მიიჩნევს, რომ ასეთი არ არსებობს (19%) (დიაგრამა 22).

რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, თუ როგორ აფასებდნენ უცხო ქვეყნების როლს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობასა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. მართალია, ევროკავშირის არცერთი სახელმწიფო არ დასახელებულა, როგორც საქართველოს ახლო მეგობარი, ევროკავშირი განიხილება, როგორც უმთავრესი აქტორი საქართველოს ეკონომიკური ზრდის (58%), ადამიანთა უფლებების დაცვისა (64%) და ეროვნული უსაფრთხოების ხელშეწყობის (59%) თვალსაზრისით. ამ მხრივ, მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები. ძალიან ცოტა ასახელებს მეზობელ ქვეყნებს, როგორც მოსალოდნელ პარტნიორებს საქართველოს განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის. ერთადერთი მცირე გამონაკლისი ამ კუთხით არის თურქეთი: ახალგაზრდების 12% მიიჩნევს, რომ თურქეთთან თანამშრომლობა შესაძლოა, ხელსაყრელი იყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის (დიაგრამა 23).

დიაგრამა 22: **თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა საქართველოს ყველაზე ახლო მეგობარი? (%, ერთი პასუხი, სრული შერჩევა)**




დიაგრამა 23: **რომელ ქვეყნებთან თანამშრომლობა შეიტანს წვლილს ... ა) საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში, ბ) საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვაში და გ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში (%, ერთზე მეტი პასუხი, სრული შერჩევა)**



სხვადასხვა საგარეო აქტორთან საქართველოს ურთიერთობის სარგებლის შეფასებისას, ახალგაზრდების შეხედულებებს შორის განსხვავებები იკვეთება ეთნიკური, განათლების დონისა და დასახლების ტიპის ნიშნით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ნაკლებად მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა ან ეროვნული უსაფრთხოების გაუმჯობესება (დიაგრამა 24). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ასევე მსგავსი შეხედულება აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით (დიაგრამა 25.). რესპონდენტები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, უფრო მეტად მიიჩნევენ ევროკავშირის სახელმწიფოებს საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვან აქტორად.

დიაგრამა 24: **საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირის სახელმწიფოებთან ხელს შეუწყობს... ა) საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, ბ) საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას და გ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას (%, ერთზე მეტი პასუხი, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**

დიაგრამა 25: **საქართველოს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელს შეუწყობს... ა) საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, ბ) საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას და გ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას (%, ერთზე მეტი პასუხი, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის პოტენციურად დადებით შედეგებთან ერთად, რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, თუ რომელ ქვეყნებთან თანამშრომლობა შეუქმნის საფრთხეს საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ უსაფრთხოებას, საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ეკონომიკურ სისტემას. ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მესამედი საქართველოს ეროვნული ღირებულებებისთვის (72%), ეროვნული უსაფრთხოებისთვის (78%) და ეკონომიკური სისტემისთვის (74%) საფრთხედ მიიჩნევს რუსეთს. კიდევ უფრო დიდი წილი (84%) მიიჩნევს, რომ რუსეთი საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, არცერთ ქვეყანას არ მიუღია 10 პროცენტზე მეტი (დიაგრამა 26).

საქართველოს ეროვნული ღირებულებებისთვის, ეროვნული უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფოებრიობისთვის, და ეკონომიკური სისტემისთვის რუსეთის საფრთხეს თანაბრად აღიქვამენ ახალგაზრდები ყველა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში. თუმცა, იკვეთება რამდენიმე გამონაკლისი - ეთნიკურად ქართველები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო მეტად აღიქვამენ რუსეთს საფრთხედ ყველა ზემოთ დასახელებულ ასპექტში: საფრთხე ეკონომიკური სისტემისთვის (ეთნიკური ქართველები 76%, ხოლო ეთნიკური უმცირესობები 40%); საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის (ეთნიკური ქართველები 86%, ხოლო ეთნიკური უმცირესობები 41%); საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის (ეთნიკური ქართველები 81%, ხოლო ეთნიკური უმცირესობები 34%) და საფრთხე ეროვნული ღირებულებებისთვის (ეთნიკური ქართველები 74%, ხოლო ეთნიკური უმცირესობები 36%) (დიაგრამა 27). დასახლების ტიპი ასევე დაკავშირებულია რუსეთის საფრთხედ აღქმასთან: თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (77%) ოდნავ უფრო მეტად მიიჩნევენ რუსეთს საფრთხედ საქართველოს ეროვნული ღირებულებებისთვის, სხვა ქალაქებსა (71%) და სოფლად მცხოვრებ (68%) ახალგაზრდებთან შედარებით (დიაგრამა 27).

დიაგრამა 26: **თქვენი აზრით, ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომლებთან თანამშრომლობა შეუქმნის საფრთხეს... ა) საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს; ბ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას; გ) საქართველოს სახელმწიფოებრიობას; დ) საქართველოს ეკონომიკურ სისტემას (%, ერთზე მეტი პასუხი, სრული შერჩევა)**



დიაგრამა 27: **საქართველოს თანამშრომლობა რუსეთთან საფრთხეს შეუქმნის... ა) საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს, ბ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, გ) საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დ) საქართველოს ეკონომიკურ სისტემას (%, ერთზე მეტი პასუხი, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**




# დამოკიდებულებები ევროკავშირის, ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ

რესპონდენტთა საგარეო პოლიტიკური დამოკიდებულების უფრო სიღრმისეულად გასაანალიზებლად მათ სთხოვეს, შეეფასებინათ საერთაშორისო პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური ინსტიტუტების როლები. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები ძირითადად დადებითად აფასებენ კითხვარში მათთვის წარმოდგენილ ყველა სუბიექტს (დიაგრამა 28). გამოკითხულთა უმრავლესობას (79%) სჯერა, რომ ევროკავშირი აშკარად დადებით ან შედარებით დადებით როლს თამაშობს საქართველოში. დაახლოებით სამი მეოთხედი ერთნაირად აფასებს ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გავლენას, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, და მსოფლიო ბანკი (73%). დადებითად ფასდება ნატოსა (73%) და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლიც, როგორიცაა გაერო (75%).

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები საერთაშორისო ინსტიტუტების როლს საკმაოდ დადებითად აღიქვამენ, ეს აღქმები არაერთგვაროვანია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში. ზოგადად, ახალგაზრდა ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ოდნავ უფრო დადებითად ახასიათებენ საერთაშორისო ორგანიზაციების როლს (დიაგრამა 29). ყველაზე უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ასევე უფრო პოზიტიურად აფასებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ინსტიტუტებს, მაღალ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები საერთაშორისო ინსტიტუტების როლს ასევე უფრო პოზიტიურად აფასებენ.

ამ შედეგების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ფოკუსჯგუფების მიმდინარეობისას, ბევრი ახალგაზრდა ემხრობოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ამ ახალგაზრდების აზრით, ევროკავშირი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს როგორც ფინანსურად, ისე მორალურად. შესაბამისად, ევროკავშირის წევრობა საქართველოს მხოლოდ სარგებელს მოუტანს: „ჩემი აზრით, ამოისუნთქებს საქართველო მაგის [ევროკავშირში გაწევრიანების] მერე ფინანსურადაც და ყველაფრით რა“ (მამაკაცი, 19 წლის).

დიაგრამა 28: **რა ხარისხით თამაშობენ დადებით ან უარყოფით როლს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები/ინსტიტუტები საქართველოში? (%, სრული შერჩევა)**




დიაგრამა 29: **რა ხარისხით თამაშობენ დადებით ან უარყოფით როლს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები/ინსტიტუტები საქართველოში? (წარმოდგენილია მხოლოდ „საკმაოდ დადებითი როლი“ და „აშკარად დადებითი როლი“ პასუხების ჯამი, % სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



რესპონდენტები ამ კონტექსტში ახსენებენ რუსეთსაც და მიიჩნევენ, რომ რუსეთი ხელს უშლის საქართველოს, გახდეს ევროპის ნაწილი. ვინაიდან საქართველოს კონფლიქტი აქვს რუსეთთან, ევროკავშირის წევრობა ამ პირობებში გამორიცხულია. ზოგიერთი იხსენებს 2008 წლის ომს და აღნიშნავს, რომ იმ რთულ პერიოდში ევროპა საქართველოს გვერდით იდგა. ამის საპირისპიროდ, ახალგაზრდების ნაწილი აღნიშნავს, რომ ევროპა არ გარისკავს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას საქართველოს გამო და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქართველს სურს დასავლეთის ნაწილი გახდეს, ევროპა არ შეეწინააღმდეგება რუსეთს, თუ არ დავამტკიცებთ, რომ ამას ვიმსახურებთ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, იმისათვის რომ ევროპამ მიიღოს საქართველო, სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი:

„...იმათ აქვთ ხელშეკრულება, რომელსაც აქვს პუნქტები და ჩვენ უნდა შევასრულოთ და დავაკმაყოფილოთ. ისინი ითხოვენ თავისუფალ სასამართლოს, რასაც ჩვენ არ ვაკეთებთ, იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცებს არ აწყობთ. რა ვქნათ? ჩვენ ვერაფერს ვერ ვიზამთ... მე გამოსავალს [ვხედავ] მთავრობის ცვლილებაში, პარლამენტში უნდა შევიდეს სერიოზული ცვლილებები და მივიღოთ ეს დამოუკიდებელი სასამართლო..., ურთიერთობები, რომელიც ქვეყანასაც გამოადგება, ჩვენ ევროკავშირთან ურთიერთობასაც [გამოადგება] და, ალბათ, მომავალშიც გამოგვადგება, რომ რუსეთს როცა მოუნდება, მაშინ არ გადაგვიაროს" (მამაკაცი, 20 წლის).

# დისკუსია

ევროპელობა და ევროპული იდენტობის საკითხი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ დისკურსში. ევროპის სიახლოვეს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის აღნიშვნით ქართული ელიტის პოპულარული დისკურსი ყოველთვის ხაზს უსვამდა ქართველების „ევროპელობას".[57] რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, უახლესი კვლევების თანახმად, ახალგაზრდა ადამიანების (18-35 წლის) უმრავლესობა (73%) ეთანხმება ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის განცხადებას: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი"[58]. იმავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა (62%) ასევე მიიჩნევს, რომ საქართველო ევროპული სახელმწიფოა.

იმის ფონზე, რომ ქართველების უმრავლესობა თავს ევროპელად მიიჩნევს, საინტერესოა, როგორ ესმით მათ ევროპის ცნება და რას წარმოადგენს მათთვის ევროპა. დიდი ნაწილისთვის ევროპა არის ეკონომიკური აყვავების, პროგრესისა და კანონის უზენაესობის სივრცე. ეს დაკვირვება ფართო საზოგადოებისთვისაც რელევანტურია. 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვა ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულებების შესახებ აჩვენებს, რომ ქართველთა 77% მხარს დაუჭერდა ევროკავშირის წევრობას (აქედან 81 პროცენტს წარმოადგენენ 18-35 წლის ახალგაზრდები), რისი მთავარი მიზეზიც იქნებოდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი (56%, 18-35 ახალგაზრდების 55%)[59]. მსგავსი მიგნებები იკვეთება ქართველი სკოლის მოსწავლეების განწყობების კვლევაშიც[60].

ევროპის დადებით აღქმასა და მის მომხიბვლელ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, ევროპელობის იდეა ხშირად „აზიელობის" საპირისპიროდ განიხილება, ან იმად, რაც შეიძლება დაუპირისპირდეს რუსეთს და რუსოფილურ დამოკიდებულებებს[61]. ევროპისა და რუსეთის ამგვარი შეპირისპირება ახალი არ არის, ვინაიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის დისკურსი უკვე მრავალი წელია გაჯერებულია დასავლეთსა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთების დისკურსით.[62] ახალგაზრდებს ამ საკითხის მიმართ მკაფიო შეხედულება აქვთ: ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო დადებით გავლენა აქვთ საქართველოს განვითარებაზე, მაშინ, როდესაც რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს ღირებულებების, ეკონომიკური სისტემის, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

გარდა იმისა, რომ ეს მიგნებები ასახავს ობიექტურ რეალობასა და პიროვნულ აღქმებს, ასევე უკავშირდება რუსეთის, როგორც „მტრის" იმიჯს და რუსულ-ქართული რთული ურთიერთობების - „ჩვენ მათ წინააღმდეგ" დიქოტომიას[63]. ვინაიდან საქართველოს უახლეს წლებში გამოცდილი აქვს რუსეთის მხრიდან ძალადობა, უახლესი

კვლევები ამტკიცებს, რომ ძალადობის მსგავსი გამოცდილება უფრო მეტად არის დაკავშირებული რუსეთის მიმართ მზარდ აგრესიასა და რუსეთის საფრთხედ აღქმასთან[64].

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები აღიარებენ ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დადებით გავლენას საქართველოს განვითარებაზე, გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის (28%) ყველაზე ახლო მეგობარი ქვეყანა საქართველოსთვის არის უკრაინა, ამერიკის შეერთებული შტატები (18%) კი მეორე ადგილზეა. ამ შედეგის ინტერპრეტირებისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ საველე კვლევა დაემთხვა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყებას 2022 წლის თებერვალში. მსგავსი შეფასება შეიძლება გამოეწვია ერებს შორის სოლიდარობის განცდას ომში მყოფი მეგობრული სახელმწიფოსადმი. CRRC საქართველოს კავკასიის ბარომეტრის 2021 წლის კვლევაში, რომელიც ომის დაწყებამდე ჩატარდა, ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყნის მთავარი მეგობარი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო შემდგომ უკრაინა[65]. საერთო ჯამში, ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოები რესპონდენტების სულ 6 პროცენტმა დაასახელა.

საგარეოპოლიტიკისმიმართდამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესახებ დასმული კითხვების მრავალფეროვნებამ აჩვენა, რომ დასახლების ტიპი უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ახალგაზრდების პოზიციებთან. უფრო ხშირი და მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა განათლების დონე და ეთნიკური წარმომავლობა. თუმცა, გასათვალისწინებელია კვლევის კონტექსტი და საქართველოში განათლებას, ეთნიკურობასა და გეოგრაფიულ ფაქტორებს შორის ურთიერთობა. მსოფლიოს ბანკის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად იყვნენ განათლების სისტემიდან, მათ შორის უმაღლესი განათლებიდან გათიშულნი. იგივე კვლევა ყურადღებას ამახვილებს სოციალური ინკლუზიურობის სისტემის არარსებობაზეც, რაც ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს.[66]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება არის ის, რომ ახალგაზრდების თითქმის ერთ-მესამედს (29%) არ შეუძლია ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა, ან ფიქრობს, რომ საქართველოს საერთოდ არ ჰყავს მეგობარი ქვეყნები. „დისტანციურობის", „იზოლაციის" ან „უნიკალურობის" მსგავსი ტენდენციები დასტურდება სხვა კვლევებშიც. 2015 წლის კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი მოსახლეობა ვერ ასახელებს ქვეყანას, რომელიც ჰგავს საქართველოს ტრადიციებით[67] ან თანამედროვე კულტურით.[68] შესაძლოა, ასეთი მოსაზრება გამომდინარეობს დამკვიდრებული ისტორიული ნარატივიდან, რომ ქართველები არიან „განსხვავებული ხალხი, რომლებსაც არ აქვთ კავშირი რომელიმე სხვა დიდ ენობრივ ჯგუფთან", რომელიც ისტორიულად კონფლიქტებითაა მოცული სახელმწიფოებრიობისა და რელიგიური იდენტობის შენარჩუნების მიზნით[69]. როგორც შუბლაძისა და კოლეგების კვლევა მოწმობს, მსგავსი დამოკიდებულებები შეიძლება გამომუშავებული იყოს ქართული ისტორიოგრაფიიდან გამომდინარე. ქართული ისტორიის სახელმძღვანელოები საკითხებს იზოლირებულად განიხილავს და იშვიათად აანალიზებს მოვლენებს რეგიონულ ან მსოფლიოს ისტორიის კონტექსტში.[70]

8

# ნაწილი V: უახლესი წარსულის გააზრება

# შესავალი

როგორ აფასებენ ახალგაზრდები თავიანთ წარსულს? მართალია, საქართველოს მღელვარე უახლესი წარსულის შესახებ დისკუსიები ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებს აცოცხლებს, ქართველები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ცდილობენ მეტი გაიგონ თავიანთი წინაპრების შესახებ. უახლესი კვლევის მიხედვით, საქართველოში საშუალო სკოლის მოსწავლეების თითქმის სამი მეოთხედი (76%) მიიჩნევს, რომ საბჭოთა, პოსტდამოუკიდებლობის ხანა საქართველოს ისტორიაში ყველაზე საინტერესო პერიოდია[71].

ისტორიით დაინტერესების გარდა, საბჭოთა წარსულის გახსენება ხშირად არის დაკავშირებული ისეთ სენტიმენტებთან, როგორებიცაა მატერიალური კეთილდღეობა და სოციალური მობილობის შესაძლებლობა. ჯერ კიდევ მრავალი ქართველი აკავშირებს სახელმწიფოს კეთილდღეობას საბჭოთა მმართველობასთან[72] - დამოკიდებულება, რაც ხშირად გვხვდება საბჭოთა ნოსტალგიაში. მაგალითად, 2021 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 38%, მათ შორის 18-34 წლის ახალგაზრდების 19% მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ქართული საზოგადოებისთვის საზიანო იყო.[73] ხოლო კითხვაზე, თუ რა არის ამის მიზეზი, უმეტესობა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ასახელებს.[74]

დღეს საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანზიციის ტრავმა კვლავ აისახება ქართულ საზოგადოებაში არსებულ ზოგად დისკურსზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგი ათწლეული მეტწილად არასტაბილური, მღელვარე და არაპროგნოზირებადი პერიოდი იყო, რაზეც იმოქმედა კაპიტალისტურ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და მისმა თანმხლებმა არაერთმა სოციალურმა პრობლემამ.[75] გასაკვირი არ არის, რომ ბევრი ქართველი ამ ეპოქას წარუმატებლობას უკავშირებს. კითხვაზე, თუ რა იყო საქართველოს მთავრობის მთავარი წარმატება 1992 წლიდან 2003 წლამდე, ყველაზე ხშირად (34%) მოსახლეობა პასუხობს, რომ მთავრობას არ ჰქონდა არავითარი წარმატება. ამასთან, ძირითადი წარუმატებლობები დაკავშირებული იყო ეკონომიკის ჩამოშლასა და სტაგნაციასთან[76]. ამრიგად, მიმდინარე თავი ყოვლისმომცველად განიხილავს, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები ქვეყანაში წინა საუკუნის მიმდინარე მოვლენებს.

# ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების 63% მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის დადებითი მოვლენა იყო. ახალგაზრდები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და ცხოვრობენ თბილისში, უფრო ხშირად ემხრობიან ამ მოსაზრებას, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით (64%). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (44%) საბჭოთა კავშირის დაშლის საკითხს ნაკლებ დადებითად აფასებენ.
- ჯგუფურ დისკუსიებშიც ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის დაშლას ძირითადად დადებითად აფასებენ. ამას უკავშირებენ დამოუკიდებლობის მოპოვებას და სიტყვის თავისუფლების მოპოვებას. თუმცა, ზოგიერთი მონაწილე ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის დაშლის უარყოფით შედეგებსაც, როგორიცაა გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის ფარგლებში საქართველოს განსაკუთრებული ადგილის დაკარგვა.
- მონაწილეების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის დაშლისა და თანამედროვე რუსეთის მიმართ მეტ-ნაკლებად უკავშირდება ერთმანეთს. ისინი, ვინც რუსეთს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხედ აღიქვამენ, უფრო დადებითად აფასებენ საბჭოთა კავშირის დაშლას.
- საბჭოთა კავშირის დაშლის დადებითად შეფასების საპირისპიროდ, დამოუკიდებლობის შემდგომ, 1990-იანი წლების პერიოდს ახალგაზრდები უარყოფითად აფასებენ. უარყოფითი დამოკიდებულება უფრო ხშირია მამაკაცებში, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებსა და ეთნიკურ ქართველებში.
- მათი უმეტესობა, ვინც დადებითად აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლას, მიიჩნევს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულმა საქართველოს „უფრო მეტი ცუდი რამ მოუტანა, ვიდრე კარგი".

- ამჟამინდელი სიტუაციის 1990-იან წლებთან შედარებისას, ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა მრავალი მიმართულებით: საკუთარი აზრის გამოხატვა, საკუთარი რელიგიური ცხოვრების არჩევა, დამოუკიდებლად ცხოვრება, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება, უსაფრთხოების განცდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და ფულის გამომუშავება უფრო მარტივი გახდა.
- 1990-იანი წლების უარყოფითი შეფასებები უფრო მეტად უკავშირდება ცხოვრების ხარისხის კონკრეტული ასპექტების გაუმჯობესებას. მსგავსი ტენდენცია იკვეთება უსაფრთხოების განცდის, ხარისხიანი სამედიცინო დახმარების, ფულის გამომუშავებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მხრივ.

## დამოკიდებულებები საბჭოთა კავშირის მიმართ

ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის დადებითი მოვლენა იყო (დიაგრამა 30). საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული დადებითი სენტიმენტები უფრო მაღალია დედაქალაქში (73%), სხვა ქალაქებთან (60%) ან სოფლებთან (58%) შედარებით. განათლება მსგავსი დამოკიდებულების ახსნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია - უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები (77%) უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი იყო, საშუალო (61%) ან დაწყებითი (57%) განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით. სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების შედარებისას ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ყველაზე იშვიათად აფასებენ საბჭოთა კავშირის დაშლას დადებითად: მათგან მხოლოდ 44% (თუმცა, მაინც ყველაზე დიდი ნაწილი) მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა სასიკეთო იყო, ხოლო 28% ფიქრობს, რომ, ზოგადად, საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი იყო. საგულისხმოა, რომ სხვა ქვეჯგუფებთან შედარებით, ეს ყველაზე მაღალი უარყოფითი შეფასებაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ მოსაზრებები უფრო ღრმად იყო განხილული ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლას უარყოფით მოვლენად აღიქვამს, მონაწილეები, უმეტესწილად, მაინც მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება დადებითი მოვლენა იყო. რამდენიმე მონაწილემ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას უარყოფითად აფასებს, გაიხსენა მშობლებისა და ბებია-ბაბუის ისტორიები და აღნიშნა, რომ ისტორიულად იმ პერიოდში მეტი დისციპლინა არსებობდა და ხალხს იმის ყიდვა შეეძლო, რაც მოესურვებოდა. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი იყო ძლიერი სახელმწიფო ძლიერი ეკონომიკით. თუმცა, ისინი ასევე აღიარებდნენ ფაქტს, რომ ეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარჯზე ხდებოდა:

„როგორც ვიცი, ჩემი მშობლების და ბებია-ბაბუის თქმით, ძალიან ძლიერი ქვეყანა იყო და კარგი ქვეყანა იყო, საქართველოშიც კარგი ცხოვრება იყო, უბრალოდ დიდი მინუსი იყო, რომ თავისუფალი ქვეყანა არ ვიყავით. ჩვენ ვიყავით რესპუბლიკა, საბჭოთა რესპუბლიკა... მე ვიტყვი, რომ ეს [დაშლა] იყო - კარგიც და ცუდიც. კარგია, რადგან ამის შემდეგ მოვიპოვეთ თავისუფლება, ხალხი რომ დაიშალა, მაგრამ ცუდია, რადგან ამის შემდეგ ცხოვრება დაინგრა და კარგად ვიცით, რამხელა გაჭირვება გამოიარა საქართველომ ამის შემდეგ... კარგი იყო, რომ ხალხი კარგად ცხოვრობდა ქვეყანაში და ცუდია, რა თქმა უნდა, რადგან არ ვიყავით თავისუფლები..."
(მამაკაცი, 17 წლის).

ახალგაზრდები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას უარყოფითად აფასებენ, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირში „ყველაფერი კაპიკები ღირდა" (მამაკაცი, 29 წლის), რომ მისი დაშლის შემდეგ ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდა და რომ ქვეყანამ დაკარგა ხიბლი: „საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენ საბჭოთა კავშირში ყველაზე მაგარი ერი ვიყავით რუსეთის შემდეგ, თითქმის პირველ ადგილზე ვიყავით. მაგრამ ახლა, ვინ იცის, ალბათ ყველაზე ბოლოში ვართ..." (მამაკაცი, 16 წლის).

დიაგრამა 30: **სსრკ დაიშალა დაახლოებით 30 წლის წინ. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი იცით სსრკ-ზე, როგორ ფიქრობთ, სსრკ-ს დაშლა დადებითი მოვლენა იყო თუ უარყოფითი? (%, სრული შერჩევა)**




მეორე მხრივ, ახალგაზრდებისთვის ღირებულია თავისუფლება, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოიპოვა. ბევრმა ახსენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქვეყანა დამოუკიდებელი და თავისუფალი გახდა, უფრო განვითარებული და უფრო თანამედროვე. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ საბჭოთა პერიოდში ადამიანები უმეტესად შიშში ცხოვრობდნენ და „არ ჰქონდათ თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება" (ქალი, 14 წლის). ახალგაზრდების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1990-იან წლებში მრავალი სირთულის გადალახვა მოუწია, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის მიმართ დამოკიდებულებები გარკვეულწილად დაკავშირებულია თანამედროვე რუსეთის მიმართ დამოკიდებულებებთანაც. როგორც საგარეო პოლიტიკის შესახებ წინამდებარე თავში არის აღნიშნული, ახალგაზრდები რუსეთს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრიობისთვის უმთავრეს საფრთხედ მიიჩნევენ. ახალგაზრდები, რომლებიც ამ მოსაზრებას ეთანხმებიან, უფრო ხშირად მიიჩნევენ საბჭოთა კავშირის დაშლას დადებით მოვლენად (დიაგრამა 31). უფრო მეტიც, ახალგაზრდების იმ 59 პროცენტიდან, რომელმაც რუსეთი საქართველოს ეკონომიკური სისტემისთვის, სახელმწიფოებრიობის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული ღირებულებებისთვის პირველ საფრთხედ დაასახელა, 68% მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი მოვლენა იყო, ხოლო იგივე მაჩვენებელი მათთვის, ვინც რუსეთს ამ მიმართულებებით საფრთხედ არ მიიჩნევს, 56 პროცენტია (დიაგრამა 31).

დიაგრამა 31: **როგორ ფიქრობთ, სსრკ-ს დაშლა დადებითი მოვლენა იყო თუ უარყოფითი? (%, მხოლოდ ის, ვინც აღნიშნა, რომ რუსეთთან თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის ... ა) საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს, ბ) საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, გ) საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დ) საქართველოს ეკონომიკურ სისტემას)**



# „ბნელი წლების“ გახსენება - მოგონებები 1990-იანი წლებზე

ახალგაზრდები 1990-იან წლებს მეტწილად უარყოფითად ახასიათებენ. მხოლოდ გამოკითხულთა მეოთხედი (26%) მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა ათწლეულმა ქვეყანას უფრო მეტი კარგი მოუტანა, ვიდრე ცუდი. საინტერესოა, რომ ეს შეხედულება თანაბრად გავრცელებულია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, მიუხედავად პირადი გამოცდილების ქონა-არქონისა (დიაგრამა 32). ქალები (31%) უფრო მეტად აფასებენ 1990-იან წლებს დადებით ჭრილში, ვიდრე მამაკაცები. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებები ძირითადად უმნიშვნელოა, გარკვეული განსხვავებები შეინიშნება განათლების დონის მიხედვით: უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები უფრო უარყოფითად აფასებენ 1990-იან წლებს, ვიდრე შედარებით დაბალი განათლების დონის მქონე ახალგაზრდები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ოდნავ უფრო დადებითად აფასებენ 1990-იან წლებს, თუმცა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მათ უფრო ხშირად უჭირთ (35%), ვიდრე ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს (15%) (დიაგრამა 32).

დიაგრამა 32: **როგორ ფიქრობთ, 90-იანმა წლებმა ქვეყანას უფრო მეტი კარგი მოუტანა თუ ცუდი? (%, სრული შერჩევა)**



1990-იანი წლების გავლენის შესახებ შეხედულებები, როგორც ჩანს, დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ შეხედულებებთან, თუმცა, სავარაუდოა, კონტრინტუიციურად (დიაგრამა 33). მათ შორის, ვინც მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი მოვლენა იყო, 23% ასევე მიიჩნევს, რომ 1990-იანმა წლებმა საქართველოს უფრო მეტი კარგი მოუტანა, როდესაც დარჩენილი 68% მიიჩნევს, რომ 1990-იანმა წლებმა საქართველოს უფრო მეტი ცუდი მოუტანა.

1990-იან წლებთან შედარებით, გამოკითხულთა აზრით, ცხოვრება დღეს ბევრად უფრო უპრობლემოა: დღეს, გარკვეულწილად, ბევრად მარტივია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა (83%), რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების თავისუფლად მიღება (80%), დამოუკიდებლად ცხოვრება (79%) და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება (79%). უმრავლესობისთვის სიტუაცია შეიცვალა პოლიტიკური მონაწილეობისა (74%) და თანხის გამომუშავების (73%) თვალსაზრისითაც. თუმცა, ამ დებულებებმა, მთლიანობაში, ნაკლები მხარდაჭერა და მეტი უარყოფითი შეფასება მიიღო, სხვა განხილულ დებულებებთან შედარებით (დიაგრამა 33).

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის თანამედროვე საქართველო 1990-იანი წლების საქართველოს ბევრად სჯობს, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, საქართველოსთვის 1990-იანი წლების გავლენის შეფასება უკავშირდება თანამედროვე და მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოს შედარებით შეფასებას. მართალია, განსხვავებები დიდი არ არის, მაგრამ სულ მცირე 10 პროცენტიანი სხვაობაა უსაფრთხოების განცდასთან, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან მიმართებით. ახალგაზრდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ 1990-იანმა წლებმა საქართველოს უფრო მეტი ცუდი მოუტანა, უფრო დადებითად აფასებენ დღევანდელ საქართველოს 1990-იან წლებთან შედარებით, ვიდრე ახალგაზრდები, რომლებიც 1990-იან წლებს უფრო დადებით ჭრილში უყურებენ (დიაგრამა 34).

დიაგრამა 33: **1990-იანი წლების შეფასება იმის მიხედვით, სსრკ-ის დაშლა დადებითი მოვლენა იყო თუ უარყოფითი (%, სრული შერჩევა)**

როგორ ფიქრობთ, სსრკ-ს დაშლა კარგი მოვლენა იყო თუ ცუდი?



დიაგრამა 34: **როცა ფიქრობთ დღევანდელ დღეზე და იმაზე, რაც იცით ან რა წარმოდგენაც გაქვთ 1990-იანებზე, უფრო ადვილი გახდა თუ უფრო რთული რომ … (%, სრული შერჩევა)**




დიაგრამა 35: **დღევანდელობის შეფასება (მხოლოდ ორი პასუხი „გარკვეულწილად უფრო ადვილი" და „გაცილებით ადვილი") 1990-იანი წლების შეფასების მიხედვით (%, სრული შერჩევა)**

როცა ფიქრობთ დღევანდელ დღეზე და იმაზე, რაც იცით ან რა წარმოდგენაც გაქვთ 1990-იანებზე, უფრო ადვილი გახდა თუ უფრო რთული რომ …



# დისკუსია

ახალგაზრდების დამოკიდებულებები ქვეყნის უახლესი ისტორიის მიმართ არაერთგვაროვანია - უმრავლესობა დადებითად აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლას, თუმცა 1990-იანი წლებს საქართველოსთვის რთულ პერიოდად მიიჩნევს. თუკი საბჭოთა კავშირის დაშლა უფრო ხშირად დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ასოცირდება, 1990-იანი წლები უმეტესად წარუმატებელ სახელმწიფოსა და ეკონომიკურ სტაგნაციასთან კავშირში განიხილება. კვლევის ეს მიგნება თანხვდება თანამედროვე კვლევებს. მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების კვლევებმა აჩვენა, რომ უახლესი წარსულისადმი დადებითი დამოკიდებულებები და „გმირების" წოდება უფრო მეტად უკავშირდება ადამიანებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას და ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა კავშირს, ხოლო „ბოროტმოქმედები" ან ანტაგონისტები ასოცირდებიან საბჭოთა კავშირთან ან 1990-იან წლებთან[77]. კვლევის თანახმად, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უახლესი წარსულისადმი დამოკიდებულებები ერთმანეთისგან იშვიათად განსხვავდება, ძირითადად, ამ ორი პერიოდის განმასხვავებელი ეკონომიკური მახასიათებლების გამო. სამაგიეროდ, დამოკიდებულებები ძირითადად დაკავშირებულია რესპონდენტის განათლების დონესთან, დასახლების ტიპთან (ქალაქი, სოფელი) და ეთნიკურ წარმომავლობასთან.

მართალია, მოცემული კვლევა ნაკლებად შეისწავლის დამოკიდებულებებს შედარებით უახლესი წარსულის შესახებ, ამ თემაზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს საქართველოს 2003-2012 წლების ისტორიის მიმართ: ეს პერიოდი, ერთი მხრივ, ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასთან, კრიმინალთან ბრძოლასთან, კანონის უზენაესობისა და წესრიგის დამყარებასთან, მეორე მხრივ კი - ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებთან, 2008 წლის ომთან და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფასთან.[78] მიუხედავად მოცემული პერიოდის შესახებ აზრთა სხვადასხვაობისა, 2003 წლის ვარდების რევოლუცია უმრავლესობისთვის (მოსახლეობის 68%, მათგან 70% 18-34 წლის ახალგაზრდები) დადებით მოვლენად აღიქმება[79]. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი კვლევის ამ ტალღაში არ იყო შესწავლილი, ძალიან საინტერესო იქნება ამ თემის ჩართვა კვლევის მომავალ ტალღაში.

სავარაუდოდ, რესპონდენტების პოზიციის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს კოლექტიური მეხსიერებისა და ისტორიის გარშემო არსებული საზოგადოებრივი დისკურსები. მსგავსი დისკურსის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ლეგიტიმური წყაროა სკოლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალგაზრდების შემთხვევაში, რადგან მათ ამ გარემოში უწევთ სოციალიზაცია, ან უახლოეს წარსულში უწევდათ.

საქართველოში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმები და ოფიციალური განათლების პოლიტიკა მიზნად ისახავდა უაღრესად სტანდარტიზებული ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებას, ისტორიის უნივერსალური გაგების საფუძველზე[80].

კოლექტიურ მეხსიერებაზე მოქმედი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ზეპირი ისტორია, რომელიც ოჯახებში, თაობებს შორის ზიარდება. ფოკუს-ჯგუფის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულებებს საბჭოთა კავშირისა და 1990-იანი წლების მიმართ მეტწილად ოჯახური დისკუსიები განსაზღვრავს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების იზოლაცია და ე.წ. „ენობრივი ბარიერი" არაქართულენოვან მოქალაქეებს ამ ძირითადი საზოგადოებრივი დისკურსისა და განათლების სფეროსგან აშორებს[81]. შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლოა ჩამოუყალიბდათ უახლესი ისტორიის თავიანთი, ალტერნატიული ინტერპრეტაცია, რაც შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ეთნიკურ ქართველებს" შორის თუ სახელმწიფოში გაბატონებულ დისკურსს.

თანამედროვე პოლიტიკა და პოლიტიკური დღის წესრიგი ასევე ახდენს გავლენას წარსულის შესახებ დამოკიდებულებებზე. ამის მაგალითია ზემოხსენებული კავშირი თანამედროვე რუსეთის

აღქმასა და საბჭოთა კავშირის დაშლის მიმართ დამოკიდებულებებს შორის, სადაც დავინახეთ, რომ დღევანდელი რუსეთის როლის უარყოფითი შეფასება დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დაშლის დადებით შეფასებასთან. ეს კორელაცია შესაძლოა ლოგიკურიც იყოს, რადგან საქართველოში ბევრი ავლებს ამ პარალელს საკუთარი ქვეყნის რუსეთისგან გასამიჯნად. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასწავლო გეგმა ნათლად განასხვავებს საბჭოთა კავშირს და პოსტ-საბჭოთა რუსეთს, ბევრი ქართველი ახალგაზრდა ჯერ კიდევ ურევს ამ ორს ერთმანეთში და ორივეს თანაბრად ნეგატიურ ჭრილში ხედავს[82]. ეს კი ქართული საზოგადოებაში არსებულ უფრო ფართო ტენდენციებს ასახავს. მაგალითად, „რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულებისა და აღქმების" კვლევა, რომელიც ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ინიციატივით ჩატარდა, ცხადყოფს, რომ გარკვეული თვალსაზრისით, საზოგადოება ავლებს პარალელებს დღევანდელ რუსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის[83]. მართალია, ამ კავშირების შესწავლა შემდგომ კვლევას საჭიროებს, თუმცა, წარმოდგენილი მიგნებები სამომავლო კვლევისთვის ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს.

თუკი ახალგაზრდების უმრავლესობა მიესალმება საბჭოთა კავშირის დაშლას, მათი წარმოდგენები მომდევნო ათწლეულის შესახებ საკმაოდ უღიმღამოა. ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების „ობიექტური" ინდიკატორები არა მხოლოდ 1990-იანი წლების განმავლობაში საქართველოში არსებულ ეკონომიკურ დაღმავლობასა და რთულ ვითარებას აღწერს (მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშებში ასახული მდგომარეობა), არამედ საზოგადოების აღქმებსაც, რაც, ძირითადად, არასტაბილურობასთან, გაუარესებულ მდგომარეობასთან, უსამართლობასთან და განვითარების მწირ პერსპექტივებთან ასოცირდება. 90-იანი წლების ეს ეთოსი ღრმად არის ფესვგადგმული ქართულ ცნობიერებაში და ეს პერიოდი დღემდე აღიქმება ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების კუთხით წარუმატებლობისა და დანაკარგების ეპოქად.[84] საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების მსგავსად, კოლექტიური მოგონებების და, შესაძლოა, ოჯახური გამოცდილებებისა და ტრაექტორიების გათვალისწინებამ ამას მეტად მოჰფინოს ნათელი. თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში რთულად მოიძებნება თანამედროვე საქართველოზე 1990-იანი წლების გამოცდილების გავლენის ფუნდამენტური კვლევა. კვლევებში ასევე ნაკლებად ვხვდებით იმას, თუ როგორც აფასებენ და აღიქვამენ ახალგაზრდები ამ პერიოდს.

9

# ნაწილი VI: იდენტობა, ღირებულებები და რელიგია

# შესავალი

ჩვენი ღირებულებები, იდენტობა და რწმენა დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქცევასა და დამოკიდებულებებს. შესაბამისად, მათი საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ, ავხსნათ ან განვსაზღვროთ საზოგადოების განვითარების გარკვეული პატერნები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ღირებულებების შესწავლა, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ღირებულებების ჩამოყალიბების გზაზე არიან და თვითიდენტიფიცირდებიან აღზრდისა თუ სოციალიზაციის პროცესში. ღირებულებებისა და იდენტობის ფორმირება მიმდინარე პროცესია, შესაბამისად, ღირებულებები ბუნებრივად იცვლება დროსთან და თაობების ცვლასთან ერთად.

საზოგადოებაში ღირებულებებსა და რწმენას შორის არსებულ შეუსაბამობებს თაობათა შორის გახლეჩილობაც უწყობს ხელს, რაც ხშირად თაობათა შორის ურთიერთგაგების დეფიციტისა და დაძაბულობის მიზეზი ხდება. მართალია, შეიძლება ახალგაზრდების ღირებულებებსა და იდენტობას დიდი გავლენა არ ჰქონდეს ხმის მიცემის ასაკის მიღწევამდე, მომავალში ამ ღირებულებებსა და იდენტობას დომინანტურ სტანდარტებად ქცევის პოტენციალი აქვს. შესაბამისად, ამ ღირებულებებისა და იდენტობის ცხადი და ყოვლისმომცველი სურათის ქონა უაღრესად მნიშვნელოვანია.

ეთნიკურ კუთვნილებასთან ძლიერი მიჯაჭვულობა ქართული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია, ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებთან, კონსერვატიულ სექსუალობასთან დაკავშირებულ ღირებულებებთან და რელიგიურობასთან ერთად[85]. ამის მიუხედავად, კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები საქართველოში კოლექტივისტური, ოჯახზე ორიენტირებული და ტრადიციული ღირებულებებიდან თანდათან უფრო ე.წ. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებებისკენ იხ-რებიან, რაც გენდერული თანასწორობის მიმართ გაზრდილი მხარდაჭერისა და უმცირესობების მიმართ მიმღებლობის ზრდაში გამოიხატება[86]. ამასთან, მართალია, ტრადიციები და „თვითტრანსცენდენტურობა" ორივესთვის ღირებულია, ახალგაზრდებსა და უფროს თაობებს შორის განსხვავება იმაშიც ვლინდება, რომ ახალგაზრდები უფრო ღია არიან საზოგადოებრივი ცვლილებებისა და ახალი გამოწვევების მიმართ. ახალგაზრდებს მეტი მიმღებლობა აქვთ უმცირესობების ჩართულობის მიმართ[87] თავიანთ ქვეყანაში. ამის მიუხედავად, ჰომოფობია და უარყოფითი დამოკიდებულებების სიჭარბე არადომინანტური ჯგუფების მიმართ კვლავ ხშირია, მათ შორის ახალგაზრდებში[88].

საქართველოში ახალგაზრდების ერთ-ერთი მახასიათებელია, ასევე, უცხო ან „თანამედროვე" ღირებულებების შესრუტვა და მათი ტრადიციულ ღირებულებებთან აღრევა. ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, რომ, მართალია, ახალგაზრდები საქართველოში თავს ევროპელებად მიიჩნევენ და მიაჩნიათ, რომ „ევროპულ ღირებულებებს" იზიარებენ, მათთვის პრიორიტეტული და უფრო ფასეული „ქართული ეროვნული" ღირებულებებია[89]. ადგილობრივი და უცხო ღირებულებების, ნორმებისა და იდენტობის კომბინირებით მიღებული ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ადგილობრივი ქართული სენტიმენტები სჭარბობს, სხვა კვლევებშიც იკვეთება, როგორც ქართველი ახალგაზრდების გამორჩეული მახასიათებელი[90].

ახალგაზრდების კიდევ ერთი მახასიათებელია მონაწილეობითი ღირებულებებისგან გამიჯვნა და სპორადული ჩართულობა ფორმალურ თუ არაფორმალურ აქტივობებში. აქტივისტებისა და მთავრობის წარმომადგენლების აზრით, ქვეყანაში სამოქალაქო მონაწილეობისა და აქტივიზმის დაბალი მაჩვენებელი ფართოდ გავრცელებულ სოციალურ ნიჰილიზმსა და სოციალურ აპათიას უკავშირდება[91]. თუმცა, ეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს გარე ჯგუფების მიმართ სკეპტიციზმის ზოგად პატერნებსა და ინსტიტუტების მიმართ უნდობლობას, რაც ასოციაციების წევრობის დაბალ მაჩვენებელში, სოციალურ შეკრებებში დაბალ მონაწილეობაში და სოციალური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობაში გამოიხატება[92]. ამ დაკვირვებას კიდევ ერთხელ ადასტურებს წინამდებარე კვლევის წინა ტალღა,[93] „ახალგაზრდების კვლევა - თაობა ტრანზიციის პროცესში", რომელიც 2016 წელს ჩატარდა საქართველოში ახალგაზრდებზე ფოკუსირებულ სხვა კვლევებთან ერთად.[94]

საქართველოშიახალგაზრდებზეზემოთაღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით, ეს თავი იკვლევს ახალგაზრდების ღირებულებებს, იდენტობას, მონაწილეობასა და ურთიერთნდობას. სხვა საკითხებთან ერთად, ეს მოიცავს ისეთი საკითხების მიმართ დამოკიდებულებას, როგორიცაა სოციალური დისტანცია, რელიგიური ღირებულებები, ოჯახი და ოჯახური გარემო. ერთად აღებული ეს მონაცემები საქართველოში ახალგაზრდების სრული სურათის დანახვის საშუალებას იძლევა.

## ძირითადი მიგნებები

- როდესაც საქმე იდენტობას ეხება, ახალგაზრდების უმრავლესობა საკუთარ თავს ხედავს, როგორც საქართველოს მოქალაქეს (94%), როგორც ადამიანს საკუთარი ქალაქიდან, სოფლიდან ან რეგიონიდან (77%), როგორც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულს (62%) და როგორც კავკასიის რეგიონთან მიკუთვნებულს (59%). ახალგაზრდები საკუთარ თავს შედარებით უფრო იშვიათად ხედავენ მსოფლიო მოქალაქედ (50%) ან ევროპელად (41%). მსოფლიო მოქალაქეობის იდეას შედარებით უფრო უმცროსი ასაკის (14-17 წლის), ეთნიკური უმცირესობები და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები იზიარებენ. საკუთარი თავის ევროპელად მოაზრება ასევე უფრო ხშირი იყო ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის, თბილისის გამოკლებით.
- ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროს ახალგაზრდები განმარტავდნენ, რომ, ძირითადად, იმიტომ არ მიიჩნევენ თავს ევროპელად, რომ ქართული კულტურა სრულიად განსხვავდება ევროპული კულტურისგან. ახალგაზრდების ნაწილისთვის საქართველო ჯერ კიდევ არ არის ევროპის ნაწილი, ვინაიდან აკლია ევროპული ცნობიერება და განვითარება არაერთი მიმართულებით. მეორე მხრივ, ისინი, ვინც თავს ევროპელად ხედავს, განმარტავენ, რომ მათი ღირებულებები, შეხედულებები, მენტალობა, აზროვნება და ყოველდღიური რუტინა ევროპულთან ახლოსაა.
- ახალგაზრდების უმრავლესობა (81%) აცნობიერებს, რომ ინდივიდი არ უნდა იყოს დამოკიდებული მთავრობაზე და თვითავტონომიურობის პრინციპს უნდა იზიარებდეს. ახალგაზრდების დიდი ნაწილი (79%) ასევე მიიჩნევს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი მშობლიური ენის შესწავლის საშუალება.
- საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობისთვის რელიგიური ინსტიტუტები გარკვეულწილად წმინდა და სანდოა. ბევრი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში მათ განსაკუთრებული როლი აქვთ (71%) და ეწინააღმდეგებიან იმ იდეას, რომ სიტყვის თავისუფლება გულისხმობს უფლებას, აკრიტიკო ყველა რელიგია (69%). დედაქალაქთან შედარებით, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო გავრცელებულია სოფლისა და სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებში.
- ახალგაზრდები საქართველოში ქართული კულტურის დიდი დამცველები არიან და ამ საკითხს ძალიან კონსერვატიულად უდგებიან. თუმცა, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართ მათი დამოკიდებულებები არც თუ ისე სწორხაზოვანია. ერთი მხრივ, უმცირესობა (41%) ემხრობა მოსაზრებას, რომ სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის შერწყმა საქართველოსთვის უმჯობესია, უმრავლესობა (66%) კი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ იმიგრანტები უნდა მოერგონ საქართველოს კულტურულ ტრადიციებს. ამ უკანასკნელ მოსაზრებას უფრო ემხრობიან სოფლისა (70%) და ქალაქის ტიპის დასახლებებში (67%), ვიდრე დედაქალაქში (58%).
- ამასთან, თითქმის თანაბარია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც ემხრობა და ვინც ეწინააღმდეგება ჰომოგენურობისა და განსხვავებული კულტურების მიმართ ტოლერანტობის იდეას: 53% ეთანხმება და 47% ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის უმჯობესია, თუ თითქმის ყველა ერთნაირ წესჩვეულებებს მისდევს, ხოლო 51% ეთანხმება და 49% ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ საქართველოს ბევრ სხვა ქვეყანასთან საერთო კულტურული მახასიათებლები აქვს და მათი გავლენის მიმართ ღიაა. ზემოთ ნახსენებ პირველ მოსაზრებას მეტად ემხრობიან ახალგაზრდები, რომელთაც დაწყებითი

ან არასრული საშუალო განათლება აქვთ მიღებული (59%), ხოლო მეორე მოსაზრებას მეტად ემხრობიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (75%).

- პიროვნულ ღირსებასა და გულწრფელობასთან დაკავშირებული ღირებულებები ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ პარტნიორისერთგულება (95%), ასუხისმგებლობის აღება (95%), დამოუკიდებლობა (95%) და წარ-მატებული კარიერის შექმნა (93%) მათთვის მნიშვნელოვანია. შემდეგი ყველაზე გავრცელებული ღირებულებები კეთილდღეობასთან ასოცირდება. თუმცა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, როგორიცაა ჯანსაღი კვება (91%), კარგი შესახედაობა/გარეგნობა (88%) და სპორტით დაკავება (82%) ახალგაზრდები უფრო მეტად იზიარებენ, ვიდრე ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა გამდიდრების მცდელობა (67%). ამას გარდა, ოჯახური ღირებულებები, შვილების ყოლა (88%) და ქორწინება (77%) ასევე საკმაოდ ან ძალიან მნიშვნელოვანია. ოჯახური ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია მამაკაცებისა და 25-29 წლის ახალგაზრდებისთვის. ამასთან, დედაქალაქს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ქორწინება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დედაქალაქშიმცხოვრებიახალგაზრდებისთვის.
- პოლიტიკურდასამოქალაქომონაწილეობასთან დაკავშირებული ღირებულებები, როგორიცაა პოლიტიკაში აქტიურობა (22%) და სამოქალაქო აქტივობა (43%) ახალგაზრდებისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ეს ღირებულებები მცირედით უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ყველაზე უმცროსი წარმომადგენლებისთვის (14-17), სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.
- ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები ახალგაზრდებისთვის „პიროვნული ღირსება“, და „პატიოსნება/წესიერებაა“. ასევე ხშირად სახელდება „ერთგულება“ და „გულწრფელობა“.
- როდესაც სექსუალობაზე მიდგება საქმე, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) მიიჩნევს, რომ სექსუალური თავშეკავება ღირებულებაა/ღირსებაა ორივე სქესისთვის, ხოლო ახალგაზრდების ერთი მეოთხედისთვის ეს მოძველებული ცნებაა. თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (35%) უფრო მეტად მიიჩნევენ ამ ღირებულებას მოძველებულად, სხვა ქალაქებში (20%) და სოფლად (22%) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ასევე უფრო კრიტიკულად უდგებიან სექსუალური თავშეკავების საკითხს, დაწყებითი/არასრული საშუალო განათლებისა და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით.
- მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა არასდროს მიიჩნევს გამართლებულად ფიზიკურ (76%) და სიტყვიერ (69%) აგრესიას ან შეურაცხყოფის მიყენებას ქვიარ ადამიანებისთვის, სხვა თვალსაზრისით, მათი დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ, ძირითადად, უარყოფითი და კრიტიკულია. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ქვიარ ადამიანებს თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო მკურნალობა სჭირდებათ. ამ მიმართულებით ქალები და დედაქალაქში მცხოვრებიახალგაზრდებიუფროტოლერანტულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ.
- ინსტიტუტებს შორის ახალგაზრდები ყველაზე მეტად ენდობიან ჯარს (74%), ეკლესიას/ რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს (67%), პოლიციას (48%) და სასამართლოებს (39%). ჯარს და ეკლესიას დედაქალაქს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მეტად ენდობიან. ეკლესიას ასევე მეტად ენდობიან დაწყებითი და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით.
- ახალგაზრდები ინსტიტუტებს შორის ყველაზე ნაკლებად ენდობიან პოლიტიკურ პარტიებს (79% არ ენდობა), მედიას (74% არ ენდობა), პრეზიდენტს (71% არ ენდობა), პროფკავშირებს (67% არ ენდობა) და ეროვნულ მთავრობას (66% არ ენდობა). ამ ინსტიტუტებს ყველაზე ნაკლებად ენდობიან თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები, ხოლო ქალები, მამაკაცებთან შედარებით მეტ ნდობას ამჟღავნებენ.
- გამოკითხვამ გამოავლინა სამი ჯგუფი, რომელიც ახალგაზრდებისთვის ყველაზე მეტად მიუღებელია: ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანები (61%), ქვიარ ადამიანები (46%) და რუსეთიდან შემოსულები (44%), რომლებსაც ახალგაზრდები არ მისცემდნენ ქვეყანაში

შემოსვლის უფლებას, რომ შეეძლოთ. მეორე მხრივ, ახალგაზრდებისთვის ყველაზე მისაღები ადამიანები არიან მრავალშვილიანი დედები, რელიგიური ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები.

- ახალგაზრდების უმრავლესობა კვლავ მშობლებთან ან რომელიმე მშობელთან ერთად ცხოვრობს. მხოლოდ 3% ცხოვრობს ცალკე, ხოლო დაახლოებით მეოთხედი (24%) პარტნიორთან ან მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. ზოგადად, ახალგაზრდებს მშობლებთან კარგი ურთიერთობა აქვთ (58% აცხადებს, რომ ერთმანეთს კარგად უგებენ, 38% კი - რომ ძირითადად უგებენ ერთმანეთს).
- ახალგაზრდების მეოთხედი (25%) დაოჯახებულია, თუმცა ეს მაჩვენებელი მამაკაცებს და ქალებს შორის განსხვავდება. ქალები უფრო ხშირად (36%) არიან დაოჯახებულები, მამაკაცებთან (14%) შედარებით. თითქმის ყველა დაოჯახებულ ახალგაზრდას შვილებიც ჰყავს. რაც შეეხება იმათ, ვისაც ჯერ შვილები არ ჰყავს, 77% აპირებს შვილების ყოლას მომავალში. ხოლო როდესაც შვილების სასურველ სქესზე მიდგება საქმე, უმრავლესობა (58%) ამ საკითხის მიმართ ინდიფერენტულია.

## იდენტობა და მიკუთვნებულობა

როდესაც ახალგაზრდებს ჰკითხეს, თუ როგორ ხედავენ საკუთარ იდენტობას ეთნიკურობის, ეროვნულობის ან კოსმოპოლიტური მიკუთვნებულობის ჭრილში, ეროვნული სამოქალაქო თვითიდენტიფიკაცია ყველაზე დომინანტურია, ვინაიდან თითქმის ყველა ახალგაზრდა (94%) ძლიერ ან სრულად მიიჩნევს თავს საქართველოს მოქალაქედ (დიაგრამა 36). საკუთარი ქალაქის/სოფლის/რეგიონის მიკუთვნებულობის აღქმა ასევე საკმაოდ ხშირია (77%, პასუხების - „სრულიად" ან „ძლიერ" - ჯამი), თუმცა, ქვეყნის მოქალაქედ თვითაღქმაზე იშვიათად გვხვდება. მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური მიკუთვნებულობისგანცდა ასევე შედარებით ხშირია (62%), თუმცა, ხუთიდან ერთი (20%) ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ „ნაკლებად" ან „საერთოდ არ" მიაკუთვნებს თავს საკუთარ ეთნიკურ ჯგუფს (დიაგრამა 36 დიაგრამა 37). ზენაციონალური თვითიდენტიფიკაცია ასევე ნაკლებ დამახასიათებელია ახალგაზრდებისთვის, თუმცა, ამ მიმართულებითაც იკვეთება განსხვავებები. კავკასიური მიკუთვნებულობა (59%, პასუხების „ძლიერ" და „სრულიად" - ჯამი) უფრო გავრცელებულია, ვიდრე საკუთარი თავის ევროპელად ხედვა (41%). შეიძლება ითქვას, რომ ევროპელად თვითიდენტიფიკაცია ყველაზე იშვიათია გამოკითხვის ამ ნაწილში შეფასებული იდენტობებიდან (41%) – ისეთი აბსტრაქტული და გლობალური ხედვებიც კი, როგორიცაა საკუთარი თავის ხედვა „მსოფლიო მოქალაქედ" უფრო ხშირია (49%, დიაგრამა 36).

დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებ ენთუზიაზმით ხვდებიან მსოფლიო მოქალაქეობის იდეას რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. ამავდროულად, ეს იდეა მეტად პოპულარულია 14-17 (54%) ახალგაზრდებს შორის, უფრო მაღალ, 25-29 წლის (45%) ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. მსოფლიო მოქალაქეობის იდეას მეტად იზიარებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (62%), ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით (48%). რაც შეეხება საკუთარი თავის ევროპელად ხედვას, აქ განსხვავებები არც ასაკისა და არც ეთნიკურობის ნიშნით არ გამოიკვეთა, თუმცა ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები (დედაქალაქის გარდა) ახალგაზრდები უფრო მეტად იზიარებენ ამ იდეას დედაქალაქში და სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. ამასთან, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები (49%) უფრო ხშირად ხედავენ საკუთარ თავს ევროპელად, ვიდრე დაწყებითი განათლების (38%) და სრული საშუალო განათლების (39%) მქონე ახალგაზრდები (დიაგრამა 37).

დიაგრამა 36: **რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს - საკუთარ თავს ვხედავ როგორც...? (%, სრული შერჩევა)**




დიაგრამა 37: **რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს - საკუთარ თავს ვხედავ როგორც...? (პასუხების „ძლიერ" და „სრულიად" ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



როდესაც საქმე ეხება ეროვნულ, ეთნიკურ და ადგილობრივ ჭრილში თვითიდენტიფიკაციას, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით იკვეთება. უფრო კონკრეტულად - მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ერთსულოვნად მიიჩნევენ თავს საქართველოს მოქალაქედ, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (97%) ეს თვითაღქმა კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (91%). რაც შეეხება ქალაქის/სოფლის/რეგიონის მიმართ მიკუთვნებულობას, ქალაქის (86%) და სოფლის ტიპის (78%) დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები ამ იდეას მეტად ემხრობიან, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (70%). ამასთან, განსხვავებები იკვეთება ასაკობრივ ჯგუფებს შორისაც: 25–29 წლის ახალგაზრდები უფრო მეტად იხრებიან ადგილობრივი თვითიდენტიფიკაციისკენ (82%), უმცროსი ასაკის ახალგაზრდებთან შედარებით (72%) (დიაგრამა 38).

დიაგრამა 38: **რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს - საკუთარ თავს ვხედავ როგორც…? (პასუხების „ძლიერ“ და „სრულიად“ ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



კვლევის ფარგლებში, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს სთხოვეს, დაეფიქსირებინათ თავიანთი დამოკიდებულებები რამდენიმე დებულებასთან დაკავშირებით ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა სახელმწიფოს მართვა, იმიგრაცია, უმცირესობები, რელიგია და კულტურა. მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს საქართველოში ამ საკითხის გარშემო განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა (81%) სრულიად ან უფრო ეთანხმება დებულებას, რომ „ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საკუთარი თავების უზრუნველსაყოფად და არ იყვნენ დამოკიდებულნი მთავრობაზე". დაახლოებით მსგავსი რაოდენობა (79%) სრულად ან უფრო ეთანხმება, რომ „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დამატებით ისწავლონ მათი მშობლიური ენა, ქართული ენის გეგმიურ გაკვეთილებთან ერთად". რელიგიური ინსტიტუტები ახალგაზრდებისთვის ძალიან ღირებულია: ახალგაზრდების დაახლოებით ორი მესამედი (71%) მიიჩნევს, რომ რელიგიას საზოგადოებაში განსაკუთრებული როლი აქვს. დაახლოებით მსგავსი რაოდენობა (69%) სრულიად ან უფრო არ ეთანხმება, რომ სიტყვის თავისუფლება გულისხმობს ნებისმიერი რელიგიის გაკრიტიკების შესაძლებლობას. ახალგაზრდები საქართველოში ქართული კულტურის დიდი დამცველები არიან და ამ საკითხს ძალიან კონსერვატიულად უდგებიან: მათი უმრავლესობა (66%) მხარს უჭერს იდეას, რომ იმიგრანტები უნდა მოერგონ საქართველოს კულტურულ ტრადიციებს, ხოლო 58% არ ეთანხმება იდეას, რომ საქართველოსთვის უმჯობესია, თუ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის ნაზავი იქნება. ამის მიუხედავად, თითქმის თანაბარია რაოდენობა იმ ახალგაზრდებისა, ვინც ეთანხმება და ვინც ეწინააღმდეგება კულტურული ღიაობისა და ჰომოგენურობის იდეებს: ახალგაზრდების 53% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის უმჯობესია, თუ თითქმის ყველა ერთნაირ წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს მისდევს, 51% კი მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოება ბევრ სხვა ქვეყანასთან იზიარებს კულტურულ მახასიათებლებს და ღია უნდა ვიყოთ მათი გავლენის მიმართ (დიაგრამა 39).

დიაგრამა 39: **რომელს ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემული სიიდან? (%, სრული შერჩევა)**



აღნიშნული მოსაზრებების მიმართ დამოკიდებულების სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებების ანალიზის შედეგად იკვეთება დასახლების ტიპისა და განათლების დონის გავლენა (დიაგრამა 40). მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად ემხრობიან (38%), ხოლო დაწყებითი და არასრული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები ყველაზე მეტად ეთანხმებიან (47%) მოსაზრებას, რომ „საქართველოსთვის უმჯობესია თუ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის ნაზავი იქნება". ამ იდეას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი უმრავლესობა (67%) იზიარებს, მაშინ, როდესაც იმავე მოსაზრებას ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდების მხოლოდ 40% იზიარებს. ამასთანავე, დაწყებითი და არასრული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდების უმრავლესობა (59%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის უმჯობესია, თუ თითქმის ყველა ერთნაირ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს მისდევს, მაშინ, როდესაც იმავე მოსაზრებას უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების მხოლოდ 43% ეთანხმება. რაც შეეხება იმიგრაციის მიმართ დამოკიდებულებას, განსხვავებები იკვეთება დასახლების ტიპის მიხედვით: თუკი დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 58% იზიარებს მოსაზრებას, რომ იმიგრანტები უნდა მოერგონ საქართველოს კულტურულ ტრადიციებს, იმავე მოსაზრებას სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების 70% ეთანხმება. როდესაც საქმე ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შვილებისთვის თავიანთი მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობას, ამ მიმართულებით განსხვავებები არ გამოიკვეთა - ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ახალგაზრდები უჭერენ მხარს აღნიშნულ დებულებას.

დიაგრამა 40: **რომელს ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემული სიიდან? (პასუხების „უფრო ვეთანხმები" და „სრულიად ვეთანხმები" ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



ეთნიკურ ქართველებთან შედარებით (50%), ეთნიკური უმცირესობები (75%) უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქართული საზოგადოება ბევრ სხვა ქვეყანასთან იზიარებს კულტურულ მახასიათებლებს და ღია უნდა ვიყოთ მათი გავლენის მიმართ. ეთნიკური უმცირესობები ეთნიკური ქართველებისგან სიტყვის თავისუფლებისა და რელიგიის მიმართ დამოკიდებულებებითაც განსხვავდებიან: თუკი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების 52% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სიტყვის თავისუფლება რელიგიის კრიტიკის საშუალებასაც გულისხმობს, იგივე მოსაზრებას ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდების მხოლოდ 29% ემხრობა. ეს დამოკიდებულებები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც: დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები (41%) მეტად იზიარებენ სიტყვის თავისუფლების ასეთ ხედვას, სხვა ქალაქებში (25%) და სოფლად (25%) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. რაც შეეხება სხვა დებულებებს, რელიგიური ინსტიტუტები ღირებულია ახალგაზრდებისთვის ყველა ძირითად სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში. ახალგაზრდები ასევე ერთსულოვნად იზიარებენ მოსაზრებას, რომ ადამიანებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საკუთარი თავების უზრუნველსაყოფად და არ იყვნენ დამოკიდებულნი მთავრობაზე (დიაგრამა 41).

დიაგრამა 41: **თქვენი შეხედულებით, შემდეგი სიიდან რომელს ეთანხმებით ან არ ეთანხმებით? (პასუხების „უფრო ვეთანხმები" და „სრულიად ვეთანხმები" ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



რომ შევაჯამოთ, თუკი სხვა კულტურების, კულტურული ჰომოგენურობის, რელიგიის უნიკალური და განსაკუთრებული როლის მიმართ დამოკიდებულებების პერსპექტივიდან ვიმსჯელებთ, ახალგაზრდები საქართველოში საკმაოდ ტრადიციული და კონსერვატიული ღირებულებების მატარებელნი არიან. ამის მიუხედავად, მიმღებლობის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულებები არ არის ერთგანზომილებიანი. უნივერსალური ტრადიციებისა და სხვა კულტურების მიმართ ღიაობის დადებითი გავლენის გარშემო არსებული მოსაზრებები თითქმის თანაბრად იყოფა ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდების ღირებულებების კომპლექსურობა კიდე უფრო მწვავედ იკვეთება სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს შორის ამ დამოკიდებულებები განსხვავებების ანალიზისას. დედაქალაქს გარეთ ცხოვრება ასოცირდება უფრო ძლიერ კონსერვატიულღირებულებებთან, მაშინ, როდესაც დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები შედარებით უფრო ღიანი არიან მრავალფეროვნების მიმართ. კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია ეთნიკურობა. ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები მეტად იზიარებენ კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვა კულტურებთან ზიარების იდეას. თუმცა აქ ერთი ასპექტი საჭიროებს ყურადღების გამახვილებას: სავარაუდოდ, ეთნიკურ უმცირესობებს შორის მსგავსი დამოკიდებულებები აიხსნება იმ ფაქტორით, რომ მათ სურთ, მათმა კულტურამაც დაიმკვიდროს ადგილი საქართველოში, დომინანტური ქართული კულტურის გვერდით. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ალბათ რთული იქნება ვთქვათ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები უფრო ტოლერანტულები და მრავალფეროვნების მიმართ მეტად ღიანი არიან, ვიდრე მათი ეთნიკურად ქართველი თანატოლები. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

# ახალგაზრდების ღირებულებები

კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებს ჰკითხეს სხვადასხვა ღირებულებისა და იდეის შესახებ. მათ მიერ განხილული 12 კატეგორია ფაქტორული ანალიზის (მიდგომა, რომლის მიზანია განზომილების შემცირება და ლატენტური ცვლადის იდენტიფიკაცია). საშუალებით 4 ფართოდ განსაზღვრულ კატეგორიაში გაერთიანდა. ღირებულებების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი შეიძლება ფართოდ განისაზღვროს, როგორც პიროვნული ღირსებებისა თუ მახასიათებლების ჯგუფი. ეს ჯგუფი აერთიანებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პარტნიორის ერთგულება, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობის აღება და წარმატებული კარიერის შექმნა. ეს ღირებულებები ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი სრული უმრავლესობა ჩამოთვლილ ღირებულებებს ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს (დიაგრამა 42). სამოქალაქო მონაწილეობა და აქტივიზმი ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ღირებულებაა: ახალგაზრდების მხოლოდ 22% აღნიშნავს, რომ უფრო ან ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში აქტიურობა. სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობას შედარებით მეტი (43%) ახალგაზრდა იზიარებს, თუმცა, სხვა ღირებულებებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია. ეს მიგნებები იმეორებს იმ დასკვნებს, რაც სამოქალაქო მონაწილეობის ქვეთავშია განხილული - სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა ძალიან დაბალია. მესამე ფაქტორი უკავშირდება გარეგნობასა და კეთილდღეობის ღირებულებებს, რაც ახალგაზრდების უმრავლესობისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (დიაგრამა 42). ახალგაზრდების 80 პროცენტზე მეტი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია კარგად გამოიყურებოდე, ჯანსაღად იკვებებოდე და სპორტით დაკავდე. ამ ჯგუფიდან კიდევ ერთი

ღირებულება - ცდილობდე გამდიდრებას ან იყო მდიდარი - სხვა ღირებულებებთან შედარებით, ახალგაზრდებისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა დიდი უმრავლესობა (67%) ამ უკანასკნელს მაინც უფრო ან ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ღირებულებების უკანასკნელი ჯგუფი - დაოჯახება და შვილების ყოლა - გაერთიანდა ე.წ. ოჯახურ ღირებულებათა ჯგუფში. ზოგადად, ორივე ხსენებული ღირებულება ახალგაზრდების სრული უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, თუკი შევადარებთ მხოლოდ მათ მონაცემებს, ვისთვისაც ეს ღირებულებები ძალიან მნიშვნელოვანია, შვილების ყოლა (72%) ახალგაზრდებისთვის შედარებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაოჯახება (58%).

დიაგრამა 42: **გვსურს გავიგოთ თქვენი ზოგიერთი მოსაზრება და დამოკიდებულება. ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის შემდეგი დებულებები? (%, სრული შერჩევა)**



ჯგუფებს შორის განსხვავებების ანალიზმა მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოავლინა ოჯახური და მონაწილეობის ღირებულებების გარშემო. ოჯახური ღირებულებები უფრო ხშირად ასაკსა და გენდერს უკავშირდება (დიაგრამა 43). უფრო კონკრეტულად, მამაკაცები (77%) უფრო ხშირად ამბობენ, რომ ბავშვების ყოლა „ძალიან მნიშვნელოვანია", ქალებთან შედარებით (66%). ამასთანავე, შედარებით უმცროსი ასაკის ახალგაზრდები (63%) ნაკლები ენთუზიაზმით არიან განწყობილნი ამ საკითხის მიმართ, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან შედარებით (80%). ამ განსხვავებების მიუხედავად, და მოუხედავად გენდერისა და ასაკისა, ზოგადად, ახალგაზრდების უმრავლესობისთვის ბავშვების ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ქორწინებას, ქალებთან შედარებით (49%), მამაკაცებისთვის (66%) ეს საკითხი კვლავ მნიშვნელოვნად უფრო მეტი ღირებულების მატარებელია. ამასთან, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 48% მიიჩნევს, რომ ქორწინება „ძალიან მნიშვნელოვანია", მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში (62%) და სოფლად (63%) მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალგაზრდებში სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია და მონაწილეობასთან დაკავშირებული ღირებულებები კი ნაკლებმნიშვნელოვანი. ამის მიუხედავად, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით, იკვეთება გარკვეული განსხვა-ვებები. ზოგადად, შედარებით უმცროსი ახალგაზრდებისთვის (14-17 ასაკობრივი ჯგუფი) სამოქალაქო აქტივობებსა თუ ინიციატივებში მონაწილეობა მეტად ღირებულია, ვიდრე შედარებით უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის. თუმცა, განსხვავებები მარგინალურია და მათი გავლენა საერთო სურათზე მინიმალურია.

დიაგრამა 43: **გვსურს გავიგოთ თქვენი ზოგიერთი მოსაზრება და დამოკიდებულება. ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის შემდეგი დებულებები? (წარმოდგენილია მხოლოდ პასუხის ვარიანტი „ძალიან მნიშვნელოვანია". %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



ახალგაზრდებს ასევე ჰკითხეს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების შესახებ (დიაგრამა 44). ჩამოთვლილი 12 ღირებულებიდან, ღირსებასთან და პატიოსნებასთან დაკავშირებული ღირებულებებს ახალგაზრდები ყველაზე ხშირად ასახელებენ. პიროვნული ღირსება ახალგაზრდების ნახევარზე მეტისთვის (55%) ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ხოლო ერთი მეხუთედი (19%) ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად პატიოსნებასა და წესიერებას ასახელებს. ახალგაზრდებმა მეორე ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებადაც აღნიშნული ღირებულებები დაასახელეს. ეთიკასთან, სოლიდარობასთან და პრესტიჟთან დაკავშირებული ღირებულებები ახალგაზრდებისთვის პირველ ადგილს იშვიათად იკავებს. მეორე და მესამე ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის შედარებით ხშირად დასახელდა ერთგულება, გულწრფელობა, მებრძოლი სული (ბრძოლა მიზნის მისაღწევად), თუმცა ეს ღირებულებები მაინც ჩამორჩება ღირსებისა და პატიოსნების ღირებულებებს. როდესაც საქმე სოლიდარობასთან დაკავშირებულ ისეთ ღირებულებებს ეხება, როგორიცაა ტოლერანტობა, თანაგრძნობა და ალტრუიზმი, ეს ღირებულებები არათუ პირველ, არამედ მეორე და მესამე ადგილზეც კი თითქმის არ ფიგურირებს (დიაგრამა 44).

დიაგრამა 44: **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ სამ ღირებულებას აფასებთ ყველაზე მეტად? (%, სრული შერჩევა)**



კვლევა სექსუალობის მიმართ ახალგაზრდების შეხედულებებსაც შეეხო. კვლევის ერთ-ერთი საკითხი იყო ახალგაზრდების დამოკიდებულება სექსუალურ თავშეკავებასთან დაკავშირებით. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) მიიჩნევს, რომ სექსუალური თავშეკავება ყველა გენდერის წარმომადგენლისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, თუმცა გამოკითხულთა ერთი მეოთხედისთვის ეს მოძველებული შეხედულებაა. სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებების შედარება გარკვეულ განსხვავებებს ავლენს. უფრო კონკრეტულად, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები მეტად (35%) მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ცნება მოძველებულია, სხვა ქალაქებში (20%) და სოფლად (22%) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ასევე უფრო კრიტიკულად უდგებიან სექსუალური თავშეკავების იდეას, დაწყებითი/არასრული საშუალო და სრული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით. საინტერესოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქალებსა და მამაკაცებს შორის მოსაზრებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება (დიაგრამა 45).

დიაგრამა 45: **რას ფიქრობთ დღესდღეობით სექსუალურ თავშეკავებაზე? გთხოვთ, აირჩიეთ ერთი პასუხი. (%, სრული შერჩევა)**



სექსუალური თავშეკავების გარდა, სრულწლოვან (18 წლის და უფროსი ასაკის) ახალგაზრდებს სთხოვეს, გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები და დამოკიდებულებები სექსუალურ ორიენტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა არასდროს მიიჩნევს გამართლებულად ფიზიკურ (76%) და სიტყვიერ (69%) აგრესიას ან ძალადობას ქვიარ ადამიანების მიმართ, სხვა მხრივ, მათი დამოკიდებულებები საკმაოდ უარყოფითი და კრიტიკულია. მაგალითად, ახალგაზრდების სამი მეოთხედი (74%) მიიჩნევს, რომ ქვიარ ადამიანებს არასდროს უნდა შეეძლოთ ქუჩებში აღლუმების მოწყობა და თითქმის ერთი მესამედი (32%) მიიჩნევს, რომ ქვიარ ადამიანებს თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო მკურნალობა სჭირდებათ. ახალგაზრდების დიდი ნაწილი (38%) ასევე მიიჩნევს, რომ „ჰომოსექსუალური ქცევის დაგმობა ჩვენი შვილების წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობა/ვალდებულებაა" (დიაგრამა 46).

დიაგრამა 46: **ეთანხმებით თუ არა ჩამოთვლილ დებულებებს? (%, მხოლოდ 18 წლის და უფრო უფროსი ახალგაზრდები)**




*კითხვარში გამოყენებულია ფორმულირება „ჰომოსექსუალი/ჰომოსექსუალობა" კითხვის გაგების გამარტივების მიზნით. ავტორებს კარგად ესმით კონტექსტუალური განსხვავებები ინგლისურსა და ქართულში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს საქართველოში სექსუალური უმცირესობების მიმართ საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, ეს დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის სხვადასხვა ჯგუფისთვის. უმაღლესი განათლების მქონე და დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები, ისევე, როგორც ქალები, უფრო ხშირად ეწინააღმდეგებიან ფიზიკურ და სიტყვიერ აგრესიასა და ძალადობას ქვიარ ადამიანების მიმართ და უფრო ხშირად ირჩევენ პასუხს „არასდროს" აგრესიასთან დაკავშირებული დებულებების შეფასებისას, ვიდრე საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე, სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები და ახალგაზრდა მამაკაცები (დიაგრამა 47). რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, რაც კითხვარში აღლუმების მოწყობის შესაძლებლობით გაიზომა, მამაკაცები (78%) ისევ და ისევ შედარებით უფრო ნეგატიურად არიან განწყობილი ამ იდეის მიმართ, ვიდრე ქალები (70%). დედაქალაქს გარეთ მცხოვრები და 25-29 წლის ახალგაზრდები ასევე უფრო კონსერვატიულად არიან განწყობილნი აღნიშნული საკითხის მიმართ. მამაკაცებს უფრო კონსერვატიული და ხანდახან დისკრიმინაციული დამოკიდებულებებიც კი აქვთ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მეტად ემხრობიან მოსაზრებას „ჰომოსექსუალ ადამიანებს თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო მკურნალობა სჭირდებათ". ამ მოსაზრებას უფრო ხშირად ეწინააღმდეგებიან დედაქალაქში მცხოვრები და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები, სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ, ისევე, როგორც საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე თანატოლებთან შედარებით. დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები ასევე უფრო იშვიათად ეთანხმებიან ჰომოსექსუალური ქცევის დაგმობის დებულებას - მათი დაახლოებით ნახევარი (47%) მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალური ქცევის დაგმობა არასდროსაა მათი ვალდებულება, მაშინ, როდესაც სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 26 პროცენტია (დიაგრამა 47).

დიაგრამა 47: **ეთანხმებით თუ არა ჩამოთვლილ დებულებებს? (პასუხის ვარიანტი „არასდროს", მხოლოდ 18 წლის და უფრო უფროსი ახალგაზრდები. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**[95]




*კითხვარში გამოყენებულია ფორმულირება „ჰომოსექსუალი/ჰომოსექსუალობა" კითხვის გაგების გამარტივების მიზნით. ავტორებს კარგად ესმით კონტექსტუალური განსხვავებები ინგლისურსა და ქართულში.

# ნდობა, უნდობლობა, და სოციალური დისტანცია

ახალგაზრდებს საქართველოში განსაკუთრებულად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ. თუკი ზოგიერთი ინსტიტუტის მიმართ ნდობა და უნდობლობა ძალიან მაღალია, ზოგიერთი ინსტიტუტის შესახებ ახალგაზრდებს საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია. ტრადიციულად, არმიას და რელიგიურ ინსტი-ტუტებს ქართული საზოგადოება ყველაზე მეტად ენდობა და ამ მხრივ არც ახალგაზრდები წარმოადგენენ გამონაკლისს. საერთო ჯამში, ახალგაზრდების 74% „სრულიად" ან „საკმაოდ" ენდობა ჯარს, 67% კი - რელიგიურ ინსტიტუტებს.

ნდობის თვალსაზრისით, შემდეგი ყველაზე მაღალი ნდობით მოსარგებლე ინსტიტუტებია ისეთი სამართალდამცავი ინსტიტუტები, როგორიცაა პოლიცია (48%), და სასამართლო სისტემა (39%). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ეროვნული მთავრობა, პრეზიდენტი, და მედია ახალგაზრდების მესამედზე ნაკლების ნდობით სარგებლობენ. ხოლო ყველაზე ნაკლები ნდობით სარგებლობენ პროფკავშირები (17%) და პოლიტიკური პარტიები (15%). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების დაახლოებით ერთ მეხუთედს (17%) უჭირს პროფკავშირების მიმართ ნდობის შეფასება, სავარაუდოდ ამ ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე (დიაგრამა 48).

დიაგრამა 48: **რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს? (%, სრული შერჩევა)**



ინსტიტუციური ნდობის მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს შორის. ზოგადად, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო კრიტიკულები არიან თითქმის ყველა გამოკვლეული ინსტიტუტის მიმართ (დიაგრამები 26 და 27). ისეთი ფართო ნდობით მოსარგებლე ინსტიტუტებსაც კი, როგორიცაა ჯარი და ეკლესია, დედაქალაქში უფრო ნაკლები ახალგაზრდა ენდობა (63% და 54%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (82% და 69%) და სოფლებში (79% და 77%). ეკლესიის მიმართ ნდობის მაჩვენებლები განსხვავდება განათლების დონის მიხედვითაც - უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები (58%) ნაკლებად ენდობიან ეკლესიას საშუალო (70%) და დაწყებითი (70%) განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით. განსხვავებები ასოცირდება ასაკთანაც. 18–24 წლის ახალგაზრდები ნაკლებად ენდობიან ეკლესიას, პოლიციას და ეროვნულ მთავრობას, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (დიაგრამა 49).

დიაგრამა 49: **რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს? („სრულიად" და „საკმაოდ" პასუხების ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



უნდობლობის დონე ახალგაზრდებს შორის განსხვავებულია ახალგაზრდებისთვის ისეთი ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუტების მიმართაც, როგორიცაა პრეზიდენტი, პროფკავშირები, მედია, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები ჩამოთვლილ ინსტიტუტებს უფრო ნაკლებად ენდობიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც სხვა ქალაქებში ან სოფლად ცხოვრობენ (დიაგრამა 50). პოლიტიკური პარტიები ყველაზე ნაკლები ნდობით დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებში სარგებლობენ (9%), მაშინ, როდესაც სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები შედარებით მეტი ნდობით გამოირჩევიან (21%). სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს მეტად ენდობიან სოფლად (37%) და დედაქალაქის გარეთ ქალაქებში (32%) მცხოვრები ახალგაზრდები, დედაქალაქში მცხოვრებებთან შედარებით (20%). როგორც წესი, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნდობის უფრო მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. მაგალითად, საქართველოში მომუშავე მედიას ქალების 26% ენდობა, კაცების 20%-თან შედარებით. დაწყებითი განათლების მქონე ახალგაზრდები ასევე მეტად ენდობიან მედიას (27%), სრული საშუალო (22%) და უმაღლესი განათლების მქონე (19%) ახალგაზრდებთან შედარებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მედიის მიმართ ნდობა ყველა კატეგორიაში დაბალია.

დიაგრამა 50: **რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს/ინსტიტუტებს? („სრულიად“ და „საკმაოდ“ პასუხების ჯამი. %, სრული შერჩევა. ფიფქის სიმბოლო მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებზე)**



საქართველოში ახალგაზრდების ინსტიტუციური ნდობის ბუნების უკეთ გასაგებად შემუშავდა ინდექსი. როდესაც ინდექსის ქულა ნულს უდრის, რესპონდენტი ან არცერთ ინსტიტუტს არ ენდობა, ან უჭირს ნდობის განსაზღვრა, ხოლო 30 ქულა ყველაზე მაღალი შესაძლო ქულაა და ყველა ინსტიტუტის მიმართ სრულ ნდობაზე მიუთითებს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ინდექსის ქულა, მით უფრო მაღალია ჯამური ინსტიტუციური ნდობა. ინდექსის საშუალო ქულაა 11.7, რაც ინდექსის თეორიულ მედიანაზე დაბალი მაჩვენებელია (დიაგრამა 51). ცალკეული ინსტიტუტის მიმართ ნდობის მსგავსად, საერთო ჯამშიც, სოფლისა (13.5) და ქალაქის (12.0) ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მაღალი ინსტიტუციური ნდობით გამოირჩევიან, ვიდრე თბილისში (9.2) მცხოვრები ახალგაზრდები. ახალგაზრდა ქალებს (12.3) ასევე უფრო მაღალი ინსტიტუციური ნდობა ახასიათებთ, ახალგაზრდა კაცებთან შედარებით (11.1).

ინსტიტუციური ნდობის გარდა, რესპონდენტებს ჰკითხეს ინტერპერსონალური საკითხების შესახებაც, უფრო კონკრეტულად, თუ რა სახის ურთიერთობას ისურვებდნენ ათი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან. სოციალური დისტანციისა თუ მიმღებლობის საზომები ბოგარდუსის მიერ შემუშავებულ კლასიკურ სკალას ეფუძნება: სრული გარიყვიდან ადამიანის ოჯახის წევრად მიღების მზაობამდე. გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ყველაზემეტადსამჯგუფსუარყოფენ:ნარკოტიკების მომხმარებლებს (61%), ქვიარ ადამიანებს (46%)[96] და რუსეთიდან შემოსულ პირებს (44%), რომელთა ქვეყანაში შემოშვებასაც ახალგაზრდები არ ისურვებდნენ (დიაგრამა 52). ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე მომხრეა ქვეყანაში შემოსვლა აეკრძალოთ ყოფილ პატიმრებს (23%) და ებრაელებს (13%). მიმღებლობის სკალის მეორე უკიდურეს წერტილში არიან - ახლო მეგობრად მიღება – უცხოელი სტუდენტები (14%), ძალიან რელიგიური ადამიანები (11%) და მარტოხელა მრავალშვილიანი დედები (11%), რასაც მოსდევს ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები (ერთად 9%).

დიაგრამა 51: **ინსტიტუციური ნდობის ინდექსი მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების მიხედვით**



დიაგრამა 52: **თქვენთან ყველაზე ახლოს მდგომ რომელ პოზიციაზე გენდომებოდათ ჩამოთვლილი ადამიანების მიღება...? (%, სრული შერჩევა)**




*კითხვარში გამოყენებულია ფორმულირება „ჰომოსექსუალი/ჰომოსექსუალობა“ კითხვის გაგების გამარტივების მიზნით. ავტორებს კარგად ესმით კონტექსტუალური განსხვავებები ინგლისურსა და ქართულში.

უბრალო სიხშირეების საფუძველზე მონაცემთა ანალიზი შესაძლებელია, თუმცა ბოგარდუსის სკალის შედეგების ინტერპრეტირებისთვის სპეციფიკური მიდგომა გამოიყენება[97]. მიმღებლობის შვიდი დონიდან თითოეულს შეესაბამება ციფრი ერთიდან შვიდის ჩათვლით. ამ კონტინუუმში დაბალი ქულები მიმღებლობის ყველაზე მაღალ ხარისხზე მიუთითებს, ხოლო მაღალი ქულები - დისტანციასა და გარიყულობაზე.[98] მაგალითად, თუკი პირის მიმართ მიმღებლობა აღწევს „ოჯახის ნაწილად" განხილვის დონეს, შესაბამისი ქულა იქნება 1, ხოლო თუკი პიროვნებას მიემართება დებულება „არ მივცემდი ჩემს ქვეყანაში შემოსვლის უფლებას", შესაბამისი ქულა იქნება 7. ვინაიდან სკალაზე თითოეული ერთეულის არჩევა გულისხმობს წინა ერთეულზე დასტურს, სკალა შეიძლება განვიხილოთ ე.წ. კუმულაციურ სკალად. ეს გულისხმობს, რომ თუკი რესპონდენტისთვის რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლის ოჯახის ნაწილად განხილვა მისაღებია, მისთვის ავტომატურად მისაღები იქნება ამ პიროვნებასთან მეგობრობაც[99]. ამ თეორიულ დაშვებებზე დაყრდნობით, სოციალური დისტანციის სკალა აიგო თითოეული ინდივიდის ტიპისთვის რომლის შესახებაც ახალგაზრდებს კითხვები დაუსვეს. (დიაგრამა 53). ეროვნული მასშტაბით, ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი ყველაზე გაუცხოებული ჯგუფია (7 შესაძლო ქულიდან 6), რომელსაც მოსდევს რუსეთიდან შემოსული ადამიანი (5.7) და ქვიარ ადამიანი (5.5). სოციალური დისტანცია ყველაზე მცირეა მრავალშვილიანი დედის (4.0), ძალიან რელიგიური ადამიანის (4.3), იძულებით გადაადგილებული პირისა (4.3) და ლტოლვილის (4.3) შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახლოს მიდიან სოციალური მიმღებლობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელთან, აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლები მაინც სცდებიან სკალის მედიანას, რაც, ზოგადად, სოციალურ დისტანცირებასა და ზოგიერთი ჯგუფის (ნარკოტიკზე დამოკიდებულები, რუსეთიდან შემოსული ადამიანები და ქვიარ-ადამიანები) სრულ გარიყვაზე მიუთითებს.

ამის მიუხედავად, დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა თუ სოფლად ახალგაზრდები სოციალური დისტანციის სხვადასხვა მაჩვენებლით ხასიათდებიან (დიაგრამა 53). დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს სოციალური დისტანციის მარგინალურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების, ძალიან რელიგიური ადამიანებისა და მრავალშვილიანი დედების მიმართ. ამავდროულად, დედაქალაქში (5.6) ახალგაზრდები მეტი მიმღებლობით გამოირჩევიან ქვიარ-ადამიანების მიმართ, სხვა ქალაქებსა (6.1) და სოფლად (6.2) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. თუკი სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სოციალური დისტანციის მაჩვენებლებზე, ერთი გამონაკლისი მაინც იკვეთება: ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები (6.1) გაცილებით მეტად დისტანცირდებიან რუსეთიდან შემოსული პირებისგან, ვიდრე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (4.7).

დიაგრამა 53: **სოციალური დისტანციის სკალის საშუალო მაჩვენებლები თითოეული ჯგუფისთვის მთლიანად ქვეყნისა და დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით (1 ნიშნავს სხვადასხვა ჯგუფის მიმართ მიმღებლობის ყველაზე მაღალ, 7 კი - ყველაზე დაბალ მაჩვენებელს).**




*კითხვარში გამოყენებულია ფორმულირება „ჰომოსექსუალი/ჰომოსექსუალობა" კითხვის გაგების გამარტივების მიზნით. ავტორებს კარგად ესმით კონტექსტუალური განსხვავებები ინგლისურსა და ქართულში.

# ოჯახური გარემო, ქორწინება, და თანაცხოვრება

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახი ახალგაზრდების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ახალგაზრდების უმრავლესობა ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს, მათი მხოლოდ 3% ცხოვრობს მარტო (დიაგრამა 54). ახალგაზრდების 64% დედასთან ერთად ცხოვრობს, რაც მამასთან ერთად ცხოვრების მაჩვენებელს 9 პროცენტით აღემატება, რაც მიუთითებს, რომ ოჯახების მნიშვნელოვანი რაოდენობა მამის გარეშე თანაცხოვრობს. მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (24%) პარტნიორთან ან მეუღლესთან ერთად ცხოვრობს, 22% კი - შვილთან ან შვილებთან ერთად. ეს იმის მანიშნებელია, რომ ახალგაზრდების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკვე ჩართულია ოჯახურ ცხოვრებაში.

ოჯახის ტიპის, მშობლებთან ერთად თუ მათ გარეშე ცხოვრების გამოცდილების მიუხედავად, ახალგაზრდების უმრავლესობას მშობლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. ეს დამოკიდებულება უცვლელია ყველა ტიპის დასახლებაში, ასაკობრივ ჯგუფში, სხვადასხვა სქესისა თუ განათლების მქონე ახალგაზრდებში (დიაგრამა 55).

ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (57%) აცხადებს, რომ დასაოჯახებელია, 25% კი - უკვე დაოჯახებული. ოჯახური სტატუსი განსხვავდება ქალებსა და მამაკაცებს შორის - თუკი ქალების 36% აცხადებს, რომ დაოჯახებულია, მამაკაცებში იგივე მაჩვენებელი 14 პროცენტია. დაოჯახებული ახალგაზრდები ყველაზე მეტად 25-29 წლის ახალგაზრდების ჯგუფში გვხვდება, ხოლო დაოჯახებული ახალგაზრდების საშუალო ასაკი 26 წელია. ახალგაზრდების ერთ მეოთხედს (25%) ჰყავს შვილებიც. ვისაც შვილები არ ჰყავს, მათი 77% აცხადებს, რომ მომავალში აუცილებლად აპირებს შვილების ყოლას. იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც შვილები ჯერ არ ჰყავთ, შვილების ყოლისთვის შესაფერისი ასაკი, საშუალოდ, 27 წელია, ხოლო ბავშვების იდეალური რაოდენობა ყველაზე დიდი ნაწილისთვის ორია (39%), შემდეგი ყველაზე სასურველი რაოდენობა კი - სამი (24%). რაც შეეხება ბავშვის სასურველ სქესს, ახალგაზრდების უმრავლესობისთვის (58%) სულერთია, თუ რა სქესის იქნება მათი შვილი.

დიაგრამა 54: **ჩამოთვლილი ადამიანებიდან ვინ ცხოვრობს თქვენთან ერთად ოჯახში? (%, სრული შერჩევა)**



დიაგრამა 55: **ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი აღწერს ყველაზე უკეთ თქვენს ურთიერთობას თქვენს მშობლებთან? (%, სრული შერჩევა)**




# დისკუსია

2022 წელს გამოქვეყნებულ ინგლეჰარტ-ველზელის უახლეს კულტურულ რუკაზე საქართველო უფრო ტრადიციული, ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების ღირებულებებისკენ იხრება. ამ თვალსაზრისით, ქვეყანა გამონაკლისია უშუალო მეზობლებსა თუ სხვა ევროპულ ქვეყნებს შორის[100]. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო 1990-იან წლებში ამ კვლევაში ჩაერთო, ქართული ღირებულებები თანდათან უფრო ტრადიციულისკენ გადაიხარა. ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეების ღირებულებები ნელა, მაგრამ მტკიცედ იხრება თვით-გადარჩენის ღირებულებებიდან უფრო თვითგამოხატვის ღირებულებებისკენ[101]. წინამდებარე კვლევა, გარკვეულწილად, ამყარებს ინგლეჰარტ-ველზელის მიგნებებს, ვინაიდან ახალგაზრდები საქართველოში იმეორებენ ამ მახასიათებლებს. ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ რელიგიურ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი აქვთ და რომ მათი კრიტიკა სიტყვის თავისუფლებაზე მაღლა დგას. ამასთან, ახალგაზრდები საქართველოში ტრადიციებისა და ეროვნული კულტურის დიდი დამცველები არიან. ამის მიუხედავად, ახალგაზრდების დაახლოებით თანაბარი რაოდენობაა, ვინც ემხრობა და ვინც ეწინააღმდეგება კულტურული ღიაობისა და ჰომოგენურობის იდეას. ახალგაზრდები მუდმივად მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პირადი წარმატების, სიმდიდრის ფაქტორებს და ოჯახურ ღირებულებებს, მაშინ, როდესაც უგულებელყოფენ სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდებისთვის საქართველოში პირადი კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კოლექტიური თუ ეროვნული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმცირესობების მიმართ ახალგაზრდების სოციალური დისტანციის მაჩვენებელი მაღალია და ტოლერანტობის კი დაბალი, რაც მათ ღირებულებებს რუკის უკიდურეს ნაწილში აქცევს ტრადიციულ და უსაფრთხოების ღირებულებებთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდები მეტად იხრებიან

სეკულარული და თვითგამოხატვის იდეებისკენ. ეს მოიცავს სკეპტიკურ დამოკიდებულებას სექსუალური თავშეკავების მიმართ, ბავშვის სასურველი სქესის მიმართ ინდიფერენტულობასა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შვილებისთვის განათლების თავიანთ ენაზე მიღების შესაძლებლობის მხარდაჭერას. სექსუალური უმცირესობების მიმართ უაღრესად მტრული განწყობის მიუხედავად, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ ნებისმიერი სახის (ფიზიკური თუ სიტყვიერი) აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგია. ამასთან, ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მესამედი უარყოფს დებულებას, რომ ჰომოსექსუალური ქცევის დაგმობა მათი მოვალეობაა. სეკულარული ღირებულებების მიმართ ზრდის მოკრძალებული მაჩვენებელია ასევე ახალგაზრდების თვითიდენტიფიკაციის მაჩვენებლები, სადაც სამოქალაქო ნაციონალიზმი - საქართველოს მოქალაქეობა - წინ უსწრებს ეთნიკური ან ადგილობრივი მიკუთვნებულობის თვითაღქმას. ეს მიგნება, დიდწილად, იმეორებს ამავე კვლევის 2016 წლის ტალღის დასკვნებს. ამ პერიოდისთვის ახალგაზრდები საქართველოში კიდევ უფრო მეტად იხრებოდნენ ტრადიციული და უსაფრთხოების ღირებულებებისკენ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითგამოხატვის და სეკულარულ-რაციონალური ღირებულებების მიმართ მხარდაჭერის ტენდენცია აშკარა იყო. როგორც 2016 წელს, დღესაც ეს ტენდენცია მეტად იკვეთება ქალაქის ტიპის დასახლებებში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში. ღირებულებით ორიენტაციაში ასეთი მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ახალგაზრდები თავად ქმნიან ადგილობრივი და გარე ღირებულებებისა და იდენტობების ნაზავს[102]. ლიტერატურაში ინსტიტუციური ნდობა სახელმწიფოსა და საზოგადოების სათანადო ფუნქციონირების ქვაკუთხედად მიიჩნევა[103]. ინსტიტუციური ნდობის მაღალი მაჩვენებელი საქართველოში უკავშირდება და ასოცირდება სამოქალაქო აქტივიზმსა და მონაწილეობასთან[104]. ამის მიუხედავად, მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მსგავსად, საქართველოში ინსტიტუციური ნდობაც საკმაოდ დაბალია ახალგაზრდებს შორის. ეს საქართველოში მხოლოდ ახალგაზრდებს არ ახასიათებთ - ბოლო წლებში მთლიანად საზოგადოებაშიც იკლებს ინსტიტუციური ნდობა[105]. ამასთან, წინამდებარე კვლევის შედეგებს თუ შევადარებთ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებს, 2016 წელს ახალგაზრდებს საკმაოდ ერთგვაროვანი დამოკიდებულებები ჰქონდათ ინსტიტუტების ნდობის თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევის მსგავსად, წინა კვლევაშიც არმიას, რელიგიურ ინსტიტუტებსა და პოლიციას ახალგაზრდები ყველაზე მეტად ენდობოდნენ. საინტერესოა, რომ სამივე ეს ინსტიტუტი წარმოადგენს ძლიერი და ტრადიციული ავტორიტეტული ერთეულის მაგალითს. ამასთან, საქართველოს მონაწილეობით ჩატარებული ერთ-ერთი შედარებითი კვლევა, რომელიც ღირებულებებსა და რელიგიურობას შორის კავშირებს იკვლევს, ასკვნის, რომ რელიგია მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის რწმენებს, განსაკუთრებით კი - ლიბერალური ღირებულებების მიმართ შესუსტებულ მხარდაჭერას[106]. შესაბამისად, რელიგიის მნიშვნელობა და მისი მხარდაჭერა ახალგაზრდების ღირებულებების ჩამოყალიბებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ახალგაზრდები საქართველოში პატივს სცემენ ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ იმის მიუხედავად, ცხოვრობს თუ არა რესპონდენტი მშობლებთან ერთად, უთანხმოება ან კონფლიქტური ურთიერთობები მშობლებთან ძალიან იშვიათია. ამასთან, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მშობლებთან ერთად ცხოვრობს, სრულწლოვანების ასაკს მიღწევის შემდეგაც. ეს ტენდენცია, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირით აიხსნება. თუმცა, ამას კულტურული და ტრადიციული საფუძვლებიც აქვს. მშობლებთან ცხოვრების ფენომენი მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი და ხშირად ახასიათებს კოლექტივისტურ კულტურებს, სადაც ოჯახის საჭიროებები პირად საჭიროებებზე მაღლა დგას[107]. სამომავლოდ საქართველოში მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს მშობლებთან ერთად ცხოვრება ახალგაზრდების ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით კი - ტრადიციულ ღირებულებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, თვალსაჩინო ეკონომიკური ფაქტორების გარდა, კიდევ რა ფაქტორები განაპირობებს ახალგაზრდების მშობლებთან ცხოვრების ალბათობას.

10

# ნაწილი VII: კლიმატის ცვლილება

# შესავალი

მსოფლიოში ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. მათთვის გარემოს დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია[108]. თუმცა, მწვანე აქტივიზმი და დამოკიდებულებები კლიმატის ცვლილების მიმართ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავდება და, ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იაზრებენ კლიმატის ცვლილების მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებს, „ცნობიერებისა და ცოდნის დონისგან განსხვავებით, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სოციალური ქცევის მაჩვენებელი ძალიან დაბალია“[109]. ისტორიულად გარემოსდაცვითი აქტივიზმი საქართველოში ისეთი დიდი ინდუსტრიული პროექტების მიმართ წინააღმდეგობაზე იყო ორიენტირებული, როგორიცაა კაშხლების მშენებლობა და სამთო მოპოვება[110]. კლიმატის ნამდვილი აქტივიზმი თანამედროვე საქართველოში იშვიათია, მასების მობილიზებასა და მხარდაჭერის მოპოვებას ვერ ახერხებს. რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედებები გარემოსდაცვით აქტივიზმად მოიაზრება, ის უფრო მეტად სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზეა ფოკუსირებული, ვიდრე ეკოლოგიურზე[111]. გარემოსდაცვითი მოძრაობებისთვის ყველაზე წარმატებულ ხანაშიც კი - საბჭოთა კავშირის დაშლის წინარე პერიოდში, ეკოლოგიური საკითხები პოლიტიკური მოთხოვნების შესანიღბად გამოიყენებოდა[112]. უფრო გვიანდელ შემთხვევებს თუ გავიხსენებთ, წარმატებული გარემოსდაცვითი მოძრაობები უფრო მეტად ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციასთან, „არაინსტიტუციურ ქმედებებთან“ და ტრადიციული რიტუალებისთვის მიმართვასთან ასოცირდება[113]. ამ გარემოში ახალგაზრდების ჩართულობა ან მარგინალურია, ან ნაკლებ იგრძნობა ახალგაზრდული ინიციატივა. გარდა ამისა, საქართველოში იშვიათია ახალგაზრდების წარმომადგენლობითი კვლევები კლიმატის ცვლილებების მიმართ მათი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესასწავლად. წინამდებარე კვლევა ამ საკითხებზე ახალგაზრდების მოსაზრებების გაგების იშვიათ მცდელობათაგან ერთ-ერთია.

# ძირითადი მიგნებები

- კლიმატის ცვლილება ახალგაზრდებისთვის ქვეყნის წინაშე არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს შორის არ სახელდება. ახალგაზრდების მხოლოდ 1% მიიჩნევს, რომ ეს ქვეყნის წინაშე არსებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.
- თუმცა, როდესაც კითხვა პირდაპირ ეხება იმას, არის თუ არა კლიმატის ცვლილება გლობალური კრიტიკული მდგომარეობა, ახალგაზრდების სამ მეოთხედზე მეტი (76%) დადებით პასუხს იძლევა. ქალები და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ამ დებულებას მეტად იზიარებენ, სხვა თანატოლებთან შედარებით.
- გამოკითხვის შედეგები და ფოკუს-ჯგუფებისმიგნებები აჩვენებს, რომ თუკი ახალგაზრდების ნაწილისთვის კლიმატის ცვლილება ბუნებრივი პროცესია (48%), ნაწილისთვის ეს ადამიანის ქმედების შედეგია (49%).
- მიუხედავად იმისა, თუ რას მიიჩნევენ კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზად, ახალგაზრდები ემხრობიან ახალი ზომების მიღებას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. გამოკითხვისას ასეთ შეზღუდვებს მეტად უჭერდნენ მხარს ქალები და დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლები.
- ფოკუსჯგუფებში დისკუსიის დროს ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ქუჩებისა და ბუნების დანაგვიანებისთვის საჭიროა ჯარიმების დაწესება. მონაწილეები თავად აღნიშნავენ, რომ მათი ქცევა შეიცვალა და ქუჩაში ნაგავს აღარ ყრიან.
- ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ როდესაც გლობალური დათბობისა და მისი შესუსტების მცდელობების შესახებ იგებენ, ძირითადად, იმედით (61%) და ნდობით (51%) არიან განმსჭვალულნი. თუმცა, ახალგაზრდების უმრავლესობა შიშსაც განიცდის (51%).

## შფოთი თუ ინდიფერენტულობა კლიმატის ცვლილების მიმართ?

კლიმატის ცვლილება ახალგაზრდებისთვის ცალსახად არ წარმოადგენს საქართველოში პრობლემას. როდესაც ახალგაზრდებს ჰკითხეს, თუ რა არის ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამჟამად, ერთ პროცენტზე ნაკლებმა დაასახელა კლიმატის ცვლილება, როგორც მნიშვნელობით პირველი, ან მეორე საკითხი.

მიუხედავად ამისა, როდესაც ახალგაზრდებს პირდაპირ ჰკითხეს, მიაჩნიათ თუ არა, რომ კლიმატის ცვლილება გლობალური კრიტიკული მდგომარეობაა, 76 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა (დიაგრამა 56). როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალები (82%) მეტად ხედავენ კლიმატის ცვლილებას, როგორც გლობალურ კრიტიკულ მდგომარეობას, მამაკაცებთან შედარებით (71%). ასაკობრივ ჯგუფებსა და დასახლების ტიპებს შორის განსხვავებები არ ვლინდება. თუმცა, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები მეტად ეთანხმებიან აღნიშნულ მოსაზრებას, (85%), დაწყებითი (75%) და სრული (75%) საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით.

დიაგრამა 56: **ფიქრობთ, რომ კლიმატის ცვლილება გლობალური კრიტიკული მდგომარეობაა? (%, სრული შერჩევა)**



როდესაც კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს ეხება საქმე, ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილი ამას ადამიანის საქმიანობას მიაწერს (49%), თუმცა, ახალგაზრდების დაახლოებით იმავე რაოდენობას (48%) კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზად ბუნებრივი პროცესები მიაჩნია. მიუხედავად კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების მიმართ დამოკიდებულებისა, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ემხრობა საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესებას კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად - 77% სრულად ან ნაწილობრივ ემხრობა ამ იდეას (დიაგრამა 57). კლიმატის ცვლილების მიმართ დამოკიდებულებების მსგავსად, შეზღუდვების დაწესებას ისევ და ისევ ქალები უფრო ემხრობიან (82%), ვიდრე მამაკაცები (72%). რაც შეეხება დასახლების ტიპს, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები (71%) ნაკლებად ემხრობიან შეზღუდვების შემოღებას, დედაქალაქსა (83%) და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებებში მცხოვრებ (79%) ახალგაზრდებთან შედარებით.

დიაგრამა 57: **ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობა აწესებს მკაცრ ზომებს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად. მაგალითად, ძველი მანქანები საგრძნობლად აბინძურებს გარემოს. ზოგიერთ ქვეყანაში მათი გამოყენება აღარ შეიძლება და ადამიანებს უწევთ ახალი მანქანების ყიდვა, რომლებიც ნაკლებ ბენზინს მოიხმარენ. ეთანხმებით თუ არა თქვენს ქვეყანაში ასეთი და/ან მსგავსი შეზღუდვების ამოქმედებას? (%, სრული შერჩევა)**



დიაგრამა 58: **რამდენად ეთანხმებით ჩამოთვლილ დებულებებს? როდესაც მესმის გლობალური დათბობისა და მისი შესუსტების მცდელობების შესახებ, მე უმეტესად ვგრძნობ... (%, სრული შერჩევა)**




როდესაც ახალგაზრდები გამოკითხეს კონკრეტულად გლობალური დათბობის მიმართ დამოკიდებულებებზე, ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ იმედით (61%) და ნდობით (51%) არის განმსჭვალული. მეორე მხრივ, ახალგაზრდების 51% აღნიშნავს, რომ როცა გლობალურ დათბობასა და მისი შესუსტების მცდელობებზე ესმის, შიში ეუფლება. ახალგაზრდების დაახლოებით 40% გრძნობს ბრაზს (39%), უიმედობას (38%) ან გულგრილია (38%).

კლიმატის ცვლილების მიმართ დაახლოებით მსგავსი დამოკიდებულებები გაჟღერდა ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ნაკლებად ასახელებენ კლიმატის ცვლილებასა და ეკოლოგიას სამყაროს წინაშე მდგარ ყველაზე დიდ გამოწვევებს შორის, როდესაც მათ უშუალოდ ჰკითხეს სამყაროზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ, ახალგაზრდებმა ამ გავლენებზე ისაუბრეს და ეს მსოფლიოში არსებულ ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს დაუკავშირეს. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები საუბრობდნენ იმაზე, რომ კლიმატის ცვლილება არ არის (მხოლოდ) ბუნებრივი მოვლენა და რომ (ძირითადად) ადამიანები არიან გარემოსა და კლიმატის ცვლილებებზე პასუხისმგებელნი. როგორც ახალგაზრდები აღნიშნავენ, „ბუნებრივ ფენომენს არ შეუძლია იმხელა ზიანის გამოწვევა, როგორც ადამიანს“ (ქალი, 14 წლის). ადამიანებზე ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მოდის, ვინაიდან ისინი გარემოს აბინძურებენ, ქუჩაში და მდინარეებში ნაგავს ყრიან, მანქანით დადიან, რაც ჰაერის დაბინძურებას იწვევს და ბუნებაზე არ ზრუნავენ. ამის დასტურად რამდენიმე რესპონდენტს კარანტინის მაგალითი მოჰყავს, როდესაც ჰაერი უფრო სუფთა იყო, რადგან ადამიანები, ძირითადად, სახლში იყვნენ: „ამ პანდემიის დროს, როდესაც ადამიანები ყველგან იზოლაციაში იყვნენ, დედამიწამ 50 წლით გაიხანგრძლივა სიცოცხლე. კლიმატი უკვე არეულია. მე წყნეთში ვცხოვრობ, საიდანაც თბილისის ხედი იშლება, რომლის თავზეც ყოველთვის უზარმაზარი ღრუბელია, გამონაბოლქვის, ასე არ არის?“ (მამაკაცი, 26 წლის). სხვა რესპონდენტების აზრით, კლიმატის ცვლილება ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ადამიანი ვერც გამოიწვევს და ვერც შეაჩერებს, თუმცა ეს რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ ადამიანები ამ პროცესს აჩქარებენ: „[კლიმატის ცვლილება] ბუნების ბრალიცაა, ადამიანები, უბრალოდ, ამას ამწვავებენ… [ადამიანები] ძირითადი მიზეზი ვერ იქნებიან, ეს ნამდვილად

ბუნებრივი პროცესია, უბრალოდ ჩვენ, ადამიანები, ამ პროცესს ვაჩქარებთ" (მამაკაცი, 19 წლის).

ფოკუს-ჯგუფის რამდენიმე მონაწილე აცხადებს, რომ თავიანთ ქცევაში ბევრი რამ შეცვალეს კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე. მაგალითად, ისინი აღარ იყენებენ პოლიეთილენისა თუ პლასტიკურ პარკებს და საყიდლებისთვის მრავალჯერადი გამოყენების ჩანთებს ამჯობინებენ. სხვებმა აღნიშნეს, რომ ნაგავს აღარ ყრიან. თუკი ადრე ნაგავს პირდაპირ ქუჩაში ყრიდნენ, ახლა ასე აღარ იქცევიან:

„მაგალითად, ნაგავს პირდაპირ ქუჩაში ვყრიდი. პატარა რომ ვიყავი, ნაყინს რომ გავხსნიდი, შესაფუთს პირდაპირ ქუჩაში ვაგდებდი, ახლა ასეთი რამ ჩემთვის სრულიად მიუღებელია, როდესაც ვხედავ, რომ ამას ვინმე სხვა აკეთებს, ვიღებ ხოლმე და ნაგავში ვაგდებ" (ქალი, 15 წლის).

მონაწილეებმა ჯარიმებისა და რეგულაციების დაწესების საკითხიც განიხილეს გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით. მონაწილეები განსაკუთრებით ემხრობიან მთავრობის მიერ ჯარიმების შემოღებას ნაგვის ქუჩაში გადაყრისთვის: „მთავრობამ ცნობიერების ამაღლებას ხელი უნდა შეუწყოს, დაბინძურებას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. დაბინძურება უნდა ჯარიმდებოდეს, როდესაც გვერდით ნაგვის ყუთი გიდგას, ნაგავს ქუჩაში არ უნდა ყრიდე" (მამაკაცი, 21 წლის). რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა ელექტრომანქანების ხმარებაში დანერგვისა და ადამიანების წახალისების მნიშვნელობაზე, გამოიყენონ ველოსიპედები, რომ საწვავზე მომუშავე მანქანების მოხმარება შემცირდეს, თუმცა, გარემოზე ზრუნვის მთავარ ასპექტებად მაინც ქუჩებისა და ბუნების დაბინძურების აღკვეთა მიიჩნევა.

## დისკუსია

ახალგაზრდებს საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებები აქვთ: ისინი ამ საკითხს უპირველეს პრიორიტეტებს შორის არ ასახელებენ, მაგრამ როდესაც მათ უშუალოდ კლიმატის ცვლილებაზე ესაუბრებიან, მის მნიშვნელობას აცნობიერებენ. ეს მიდგომა გარკვეულწილად ასახავს უფრო ვრცელ, ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულების ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, რომ პოლიტიკოსები ხშირად საეჭვოდ მიიჩნევენ კლიმატის ცვლილებების რელევანტურობასა და პრიორიტეტულობას საქართველოსთვის, თუმცა ზოგადად საკითხის მნიშვნელობას ეჭვქვეშ არ აყენებენ[114]. აღნიშნული კვლევის მიხედვით, კლიმატის ცვლილება არცერთი პარტიისთვის არ წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს. გარემოსდაცვითი დღის წესრიგი პოლიტიკურ წრეებში მხოლოდ ისეთი საგარეო პოლიტიკის აქტორების მიერ და ისეთი საერთაშორისო ვალდებულებებით არის განპირობებული, როგორიცაა ევროკავშირი და ევროკავშირში ინტეგრაცია.

გარდა ამისა, კვლევა აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხის დაყენება პოლიტიკურ დღის წესრიგში სტრუქტურულ წინააღმდეგობებს აწყდება, ვინაიდან თითქმის არ არსებობს პოლიტიკური ნება ამ საკითხის კრიტიკულობის გასააზრებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩასართავად[115]. საქართველოში კლიმატის პოლიტიკაში სამოქალაქო მონაწილეობის კვლევა ადვოკატირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, მონაწილეობის წახალისებას და კლიმატის ცვლილებისა და კლიმატის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას[116]. ეს ქმედებები ახალგაზრდების წასახალისებლადაც რელევანტური იქნებოდა, ვინაიდან მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ საკმაოდ ზედაპირულია.

ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, ახალგაზრდა ქალები მეტად განიცდიან კლიმატის ცვლილების საკითხებს და მეტად ემხრობიან მასთან საბრძოლველი ზომების შემოღებას. ქართველი ქალების უფრო სენსიტიური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ გამოჩნდა საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კვლევიდანაც, რომელიც განსაკუთრებით მოწყვლადია კლიმატის ცვლილებისა და გლობალური

დათბობის მიმართ. კვლევით ირკვევა, რომ კლიმატის ცვლილება საგრძნობლად ზრდის იმ ქალების დატვირთვას, რომლებიც ისედაც არაერთ ხილვად თუ უხილავ საქმიანობას ეწევიან და მოკლებულნი არიან მათ გასაძლიერებლად საჭირო შესაბამის რესურსებს[117]. სამომავლოდ, ამ გარემოებებმა შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს საქართველოში მწვანე მოძრაობების სტრატეგიების დაგეგმვასა და განსაზღვრაზე.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროს კლიმატის ცვლილების მიმართ განწყობების სიღრმისეული შესწავლა აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები აქვთ კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების მიმართ და ამას, ძირითადად, ადამიანების ბუნებაში ჩარევას ან ბუნებრივ პროცესებს უკავშირებენ. ამ არაერთგვაროვნების მიუხედავად, ახალგაზრდების უმრავლესობა მხარს უჭერს ზომების შემოღებას კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად. თუმცა, ერთ მნიშვნელოვან ასპექტს უნდა მიექცეს ყურადღება: როდესაც ახალგაზრდებს სთხოვეს, შეეფასებინათ გლობალური დათბობის შესასუსტებლად გადადგმული ნაბიჯები, ბევრი ახალგაზრდა ინდიფერენტულია, ან უიმედობას და უნდობლობას განიცდის. წინამდებარე კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდებს საქართველოში არ აქვთ არც თანმიმდევრული და ჰოლისტური ხედვა არც კლიმატის ცვლილებისა და არც მასთან საბრძოლველად გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

საქართველოში ახალგაზრდებისა და კლიმატის ცვლილების ურთიერთობის შესასწავლად დამატებითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს კლიმატის ცვლილების შესახებ ცოდნის დონისა და დამოკიდებულებების რეალურ შეფასებას. წინამდებარე კვლევაში ნავარაუდევია, რომ სოციალური სასურველობის ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს ცნობიერების დონის მაღალ თვითშეფასებას, ხოლო სიღრმისეულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს ან სრულყოფილად არ ესმით საკითხი, ან ინდიფერენტულები არიან მის მიმართ.

11

# ნაწილი VIII: პრობლემები და მისწრაფებები

# შესავალი

კვლევის ბოლო ნაწილი ეხება საქართველოში ახალგაზრდების პრობლემებს და მისწრაფებებს. წინამდებარე თავი ორ ქვეთავად იყოფა: პირველი იკვლევს ახალგაზრდების განზრახვებსა და გამოცდილებებს მობილობასთან დაკავშირებით, მეორე კი - თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები საკუთარ თავს ხუთი წლის შემდეგ.

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს იმის გაგება, თუ რატომ ირჩევენ ადამიანები მიგრაციას და ვინ სად არჩევს ემიგრაციაში წასვლას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები აჩვენებს, რომ მზარდი ემიგრაციის შედეგად, 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა[118]. ეს პროცესი კვლავ გრძელდება. საქართველოს მიგრაციის კომისიის ანგარიშის მიხედვით, 2016-2019 წლებში საქართველოს მიგრაციული სალდო უარყოფითი იყო. მიგრაციის სალდომ დადებით მაჩვენებელს მხოლოდ 2020 წელს მიაღწია, ძირითადად კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამომდინარე[119]. საქართველოში ემიგრაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ახალგაზრდების საკითხებს, ვინაიდან, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები აჩვენებს, ქვეყანას ყველაზე დიდი რაოდენობით 15-29 წლის ახალგაზრდები ტოვებენ (დიაგრამა 59). ახალგაზრდებისთვის ქვეყნის დატოვების ძირითად მიზეზებს უმუშევრობა და სამომავლო პერსპექტივების ნაკლებობა წარმოადგენს[120]. გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ყველაზე ენერგიული და დინამიკური სეგმენტის გადინება უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ, ისევე, როგორც ეკონომიკურ მდგომარეობაზე[121].

დიაგრამა 59: **ემიგრანტების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით, საქსტატი, 2016-2020**



მართალია, ეკონომიკური სიდუხჭირე ახალგაზრდების ემიგრაციის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, თუმცა, სხვა, არაეკონომიკური ფაქტორებიც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემიგრაციასთან დაკავშირებით ახალგაზრდების გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგალითად, ბრაიერისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევა ლიეტუვაში[122] - ქვეყანაში, რომელსაც საქართველოსთან საერთო ისტორიული გამოცდილება და ემიგრაციის გამოწვევები აერთიანებს - აჩვენებს, რომ მომავლის მიმართ მოლოდინები და ცხოვრების არსებული ხარისხის შეფასება ემიგრაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ამგვარად, წინამდებარე კვლევაში, ემიგრაციის მიმართ დამოკიდებულებები და მომავლის მიმართ მოლოდინები ურთიერთგადაჯაჭვულია. მათი ურთიერთმიმართების შესწავლა ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები საქართველოში თავიანთ მომავალს.

## ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების დაახლოებით 40% აცხადებს, რომ საზღვარგარეთ უმოგზაურია. ქალებთან შედარებით, მამაკაცებს საზღვარგარეთ მოგზაურობის მეტი გამოცდილება აქვთ. 25-29 წლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ასევე მეტად აქვთ მსგავსი გამოცდილება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების (61%) გამოცდილება ამ მხრივ მნიშვნელოვნად აღემატება ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდებისას (37%).
- იმ ახალგაზრდებიდან, რომლებსაც საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილება აქვთ, მხოლოდ ერთი მეხუთედი აცხადებს, რომ ქვეყნის გარეთ ექვს თვეზე მეტი გაატარა. მოგზაურობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების 46% საზღვარგარეთ სწავლის და/ან მუშაობის მიზნით იმყოფებოდა. მამაკაცებს, ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, 25-29 წლის ახალგაზრდებსა და ეთნიკურად ქართველებს უფრო დიდი ალბათობით აქვთ მსგავსი გამოცდილებები;
- იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ იმყოფებოდა, 62% აცხადებს, რომ საზღვარგარეთ მუშაობდა. ამასთან, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს (82%) მნიშვნელოვნად უფრო ხშირად აქვთ მსგავსი გამოცდილება, რაც მიუთითებს, რომ ახალგაზრდები სოფლებიდან უფრო ხშირად მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, სეზონური სამუშაოებისთვის.
- იმ ახალგაზრდების თითქმის სამი მეოთხედი, რომლებიც საზღვარგარეთ ან საერთოდ არ ყოფილან, ან არ წასულან სასწავლებლად და/ან სამუშაოდ, აცხადებს, რომ აქვთ საზღვარგარეთ სწავლის ან მუშაობის მიზნით გამგზავრების სურვილი. 14-17 წლის, დედაქალაქში მცხოვრებ, დაწყებითი განათლების მქონე და დაუოჯახებელ ახალგაზრდებს მეტად აქვთ მსგავსი მისწრაფებები.
- ახალგაზრდები საზღვარგარეთ ცხოვრების სურვილს ორი ძირითადი მიზეზით ხსნიან: უფრო მაღალი ხელფასები (57%) და უკეთესი განათლება (45%). ამ მიზეზთაგან პირველს უფრო ხშირად ასახელებენ მამაკაცები და 25-29 წლის ახალგაზრდები, მეორეს კი - ქალები და 25 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდები.
- ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მესამედი საზღვარგარეთ ერთიდან ხუთ წლამდე წასვლის სურვილს გამოთქვამს. 37% სურვილი აქვს, ერთ წელზე ნაკლები დროით წავიდეს. ეს დამოკიდებულება უფრო ხშირია სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის, მაშინ, როდესაც 25-29 წლის ახალგაზრდები და დედაქალაქის მცხოვრებლები ქვეყნის უფრო დიდი ხნით დატოვების სურვილს გამოთქვამენ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ასევე უფრო ხანგრძლივი პერიოდით გამგზავრებაზე ფიქრობენ: ხუთიდან ათ წლამდე მაინც (19%) ან სამუდამოდ (14%).
- ემიგრაციისთვის ყველაზე სასურველი მიმართულებებია ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები. თუ შევაჯამებთ, ახალგაზრდების 52 პროცენტისთვის ევროპა ემიგრაციის ყველაზე სასურველი მიმართულებაა. ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით, ეთნიკური უმცი-

რესობების წარმომადგენლებს მცირედით უფრო მეტად სურთ ისეთ მეზობელ ქვეყნებში სურთ გადასვლა, როგორიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი ან რუსეთი.

- ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროს ახალ-გაზრდებმა ემიგრაცია ქვეყნის წინაშე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელეს და აღნიშნეს, რომ ახალგაზრდები ქვეყანას, ძირითადად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ტოვებენ. სხვა მიზეზებს შორის დასახელდა განათლების დაბალი დონე და პიროვნული განვითარებისა ან რაიმეს მიღწევის შესაძლებლობების სიმწირე. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ მათ საქართველოდან წასვლა უკეთესი განათლების მიღებისა და უკეთესი ცხოვრებისთვის სურთ.
- ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა (77%) მიიჩნევს, რომ მათი ოჯახების ცხოვრების დონე 5 წელიწადში გაუმჯობესდება. ყველაზე ოპტიმისტურად ის ახალგაზრდები არიან განწყობილები, რომლებმაც განათლების უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს და თავიანთი შინამეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობას დადებითად აფასებენ. ზოგადად, ახალ-გაზრდები ნაკლებად პოზიტიურად არიან განწყობილები, მაგრამ 5 წელიწადში ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლების იმედი მაინც აქვთ - ახალგაზრდების 59% აცხადებს, რომ ცხოვრების დონე „მნიშვნელოვნად“ ან „მცირედით“ მაინც აიწევს.

# მობილობა: მიგრაცია და ემიგრაცია

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (38%) აცხადებს, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილება აქვს, რაც ახალგაზრდებს შორის გარე მობილობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს (დიაგრამა 60). მამაკაცებს (43%), ქალებთან შედარებით (32%) საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილება უფრო ხშირად აქვთ. 14-17 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 22% ყოფილა საზღვარგარეთ, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 18-24 წლისა (40%) და 25-29 წლის (46%) ახალგაზრდების შემთხვევაში ორმაგდება. რაც შეეხება განათლებას, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო იზრდება საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილების ალბათობა. საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილება განსხვავდება სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის: თუ დედაქალაქში (40%) და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებებში (46%) მოგზაურობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 31 პროცენტს ჰქონია მსგავსი გამოცდილება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (61%) მოგზაურობის მეტი გამოცდილება აქვთ, ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით (37%).

დიაგრამა 60: **ყოფილხართ ოდესმე საზღვარგარეთ? (%, სრული შერჩევა)**



მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, მათგან მხოლოდ 21% აცხადებს, რომ საზღვარგარეთ 6 თვეზე მეტი ხანი დაყო. საზღვარგარეთ ექვს თვეზე მეტი ხნით ცხოვრების გამოცდილება მეტად აქვთ მამაკაცებს (24%), ქალებთან შედარებით (17%). ამასთან, ამ ხანგრძლივობით საზღვარგარეთ ცხოვრების გამოცდილება თითქმის ორჯერ მეტია 25-29 წლის ახალგაზრდებს შორის (29%) 14-17 (16%) და 18-24 (15%) წლის ახალგაზრდებთან შედარებით. საზღვარგარეთ მოგზაურობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდების 46% მოგზაურობის მიზეზად სწავლას და/ან მუშაობას ასახელებს. ახალგაზრდა ქალებთან შედარებით (40%), მამაკაცებისთვის (51%) სწავლა და/ან მუშაობა უფრო ხშირად არის მოგზაურობის მიზეზი. 25-29 წლის ახალგაზრდები ასევე უფრო ხშირად ასახელებენ მსგავს გამოცდილებას (დიაგრამა 60). თუკი განათლების დონეს მოგზაურობის გამოცდილებაზე გავლენა არ აქვს, დასახლების ტიპი და ეთნიკურობა საპირისპირო სურათს აჩვენებს. უფრო კონკრეტულად, სოფლად (52%) და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები იმ ახალგაზრდების (48%) დაახლოებით ნახევარი, რომელთაც მოგზაურობის გამოცდილება აქვთ, მოგზაურობის მიზეზად მუშაობას და/ან სწავლას ასახელებს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი დედაქალაქის შემთხვევაში 38 პროცენტია. ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს (48%) ასევე უფრო ხშირად აქვთ საზღვარგარეთ სწავლისა და/ან მუშაობის გამოცდილება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შედარებით (22%).

დიაგრამა 61: **საზღვარგარეთ სასწავლებლად და/ან სამუშაოდ წასულხართ? (%, მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ)**



როდესაც საზღვარგარეთ ცხოვრების გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს სთხოვეს დაეკონკრეტებინათ, თუ რით იყვნენ დაკავებული საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში, უმრავლესობამ მუშაობა (62%) დაასახელა. განათლების მიღების მიზნით ახალგაზრდების მხოლოდ ერთი მეხუთედი ყოფილა საზღვარგარეთ: აქედან, 7% უმაღლესი განათლების, 5% საშუალო განათლების, 5% კი - პროფესიული განათლების მიღების მიზნით. ახალგაზრდების 20% აღნიშნავს, რომ „სხვა რამით" იყვნენ დაკავებულები.

მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვებების სიმწირის გამო სტატისტიკურად მყარი დასკვნების გამოტანა რთულია, უნდა აღინიშნოს რომ სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდების მნიშვნელოვნად უფრო დიდი ნაწილი აღნიშნავს (82%), რომ საზღვარგარეთ ყოფნისას მუშაობდა, დედაქალაქში (42%) და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებებში (58%) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, სადაც უფრო ხშირად საზღვარგარეთ ყოფნის მიზეზად სწავლა სახელდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თუკი სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საზღვარგარეთ ყოფნის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, სეზონური სამუშაოებია, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზი უფრო ხშირად განათლების მიღება ან სხვა მიზნებია.

როდესაც იმ ახალგაზრდებს, რომლებიც საზღვარგარეთ საერთოდ არ ყოფილან, ან ყოფილან, მაგრამ არა სწავლისა ან მუშაობის მიზნით (სულ მთლიანი შერჩევის 83%) დაუსვეს ჰიპოთეზური შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, ისურვებდნენ თუ არა საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლებლად წასვლას, 73 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა („ალბათ დიახ" და „დიახ, რა თქმა უნდა" პასუხების ჯამი). მართალია, მამაკაცებსა და ქალებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ვლინდება, სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებს საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ სამუშაოდ წასვლის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ: თუკი 14-17 წლის (84%) ან 18-24 წლის (79%) ახალგაზრდები საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ გამგზავრების მიმართ დიდ ენთუზიაზმს იჩენენ, 25-29 წლის ახალგაზრდები (57%) ნაკლებ არიან დაინტერესებულები მსგავსი ტიპის ემიგრაციით (დიაგრამა 60). ეს შეიძლება იმას უკავშირდებოდეს, რომ ამ ასაკის ახალგაზრდებს, სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო მეტად აქვთ საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ სამუშაოდ ყოფნის გამოცდილება – შესაბამისად, შესაძლოა ამ ასაკის ახალგაზრდების იმ უმრავლესობამ, რომელსაც საზღვარგარეთ წასვლის სურვილი ჰქონდა, ეს სურვილი უკვე აისრულა. დასახლების ტიპის შემთხვევაშიც დაახლოებით მსგავსი ტენდენცია იკვეთება - სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებად გამოთქვამენ საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ სამუშაოდ წასვლის სურვილს. მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ დაუოჯახებელ ახალგაზრდებს (79%) მეტად აქვთ საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილი იმ ახალგაზრდებთან შედარებით, რომლებიც დაოჯახებულები არიან ან პარტნიორთან ერთად ცხოვრობენ (54%, დიაგრამა 62).

რაც შეეხება სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად შესაძლო გადასვლის მოტივებს, ისინი, ვინც საზღვარგარეთ სასწავლებლად და/ან სამუშაოდ იმყოფებოდა ან ამ მიზნით სურთ საზღვარგარეთ გამგზავრება, ყველაზე ხშირად ამის მიზეზად მაღალ ხელფასებს (57%) ასახელებენ (დიაგრამა 62). შემდეგი ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია უკეთესი განათლება (45%), საკუთარი ბიზნესის დაწყების უკეთესი შესაძლებლობები (19%), სხვა კულტურების გაცნობა (16%) და უფრო დიდი კულტურული მრავალფეროვნება (15%). დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებების ანალიზი აჩვენებს, რომ ქალები (53%), კაცებთან შედარებით (39%), უკეთეს განათლებას საზღვარგარეთ ცხოვრებისა თუ წასვლის სურვილის მიზეზად უფრო ხშირად ასახელებენ. უკეთესი განათლება ასევე უფრო მნიშვნელოვანია 14- 17 წლის (71%) და 18-24 წლის (50%) ახალგაზრდებისთვის, 25-29 (20%) წლის ახალგაზრდებთან შედარებით. რაც შეეხება უფრო მაღალ ხელფასებს, აქ საპირისპირო სურათი იკვეთება - მამაკაცები (61%) ამ მიზეზს ქალებთან (52%) შედარებით უფრო ხშირად ასახელებენ, ისევე, როგორც 25-29 წლის (72%) ახალგაზრდები 14-17 წლის (32%) ან 18-24 წლის (57%) ახალგაზრდებთან შედარებით. საზღვარგარეთ ყოფნის ან წასვლის სურვილის სხვა მიზეზები თითქმის თანაბრად სახელდება სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფს შორის.

დიაგრამა 62: **გსურთ თუ არა საზღვარგარეთ წასვლა სასწავლებლად ან სამუშაოდ? (%, მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც საზღვარგარეთ ან არასდროს ყოფილან, ან არ ყოფილან სასწავლებლად და/ან სამუშაოდ)**




დიაგრამა 63: **რა არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც თქვენ საცხოვრებლად გადახვიდოდით სხვა ქვეყანაში? გთხოვთ, აირჩიეთ ყველა შესაბამისი პასუხი (%, მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ სამუშაოდ და/ან სასწავლებლად წასვლა)**



ყველაზე ხშირად ახალგაზრდები საზღვარგარეთ მოგზაურობის მიზნით საქართველოს მცირე ხნით დატოვების სურვილს გამოთქვამენ: საერთო ჯამში, 37 პროცენტს წელიწადზე უფრო ნაკლები დროით სურს საქართველოს დატოვება (დიაგრამა 64). თუმცა, ახალგაზრდების დაახლოებით ერთ მესამედს (34%) საზღვარგარეთ ერთიდან ხუთ წლამდე დარჩენის სურვილი აქვს, 11 პროცენტს - ხუთიდან ათ წლამდე დარჩენის, 6 პროცენტს კი - სამუდამოდ. თუკი სქესის, განათლებისა და ასაკის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იკვეთება, განსხვავებები თვალსაჩინოა დასახლების ტიპის და ეთნიკურობის მიხედვით. უფრო კონკრეტულად, სოფლისა (43%) და ქალაქის (39%) ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები უპირატესობას მცირე პერიოდით (წელიწადზე ნაკლები დროით) გამგზავრებას ანიჭებენ, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (30%). რაც შეეხება განსხვავებებს ეთნიკური ნიშნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები უფრო გრძელვადიან ემიგრაციას ანიჭებენ უპირატესობას, მათ შორის, ქვეყნის სამუდამოდ დატოვებას (14%), ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით (6%).

დიაგრამა 64: **რამდენი ხნით გსურთ საზღვარგარეთ დარჩენა? (%, მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ სამუშაოდ და/ან სასწავლებლად წასვლა)**



ყველაზე ხშირად (30%) ახალგაზრდები სასურველ მიმართულებად ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებენ (დიაგრამა 65). ამას მოსდევს რამდენიმეევროპული ქვეყანა – გერმანია (17%), საფრანგეთი (9%), იტალია (7%) და დიდი ბრიტანეთი (6%). საერთო ჯამში, თუკი ევროპის ქვეყნებში (მეზობელი ევროპული ქვეყნების გარდა) წასვლის მსურველებს შევაჯამებთ, ახალგაზრდების 52 პროცენტისთვის ევროპა ყველაზე სასურველი მიმართულებაა. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან, მხოლოდ თურქეთი (3%) ცდება სამპროცენტიან ბარიერს, ხოლო რუსეთი (წარმოდგენილია კატეგორიაში „სხვა" 63-ე დიაგრამაზე) ახალგაზრდების მხოლოდ ერთმა პროცენტმა დაასახელა. მამაკაცებისთვის (33%), ქალებთან შედარებით (26%), ამერიკის შეერთებული შტატები უფრო სასურველი მიმართულებაა. 18 წელზე უფრო უმცროსი (33%) ახალგაზრდები ასევე მეტად ანიჭებენ უპირატესობას ამერიკის შეერთებულ შტატებს, 25-29 წლის (26%) ახალგაზრდებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (27%) უფრო ხშირად ასახელებენ სხვა, მაგალითად, ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, ეთნიკურად ქართველ (13%) ახალგაზრდებთან შედარებით.

დიაგრამა 65: **რომელ ქვეყანაში ამჯობინებდით გადასვლას? დაასახელეთ ერთი ქვეყანა, რომელსაც ყველას ამჯობინებდით. (%, მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ სამუშაოდ და/ან სასწავლებლად წასვლა)**



ახალგაზრდებმა ემიგრაციის შესახებ ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროსაც ისაუბრეს. საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ საუბრისას, მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლა ყველა დისკუსიის დროს დასახელდა, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა. ახალგაზრდა მონაწილეების აზრით, ემიგრაციის მთავარი მიზეზი ეკონომიკური გამოწვევებია: "მშობლები შვილებს ტოვებენ და სამუშაოდ მიდიან, რომ მათი რჩენა შეძლონ და ამაში ფუფუნებას არ ვგულისხმობ, არამედ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას" (ქალი, 29 წლის). თუმცა, ახალგაზრდებისთვის წასვლის მთავარ მიზეზად ქვეყანაში განათლების დაბალი დონე და განვითარების ან რაიმეს მიღწევის შესაძლებლობების სიმწირე სახელდება:

ვფიქრობ, საქართველოში არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს. ცნობიერების დაბალ დონესთან ერთად, განათლების დონეც დაბალია, რადგან ადამიანებს დაბადებიდანვე ჩაესმით, რომ ამ ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, რომ არაფერს არ აქვს აზრი, რომ რაც არ უნდა ისწავლო ან გააკეთო, საქართველოში მაინც ვერ განვითარდები. ამიტომაა, რომ 15 წლიდან ახალგაზრდები უკვე აქედან გაქცევას ცდილობენ, აბსოლუტურად ყველას გაქცევა უნდა... ბევრ ჭკვიან, განათლებულ ადამიანს ვიცნობ, ვინც ამ ქვეყანაში ვერაფერი გააკეთა და წავიდა, ბევრია ასეთი მაგალითი… (მამაკაცი, 17 წლის).

მეორე მხრივ, ბევრმა ახალგაზრდამ თავადაც გამოთქვა წასვლის სურვილი. ამის მიზეზად საქართველოში არსებულ რთულ ვითარებას ასახელებენ. იმისთვის, რომ ახალგაზრდების გადინება შეაჩეროს, მთავრობამ განათლების ხარისხი უნდა გააუმჯობესოს და სამუშაო ადგილები შექმნას. ქვეყნიდან წასვლის მთავარი მიზეზი უკეთესი განათლების მიღება და უკეთესი ცხოვრებაა. ფოკუსჯგუფის მონაწილეები ხშირად ასახელებენ გერმანიას, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას, სადაც ცხოვრების დონე მაღალია. ამის მიუხედავად, ახალგაზრდები ყველაზე ხშირად მცირე პერიოდით წასვლის და შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ: „მეცვისურვებდი სასწავლად და სამუშაოდ გარკვეული პერიოდით წასვლას, მაგრამ სამუდამოდ არ წავიდოდი" (ქალი, 24 წლის).

# მომავლის ხედვა

ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას სჯერა, რომ ხუთ წელიწადში მათი ოჯახების ცხოვრების სტანდარტი გაუმჯობესდება: 33% მნიშვნელოვან ცვლილებას მოელის, ხოლო 44 პროცენტს სჯერა, რომ მათი ცხოვრების სტანდარტი მცირედით გაუმჯობესდება (დიაგრამა 66). მსგავსი ოპტიმიზმით თითქმის თანაბრად არიან განმსჭვალულნი სხვადასხვა სქესის, ასაკისა და სხვადასხვა ტიპის დასახლებულ პუნქტში მცხოვრები ახალგაზრდები. განსხვავებები მხოლოდ განათლების დონისა და შინამეურნეობის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ცვლადების მიხედვით გამოიკვეთა. უფრო კონკრეტულად, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები (42%) უფრო ხშირად არიან უფრო ოპტიმისტურები - უფრო ხშირად ასახელებენ პასუხის ვარიანტს - „მნიშვნელოვნად გაიზრდება" დაწყებითი (32%) ან სრული საშუალო (29%) განათლების მქონე რესპონდენტებთან შედარებით. ამასთან, შინამეურნეობის არსებული მატერიალური დოვლათი ასევე ასოცირდება მომავლის მოლოდინებთან - ისინი, ვინც ყველაზე მაღალ, მეოთხე საფეხურზე ათავსებენ თავიანთ შინამეურნეობებს ფინანსური თვითშეფასების დროს, უფრო ოპტიმისტურადაც უყურებენ მომავალს და თითქმის ნახევარი (51%) მიიჩნევს, რომ მათი ოჯახების ცხოვრების სტანდარტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 20 პროცენტით იკლებს იმ ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებიც საკუთარ შინამეურნეობებს ეკონომიკური კიბის[123] უფრო დაბალ, მესამე (30%), მეორე (32%) და პირველ (26%) საფეხურებზე აყენებენ (დიაგრამა 66).

დიაგრამა 66: **ფიქრობთ, რომ 5 წელში თქვენი ოჯახის ცხოვრების სტანდარტი... (%, სრული შერჩევა)**



თუკი ახალგაზრდები საკუთარი შინამეურნეობების ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესების მიმართ ძირითადად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ქვეყანაში ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას მომავალში იგივე ოპტიმიზმით ვერ უყურებენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ოპტიმიზმი მაინც არსებობს, პასუხის ვარიანტს, რომ საქართველოში ცხოვრების სტანდარტი „მნიშვნელოვნად გაიზრდება" ახალგაზრდების მნიშვნელოვნად უფრო მცირე რაოდენობა - მხოლოდ 19% ასახელებს. ზოგადი დამოკიდებულებები მეტ-ნაკლებად მსგავსია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ცვლადის მიხედვით[124] და ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იკვეთება (დიაგრამა 67).

დიაგრამა 67: **ფიქრობთ, რომ 5 წელში ცხოვრების სტანდარტი ქვეყანაში... (%, სრული შერჩევა)**



## დისკუსია

ქვეყნის გარეთ მობილობის მაჩვენებელი საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ახალგაზრდების 38% აცხადებს, რომ საზღვარგარეთ ერთხელ მაინც ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს საქართველოში ზოგადად ოპტიმისტური წარმოგენები აქვთ ახლო მომავალში ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ბევრს მაინც სურს ქვეყნის დროებით ან სამუდამოდ დატოვება სხვადასხვა მიზეზით. საქართველოში ახალგაზრდების ემიგრაციის კვლევები აჩვენებს, რომ „ინდივიდუალური შესაძლებლობები, ახალგაზრდული ცხოვრების მისწრაფებები და შინამეურნეობის შესაძლებლობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდების მისწრაფებებზე ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით"[125]. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ემიგრაციის მიზეზი ყველაზე ხშირად ეკონომიკურ ფაქტორები (მაღალი ხელფასები, 57%), ისევე, როგორც უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობებია (45%). ამ უკანასკნელს ხშირად ეკონომიკური ფაქტორები გადაფარავს. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების ხარისხით უკმაყოფილება ახალგაზრდებს შორის ასევე შეიძლება გახდეს სტუდენტების მობილობისა და ემიგრაციის განმაპირობებელი[126]. ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც განასხვავებს სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ემიგრაციასთან დაკავშირებულ მისწრაფებებს.

ემიგრაციაში წასვლა განსაკუთრებით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს, ვინაიდან მათ უმეტესობას წასვლა ხუთიდან ათ წლამდე პერიოდით (19%) ან სამუდამოდ (14%) სურს – ეს გამოკითხულ ქვეჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ითვლება, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია ამაში დიდ როლს თამაშობს[127]. თუმცა, ახალგაზრდების შემთხვევაში, შესაძლოა, იმ ინსტიტუციური ბარიერების გადალახვაც იყოს ამის განმაპირობებელი, რომლის წინაშეც დგანან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში. მიიჩნევა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს არაერთი წინაღობა ექმნებათ პროფესიული თუ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში[128]. ის ფაქტი, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ წასვლის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზია, ამ არგუმენტს კიდევ უფრო ამყარებს. თუმცა, ეს საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.

ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს გამოკითხვა ბოლოს - 2016 წელს ჩატარდა. მართალია, კითხვების ფორმულირება მცირედით განსხვავდებოდა[129], მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები იმ დროს მეტად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი როგორც პირადი, ისე ზოგადი ეკონომიკური კეთილდღეობის მიმართ. 2016 წელს ახალგაზრდების 95% მიიჩნევდა, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, 75% კი მიიჩნევდა, რომ ზოგადად საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობაც გაიზრდებოდა. 2022 წელს, საერთო ჯამში, ახალგაზრდების 77% მიიჩნევს, რომ 5 წლის შემდეგ მათი ოჯახების ცხოვრების სტანდარტი გაუმჯობესდება, ხოლო მთელ საქართველოში მსგავს გაუმჯობესებას ახალგაზრდების მხოლოდ 59% ელის. ემიგრაციის ზრახვებიც შეიცვალა - ახლა ქვეყნის დატოვება მეტ ახალგაზრდას სურს. 2016 წელს ახალგაზრდების 21% გამოთქვამდა ემიგრაციაში წასვლის ძლიერ სურვილს, 19 პროცენტს კი არც ისე მტკიცე განზრახვები ჰქონდა. 2022 წელს ახალგაზრდების 55 პროცენტს მტკიცედ აქვს განზრახული სასწავლებლად ან სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა, ხოლო 18% შესაძლოა გაემგზავროს ამავე მიზნებით. არ შეცვლილა მხოლოდ ემიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორები. ცხოვრების დონის გაუმჯობესება (38%), უკეთესი განათლების მიღების სურვილი (17%) და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები (13%) 2016 წელს ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზებს შორის იყო. უფრო მაღალი ხელფასები (57%), უკეთესი განათლება (45%) და საკუთარი ბიზნესის დაწყების უკეთესი შესაძლებლობები (19%) 2022 წელს ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია. მცირედით შეიცვალაემიგრაციისსასურველიმიმართულებები: 2016 წელს ყველაზე სასურველი მიმართულებები იყო ამერიკის შეერთებული შტატები (27%), გერმანია (21%) და რუსეთი (10%). 2022 წელს ამერიკის შეერთებული შტატები (30%) და გერმანია

(17%) კვლავ პირველ და მეორე ადგილზეა, რუსეთში წასვლის მსურველთა რაოდენობა კი ერთ პროცენტამდე შემცირდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა რუსეთში დღეს არსებული ვითარებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკრაინასთან ომშია ჩაბმული, დასავლეთის მხრიდან იზოლირებულია და მძიმე სანქციების სამიზნეა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქვეყნების უცვლელ პოზიციებს, ამას ალბათ განაპირობებს ამ ქვეყნების, როგორც ეკონომიკურად განვითარებული, კეთილდღეობის სახელმწიფოების მიმართ დამოკიდებულება, სადაც ახალგაზრდებს საკუთარი მისწრაფებების განხორციელების იმედი აქვთ დასაქმებასთან, განათლებასა და უკეთეს ცხოვრებასთან დაკავშირებით.

რომ შევაჯამოთ, ახალგაზრდების ემიგრაცია საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. გლობალიზებულ სამყაროში, სადაც მობილობა უფრო და უფრო იოლდება, განვითარებული, კეთილდღეობის სახელმწიფოები ახალგაზრდებს იზიდავს. ისეთი ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნები კი, როგორიც საქართველოა, კარგავენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ქვეყნისა და ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად ელემენტს წარმოადგენენ. მართალია, წინამდებარე კვლევა ავლენს ახალგაზრდების მისწრაფებებსა და მიზნებს, ახალგაზრდების მიგრაციის ხელისშემწყობი და განმაპირობებელი ფაქტორები ამ მიმართულებით უფრო ღრმა კვლევის საგანი უნდა გახდეს.

# 12

# დასკვნა

წინამდებარე ანგარიშის მიზანი იყო საქართველოში ახალგაზრდების ცხოვრების ყოვლისმომცველი შესწავლა. ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ახალგაზრდები სრულიად გათიშულნი არიან ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებისგან, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა ძალიან დაბალია. ანგარიში, ასევე, აანალიზებს საზოგადოებრივი (ელიტის მიერ მხარდაჭერილი, დომინანტური ნარატივები ქვეყნის პროდასავლური კურსის შესახებ), სტრუქტურული (სასკოლო კურიკულუმი) და თაობათაშორისი ფაქტორების როლს ახალგაზრდების ღირებულებებისა და ისტორიული წარსულის აღქმის ჩამოყალიბების პროცესში. კვლევა მიანიშნებს, რომ სოციალურ-კულტურული ღირებულებები შესაძლოა იცვლებოდეს, თუმცა იზოლაციონისტური და ნაციონალისტური სენტიმენტები მყარად არის ფესვგადგმული საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლებში. დისკურსები, ან შეიძლება ითქვას, მათი ნაკლებობა, განაპირობებს ახალგაზრდების ბუნდოვან დამოკიდებულებებს კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ. ხოლო ქვეყნის მომავლის მიმართ ზოგადი ოპტიმისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი უმცირესობა ქვეყნის სამუდამოდ დატოვებაზე ფიქრობს.

რაც შეეხება ეკონომიკურ ცხოვრებას, ახალგაზრდების უმრავლესობა თავს წარმოსახვითი ეკონომიკური კიბის შუა საფეხურზე სახავს და მიაჩნია, რომ მათი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გარშემო თუ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობის მსგავსია. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული პრობლემები აშკარად იჩენს თავს, როდესაც საქმე ახალგაზრდების დასაქმებასა და შემოსავალს ეხება. ახალგაზრდების უმრავლესობა, მათ შორის, ისინი, ვინც სკოლასა თუ სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტში არ ირიცხებიან, ფინანსურად სხვებზე არიან დამოკიდებულნი.

საქართველოში ახალგაზრდების 58% არ მუშაობს, ნახევარზე მეტი კი არ სწავლობს, რის შედეგადაც საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდებში ისეთი მკვეთრად მაღალი მაჩვენებელია, რომლებიც არც განათლებას იღებენ, არც რაიმე სასწავლო კურსს გადიან და არც მუშაობენ. სოფლის ტიპის დასახლებებში ეს პრობლემა უფრო მძაფრად დგას, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოში ურბანულ-რურალურ უთანასწორობების სტრუქტურულ ბუნებაზე. სავარაუდოდ, ამითვე აიხსნება ეკონომიკური საკითხების დომინაცია ახალგაზრდების მთავარ პრობლემებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სასკოლო განათლებას შორის გათიშულობაა, ახალგაზრდების უმრავლესობა მაინც კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. ბევრი მიიჩნევს, რომ განათლება მათ შრომის ბაზრისთვის კარგად ამზადებს. თუმცა, ისინი, ვინც თავად დამდგარა უმაღლესი განათლებისა თუ დასაქმების მოთხოვნების წინაშე, უფრო კრიტიკულად უყურებენ ამ საკითხს.

ახალგაზრდები, ზოგადად დემოკრატიას დადებითად აფასებენ, თუმცა მხოლოდ ცოტა მათგანია ენთუზიაზმით განწყობილი პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ, რაც სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიული სისტემის ქვაკუთხედია.

ძალიან ცოტა ახალგაზრდა ეცნობა პოლიტიკურ სიახლეებს და თითქმის არავინ განიხილავს პოლიტიკური თანამდებობის დაკავებას. პოლიტიკური ცნობიერების დონე ახალგაზრდებში შემაშფოთებლად დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მეტ ახალგაზრდას აქვს სხვა სახის სამოქალაქო მონაწილეობის (მაგალითად, მოხალისეობის) გამოცდილება, პროცენტული მაჩვენებლები აქაც საგანგაშოდ დაბალია.

ახალგაზრდების შეხედულებები ევროპასა და ევროპულ იდენტობაზე იმეორებს ქართულ საზოგადოებაში თუ ელიტებში არსებულ დომინანტურ დისკურსებს. საქართველოს აღქმა ევროპის ნაწილად უკავშირდება ისეთ ცხად ფაქტორებს, როგორიცაა კულტურა და რელიგია, ისევე, როგორც აზიელად თავის მოაზრების უარყოფით და აშკარად პრობლემურ ფორმულირებას.

საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, საქართველოში ახალგაზრდების ხედვებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსეთს. ახალგაზრდებს რუსული სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ და მას საქართველოსთვის სასიცოცხლო საფრთხედ მიიჩნევენ. საქართველოს ყველაზე დიდი მეზობლის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებები იმეორებს „დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ" ან, უფრო ზუსტად, „ჩვენ მათ წინააღმდეგ" დიქოტომიას. რაც მთავარია, უკრაინის აღქმა ქვეყნის მეგობრებს შორის შეიძლება აიხსნას ერებს შორის სოლიდარობის განცდით და რუსეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის აღქმით.

ის, თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები ქვეყნის უახლეს წარსულს, ასახავს ეროვნული და სუბეროვნული იდენტობების კომპლექსურობას და ცხადყოფს, თუ როგორ გადაეცემა უახლესი წარსულის მოგონებები თაობიდან თაობას. ამასთან, ეს აღქმები იმეორებს დომინანტურ ისტორიულ ნარატივებს, რომელიც რუსეთს საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის გამგრძელებლად მიიჩნევს. ახალგაზრდებს უახლესი წარსულის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. თუკი უმრავლესობა დადებითად მიიჩნევს საბჭოთა კავშირის დაშლას, ძირითადად ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის ჭრილში, „ბნელი 1990-იანების" გაჭირვება და პოსტსაბჭოთა ტრანზიციის სირთულეები ხსნის უარყოფით დამოკიდებულებებს დამოუკიდებლობის შემდგომი ათწლეულის მიმართ.

რაც შეეხება ღირებულებებს, მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ახალგაზრდების ნაწილი უფრო ტრადიციული, ნაწილი კი სეკულარული და რაციონალური ღირებულებებისკენ იხრება. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული, ქართველები, ზოგადად, უფრო ტრადიციულები გახდნენ, თუმცა იზრდებოდა თვითგამოხატვის ღირებულებების შეთვისების მაჩვენებელიც. მსგავსად, ახალგაზრდებისთვის ეროვნული კულტურა, რელიგია და ოჯახური ღირებულებები მნიშვნელოვანია. ახალგაზრდებს იშვიათად აქვთ მშობლებისგან განსხვავებული მოსაზრებები თუ დამოკიდებულებები. ამასთანავე, ბევრი ახალგაზრდა უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირად წარმატებასა და სიმდიდრეს, ვიდრე უფრო კოლექტივისტურ ღირებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, სამოქალაქო მონაწილეობა. ამის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდები, სავარაუდოდ, უფრო ინდივიდუალისტები არიან, მეტად ადარდებთ საკუთარი მისწრაფებები, ვიდრე კოლექტივისტური თუ ეროვნული საკითხები.

ახალგაზრდებს საქართველოში ერთგვაროვანი დამოკიდებულებები არ აქვთ არც კულტურული ღიაობისა და ჰომოგენურობის მიმართ. ზოგადად, ისინი სხვებისგან დისტანცირდებიან და უმცირესობების მიმართ ნაკლებ ტოლერანტულები არიან. ამის მიუხედავად, სხვა მხრივ, აშკარა კონსერვატიული ღირებულებებიდან გადახრაც შეინიშნება, მაგალითად სექსუალური თავშეკავებისა თუ უმცირესობებისთვის საკუთარ ენაზე განათლების მიღების საკითხების გარშემო, რაც სეკულარული და თვითგამოხატვის ღირებულებებისკენ მიდრეკილებას ავლენს. გარდა ამისა, თუკი სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებები ზოგადად ძალიან უარყოფითია, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ეწინააღმდეგება სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე რაიმე სახის ძალადობას ან აგრესიას.

კიდევ ერთი სუსტი, მაგრამ თვალსაჩინო ტენდენციაა ეთნო-რელიგიურიდან უფრო სამოქალაქო თვითაღქმისკენ შემობრუნება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია ქალაქის ტიპის დასახლებებში, განსაკუთრებით კი თბილისში.

კლიმატის ცვლილებების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებები უფრო ინდიფერენტულობაზე მიანიშნებს, ვიდრე შფოთვაზე. თუკი კონკრეტულად ამ საკითხზე ფოკუსირებული კითხვების დასმის შემდეგ ბევრი აცნობიერებს მის მნიშვნელობას, ახალგაზრდების დიდი ნაწილი კლიმატის ცვლილებას დიდწილად მაინც ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ემხრობა კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შესასუსტებლად ზომების მიღებას, საერთო ჯამში, მათ საკითხის სრულფასოვანი და ჰოლისტური ხედვა არ გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ახალგაზრდები, ზოგადად, ოპტიმისტურად უყურებენ საქართველოს მომავალს, ბევრი მათგანი მაინც განიხილავს საზღვარგარეთ დროებით თუ სამუდამოდ გადასვლას. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ საქართველოდან წასვლის მსურველ ახალგაზრდებს შორის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენს. სავარაუდოდ, ეს უმცირესობების ინკლუზიის წინაშე არსებულ ინსტიტუციურ ბარიერებს უკავშირდება, როგორც საგანმანათლებლო სისტემაში, ისე შრომის ბაზარზე.

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ქვეყნის მომავალს პოზიტიურად უყურებს, თუმცა 2016 წელთან შედარებით, ნაკლები ახალგაზრდაა ოპტიმისტურად განწყობილი პირადი თუ ზოგადი ეკონომიკური კეთილდღეობის პერსპექტივისადმი. შესაძლოა, ამითაც აიხსნებოდეს ემიგრაციის მსურველი ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.

# 13

# სქოლიო

1 Parliament of Georgia, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ [On approving the 2020-2030 concept of Georgia on youth policy].

2 National Youth Agency, "ჩვენ შესახებ [About Us]."

3 Geostat, "Women and Men in Georgia."

4 Sichinava and Zubashvili, "Study of Youth Civic and Political Engagement and Participation in Peacebuilding in Georgia."

5 Omanadze et al., Generation in Transition.

6 ანგარიში მოამზადეს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა რატი შუბლაძემ, CRRC საქართველოს კვლევების დირექტორმა და კალრტონის უნივერსიტეტის (Carleton University, Ottawa) ასისტენტ-პროფესორმა, დავით სიჭინავამ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორმა და CRRC საქართველოს უფროსმა მკვლევარმა თამარ ხოშტარიამ.

7 Graham, "Subjective Well-Being in Economics."

8 Parliament of Georgia, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ [On approving the 2020-2030 concept of Georgia on youth policy.

9 Government of Georgia, "სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ [Government Program 2021-2024 'for Building an European State']."

10 Parliament of Georgia, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ [On approving the 2020-2030 concept of Georgia on youth policy].

11 Geostat, "Women and Men in Georgia."

12 Parliament of Georgia, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ [On approving the 2020-2030 concept of Georgia on youth policy].

13 UNICEF, "ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში [National Study of Youth in Georgia]."

14 Janoski, "The Dynamic Processes of Volunteering in Civil Society."

15 Schleicher, "PISA 2018 Insights and Interpretations."

16 Times Higher Education, "World University Rankings."

17 Rutkowski, "Workforce Skills in the Eyes of the Employers: Results of the Georgia STEP Employer Skills Survey."

18 CRRC-Georgia, "ATTDEM: Which of These Three Statements Is Closest to Your Opinion? Caucasus Barometer 2021 Georgia."

19 The Economist, "A New Low for Global Democracy."

20 CRRC-Armenia, "ATTDEM: Which of These Three Statements Is Closest to Your Opinion? Caucasus Barometer 2021 Armenia."

21 Quintelier and van Deth, "Supporting Democracy."

22 Sichinava and Zubashvili, "Study of Youth Civic and Political Engagement and Participation in Peacebuilding in Georgia."

23 Kincha, "Georgia's Youth Protesters Lead 2020's Political Showdown."

24 CRRC-Georgia, "PARTYSUPP: Which Political Party Is Closest to You? Caucasus Barometer 2021 Georgia."

25 De Waal, "Georgian Democracy Is Dying By a Thousand Cuts."

26 Silagadze, "Datablog | Most Georgians Believe That Georgia Is Not a Democracy."

27 Sichinava and Zubashvili, "Study of Youth Civic and Political Engagement and Participation in Peacebuilding in Georgia."

28 მედიანა განაწილების შუა წერტილს წარმოადგენს. მედიანა უკეთ ზომავს ცენტრალურ ტენდენციას, ვიდრე საშუალო, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც უკიდურესმა მაჩვენებლებმა შესაძლოა საშუალო მაჩვენებელზე ძლიერი გავლენა იქონიოს.

29 დავით სარალიძის მკვლელობა, ანუ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მოზარდის მკვლელობის საქმე თბილისში მაღალ რეზონანსული იყო. სავარაუდო დამნაშავეების ჯგუფური თავდასხმის ბრალდებებისგან გამართლებამ, რაც უფრო მკაცრი პატრიმრობით უნდა დასჯილიყო, თბილისში დიდი საპროტესტო აქციების ტალღა გამოიწვია.

30 გავრილოვის ღამე ანუ 2019 წლის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რომელიც თბილისში რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის წინააღმდეგ გამართული აქციის დაშლის შემდეგ დაიწყო. საპროტესტო აქციებმა ქვეყანაში ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.

31 CRRC-Georgia, "IMPISS1: Most Important Issue Facing the Country. Caucasus Barometer 2021 Georgia."

32 კოდები 1-დან 4-მდე 10-ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „უკიდურესად მემარცხენე“ და 10 ნიშნავს „უკიდურესად მემარჯვენე".

33 კოდები 5 და 6 10-ბალიან სკალაზე,, სადაც 1 ნიშნავს „უკიდურესად მემარცხენე“ და 10 ნიშნავს „უკიდურესად მემარჯვენე".

34 კოდები 7 -დან 10-მდე 10-ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „უკიდურესად მემარცხენე“ და 10 ნიშნავს „უკიდურესად მემარჯვენე".

35 De Waal, "Georgian Democracy Is Dying By a Thousand Cuts."

36 Mzhavanadze and Sichinava, "Results of the 2021 Wave of the Caucasus Barometer Survey."

37 Sichinava and Zubashvili, "Study of Youth Civic and Political Engagement and Participation in Peacebuilding in Georgia."

38 NDI Georgia, "Taking Georgians' Pulse: Findings from August 2022 Face to Face Survey."

39 Khoshtaria et al., "Youth Values and Political Activism in Georgia."

40 Grasso et al., “Socialization and Generational Political Trajectories.”

41 Robakidze, “Political Polarization and Media: Threats to the Democratic Process in Georgia.”

42 Galston, “Political Knowledge, Political Engagement, and Civic Education.”

43 Wray-Lake, “How Do Young People Become Politically Engaged?”

44 NORC at the University of Chicago, “Impact Evaluation of USAID/Georgia’s Momavlis Taoba (MT) Civic Education Initiative (CEI).”

45 Kakachia and Minesashvili, “Identity Politics.”

46 Nodia, “Components of the Georgian National Idea,” 94.

47 Jones, “The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy.”

48 Bolkvadze, Müller, and Bachmann, “‘I Am Georgian and Therefore I Am European.’”

49 CRRC-Georgia, “Knowledge of and Attitudes toward the European Union in Georgia.”

50 CRRC-Georgia, “Future of Georgia. Survey Report.”

51 Khoshtaria et al., “Youth Values and Political Activism in Georgia.”

52 Khoshtaria et al.

53 Tsuladze, “On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia.”

54 CRRC-Georgia, “Public Attitudes in Georgia, July-August 2022,” 2022.

55 CRRC-Georgia, “Public Attitudes in Georgia, July-August 2022,” 2022.

56 de Waal, “How Georgia Stumbled on the Road to Europe.”

57 Minesashvili, “Europe in Georgia’s Identity Discourse: Contestation and the Impact of External Developments.”

58 CRRC-Georgia, “Knowledge of and Attitudes toward the European Union in Georgia.”

59 CRRC-საქართველო.

60 Shubladze et al., “საქართველოს ისტორია და ახალგაზრდები: გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა [History of Georgia and Young People : A Study of Experiences, Attitudes, and Values].”

61 Shubladze et al.

62 Siroky, Simmons, and Gvalia, “Vodka or Bourbon?”

63 Nodia, “Components of the Georgian National Idea”; Terzyan, “The Enemy Next Door.”

64 Kupatadze and Zeitzoff, “In the Shadow of Conflict: How Emotions, Threat Perceptions and Victimization Influence Foreign Policy Attitudes.”

65 CRRC-Georgia, “MAINFRN: In Your Opinion, Which Country Is Currently the Main Friend of Georgia? By Age Groups. Caucasus Barometer 2021 Georgia.”

66 World Bank, “Georgia: Technical Assistance to Support Preparation of Education Sector Strategy.”

67 CCRRC-Georgia, “CLSTRAD: The Traditions of the Population of Which of the Following Regions Is Closest to Georgia’s Traditions? By Age Groups. Caucasus Barometer 2015 Georgia.”

68 CRRC-საქართველო, “CLSMDCL: ჩამოთვლილთაგან რომელი რეგიონის მოსახლეობის თანამედროვე კულტურაა ყველაზე ახლოს საქართველოს კულტურასთან? ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კავკასიის ბარომეტრი 2015 საქართველო.”

69 Gachechiladze, R. (1997). National idea, state-building, and boundaries in the post-Soviet space (the case of Georgia). GeoJournal, 43(1), 51-60.

70 Shubladze et al., “საქართველოს ისტორია და ახალგაზრდები: გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა [History of Georgia and Young People : A Study of Experiences, Attitudes, and Values].”

71 Shubladze et al.

72 Falkowski, Georgian Drift. The Crisis of Georgia’s Way Westwards.

73 CRRC-Georgia, “USSRDISS: Was the Dissolution of the Soviet Union a Good Thing or a Bad Thing for Georgia? Caucasus Barometer 2021 Georgia.”

74 CRRC-Georgia, “USSRNEEC: Dissolution of USSR a Bad Thing: People’s Economic Situation Has Worsened. Caucasus Barometer 2021 Georgia.”

75 Manning, “The Epoch of Magna.”

76 CRRC-Georgia, “Future of Georgia. Survey Report.”

77 Gugushvili, Kabachnik, and Kirvalidze, “Collective Memory and Reputational Politics of National Heroes and Villains.”

78 CRRC-Georgia, “Future of Georgia. Survey Report.”

79 CRRC-Georgia, “NDI.”

80 Kitaevich, “History That Splinters.”

81 Broers, “Filling the Void”; Tabatadze, “Minority Education in Georgia.”

82 შუბლაძე და სხვა., “საქართველოს ისტორია და ახალგაზრდები: გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა”

83 Khoshtaria et al., “Attitudes and Perceptions Towards Russia in Georgia.”

84 CRRC-საქართველო, “საქართველოს მომავალი.კვლევის ანგარიში”

85 Gamsakhurdia, “Quest for Ethnic Identity in the Modern World—The Georgian Case.”

86 Sumbadze, თაობები და ღირებულებები [Generations and Values].

87 Khoshtaria, “What Are the Values of Young People and How Are These Different from the Values of Older Generations in Georgia?”

88 Mestvirishvili et al., “Exploring Homophobia in Tbilisi, Georgia.”

89 Khoshtaria et al., “Young People in Latvia and Georgia.”

90 Tsuladze, “How Things Are Remade Georgian.”

91 Tsuladze, Macharashvili, and Pachulia, “SOS Tbilisi: Challenges to Environmental Civic Participation in Georgia.”

92 Hough, Social Capital in Georgia.

93 The last wave of this study conducted in 2016: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13150.pdf

94 European Commission, “Final Report Summary - MYPLACE (Memory, Youth, Political Legacy And Civic Engagement) | FP7 | CORDIS | European Commission.”

95 კითხვარში გამოყენებულია ფორმულირება „ჰომოსექსუალი/ჰომოსექსუალობა“ კითხვის გაგების გამარტივების მიზნით. ავტორებს კარგად ესმით კონტექსტუალური განსხვავებები ინგლისურსა და ქართულში და, შესაბამისად, არჩევენ „ქვიარ ადამიანების“ ტერმინის გამოყენებას ანალიზის პროცესში.

96 კითხვარში გამოყენებულია ცნება „ჰომოსექსუალი“, ვინაიდან ცნებას „ქვიარი“ ქართულ ენაში ექვივალენტი არ გააჩნია. ავტორები სრულად აცნობიერებენ ქართულსა და ინგლისურში ამ სიტყვის გამოყენების კონტექსტუალურ განსხვავებებს. .

97 Bogardus, A Forty Year Racial Distance Study.

98 Parrillo and Donoghue, “Updating the Bogardus Social Distance Studies.”

99 Wark and Galliher, “Emory Bogardus and the Origins of the Social Distance Scale.”

100 World Values Survey, “Inglehart-Welzel World Cultural Map.”

101 Live Cultural Map over Time 1981 to 2015.

102 Tsuladze, “Youth Culture in Modern Georgia–A Case of Westernization or Invention of a New Tradition?”

103 Mishler and Rose, “Trust, Distrust and Skepticism.”

104 Ishiyama, Mezvrishvili, and Zhgenti, “An Oasis of Democracy in an Authoritarian Sea?”

105 Gilbreath, “Datablog | Despite Gains in 2020, Georgia’s Institutions Remain Poorly Trusted.”

106 Babunashvili and Kipiani, “Liberal Attitudes and Religion. The Moderating Effects of a Communist Past.”

107 Landale and Oropesa, “Hispanic Families.”

108 O’Brien, Selboe, and Hayward, “Exploring Youth Activism on Climate Change.”

